დენტის დაქვემდებარებაში.

ათასეულის მეთაურად დანიშნოს გვარდიის მაიორი ვახტანგ თევდო-  
რეს ძე ქობალია.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 26 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**540** ნ. ბ. მირიანაშვილის კასპის რაიონის პრეფექტის თანამდებო-  
ბიდან გათავისუფლების შესახეზ

გათავისუფლდეს ნინო გიორგის ასული მირიანაშვილი კასპის რაიონის  
პრეფექტის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 26 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**541** ნ. ს. ამაღლოზაძის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ნოდარ სარდიონის ძე ამაღლოზაძე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 26 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**542** თ. ვ. გამყრელიძის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დანიშვნის შესახებ

დანიშნოს თამაზ ვალერიანის ძე გამყრელიძე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 26 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**543** საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შემადგენელი უწყისის შესახებ

შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც დაექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს.

ეროვნულ გვარდიას მოეხსნას შინაგანი ჯარის სტატუსი და დაექვემდებაროს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 26 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 544 საქართველოს კომუნისტური პარტიის უმსახეობა

საბჭოთა კავშირში ა. წ. 19-21 აგვისტოს კომუნისტური პუტჩის დღეებში საქართველოს კომპარტიამ მხარი დაუჭირა ე. წ. საგანგებო მდგომარეობის კომიტეტს. გარდა ამისა, მისი არსებობა ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ. აქედან გამომდინარე ვადგენ:

შეჩერდეს საქართველოს კომუნისტური პარტიის მოქმედება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 26 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 545 ისტონეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაცვის ცნობის უმსახეობა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად ვადგენ:

1. ისტონეთის რესპუბლიკის მიერ 1991 წლის 21 აგვისტოს მიღებული დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკა ცნობს ისტონეთის რესპუბლიკას როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს და საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან სუბიექტს.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაიწყო მოლაპარაკება ესტონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა-სამინისტროსთან ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების თაობაზე.

3. საქართველოს რესპუბლიკა მიმართავს ყველა სუვერენულ სახელმწიფოს ცნოს ესტონეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 26 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ქ ე მ ბ უ ლ ე ბ ა

**546** ბ. ვ. გუგუშვილის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ბესარიონ პაატას ძე გუგუშვილი საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 26 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ქ ე მ ბ უ ლ ე ბ ა

**547** საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის ბატალიონების, ლეგიონების, ლეგიონებისა და შენაერთების მეთაურთა დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის ბატალიონების, ლეგიონების და შენაერთების მეთაურები ინიშნებიან საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 26 აგვისტო.



საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**548** საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარის — ეროვნული  
გვარდიის სტატუსის შესახებ

1. მოეხსნას შინაგან ჯარებს — ეროვნულ გვარდიას განსაკუთრებულ დანიშნულების მილიციის ქვედანაყოფის სტატუსი.

2. დღეიდან რკონის ხეობაში მყოფი ყველა გვარდიელი დაუბრუნდეს ყაზარმებს თავისი რაიონებისა და ქალაქების მიხედვით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 26 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**549** ქ. ცხინვალის ჯავის რაიონისა და დაბა ჯავის ტერიტორიებზე  
საგანგებო მდგომარეობის გაგრძელების შესახებ

გაგრძელდეს საგანგებო მდგომარეობა ქ. ცხინვალში, ჯავის რაიონსა და დაბა ჯავის ტერიტორიაზე 1991 წლის 28 აგვისტოდან ერთი თვის ვადით. კომენდანტის საათის მოქმედების ხანგრძლივობა განისაზღვროს 22.00-დან 7.00 საათამდე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 27 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**550** ზ. ი. ხარისჭარბიშვილის ახალციხის რაიონის პრეზენტად და  
ნიშვნის შესახებ

დაინიშნოს ზურაბ ივანეს ძე ხარისჭარბიშვილი ახალციხის რაიონის პრეზენტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 27 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**551** მამა თევდორეს (თ. ამბროლაძის) ახალციხის კრემიუმის თა-  
ნამდგომიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს მამა თევდორე (თამაზ ამბროლაძე) ახალციხის რაიონის  
პრეფექტის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვინაძე გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 27 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**552** ლატვიის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლო-  
ბის ცნობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი პრინცი-  
პებზე შესაბამისად ვადგენ:

1. ლატვიის რესპუბლიკის მიერ 1991 წლის 21 აგვისტოს მიღებული და-  
მოუკიდებლობის აღდგენის აქტის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკა  
ცნობს ლატვიის რესპუბლიკას როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს და  
სერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან სუბიექტს.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს  
დაიწიოს მოლაპარაკება ლატვიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტ-  
როსთან ჩვენს ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარე-  
ბის მიზნით.

3. საქართველოს რესპუბლიკა მიმართავს ყველა სუვერენულ სახელმწი-  
ფოს ცნოს ლატვიის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვინაძე გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 27 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**553** ლიტვის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი პრინციპების შესაბამისად ვადგენ:

1. ლიტვის რესპუბლიკის მიერ მიღებული დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკა ცნობს ლიტვის რესპუბლიკას როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს და საერთაშორისო სამართლის სრულ უფლებიან სუბიექტს.
2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაიწყოს მოლაპარაკება ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ჩვენს ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების მიზნით.
3. საქართველოს რესპუბლიკა მიმართავს ყველა სუვერენულ სახელმწიფოს ცნოს ლიტვის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 27 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**554** მოლდოვას რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი პრინციპების შესაბამისად ვადგენ:

1. მოლდოვას რესპუბლიკის მიერ 1991 წლის 27 აგვისტოს მიღებულ დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკა ცნობს მოლდოვას რესპუბლიკას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს და საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან სუბიექტს.
2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაიწყოს მოლაპარაკება მოლდოვას რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ჩვენს ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების მიზნით.

3. საქართველოს რესპუბლიკა მიმართავს ყველა სუვერენულ სახელმწიფოს ცნოს მოლდოვას რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვინაძე გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 27 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**555** დ. შ. ჭოგალიას ქ. თბილისის კრწანისის რაიონის კრეფეჭტად დანიშვნის შესახებ

დანიშნოს დავით შოთას ძე ჭოგალია ქ. თბილისის კრწანისის რაიონის კრეფეჭტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვინაძე გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 29 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**556** თ. დ. კალაძის ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის კრეფეჭტად დანიშვნის შესახებ

დანიშნოს თამაზ დავითის ძე კალაძე ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის კრეფეჭტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვინაძე გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 29 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**557** ბ. დ. გიგაურის ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ბელა დავითის ასული გიგაური ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯვინად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 29 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**558** ლ. ე. თოთაძის ქ. თბილისის სამგორის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ლევან ელგუჯას ძე თოთაძე ქ. თბილისის სამგორის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯვინად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 29 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**559** ვ. ზ. ჭანტურიას ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ვახტანგ ზულიაშვილის ძე ჭანტურია ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯვინად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 29 აგვისტო.



საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

560 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების შე-  
სახება

1. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტთან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა საკითხების კომისია და განისაზღვროს მისი შემადგენლობა თანახმად დანართისა.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანეს“ შეადგინოს იმ ცვლილებათა ქრონოლოგიური ნუსხა: (ცვლილების შინაარსის, ცაკის (ან სხვა ორგანოს) ბრძანებულების (გადაწყვეტილების) თარიღისა და ნომრის აღნიშვნით), რომლებიც მოხდა რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში 1921 წლიდან 1977 წლის 1 იანვრამდე.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ 1977 წლის 1 იანვრიდან მომხდარი ცვლილებები ასახულია რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ცნობარის მეხუთე გამოცემაში.

3. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოპონომიკური კვლევის რესპუბლიკურ ცენტრთან ერთად აკადემიის შესაბამისი ინსტიტუტების, რაიონებისა და ქალაქების პრეფექტებისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით შეისწავლოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ვანლაგებული ზოგიერთი დასახლებული პუნქტისათვის სახელის გადარქმევის საკითხი და წარმოადგინოს მეცნიერულად დასაბუთებული შესაბამისი წინადადებები.

4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, სატყეო მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს სასწრაფოდ შეუდგეს რაიონების, ქალაქებისა და დაბების საზღვრების პროექტების დამუშავებას და წარმოადგინოს თანამიმდევრობით მათი მზადყოფნის კვალობაზე.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს მისი 1991 წლის 23 მაისის დადგენილებით დამტკიცებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესში.

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 28 სექტემბრის დადგენილება საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა საკითხების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია**.

თბილისი, 1991 წლის 30 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენ-  
ტის 1991 წლის 30 აგვისტოს  
ბრძანებულების დანართი

საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა  
და დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა საკითხების კომისიის  
შემადგენლობა

### კომისიის თავმჯდომარე

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

### კომისიის წევრები

1. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატის ადგილობრივი მმართველობის ბიუროს უფროსი.

2. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

3. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი.

4. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი.

5. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

6. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი.

7. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის გამგე.

8. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის გამგე.

9. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე.

10. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმიკური კვლევის რესპუბლიკური ცენტრის — ტოპონიმიკის ლაბორატორიის მეცნიერი ხელმძღვანელი.

11. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმიკური კვლევის რესპუბლიკური ცენტრის — ტოპონიმიკის ლაბორატორიის გამგე.

### კომისიის პასუხისმგებელი მდივანი

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატის ადგილობრივი მმართველობის ბიუროს კონსულტანტი.



# საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

(2 აგვისტო)

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

### საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ

561

#### კ ა რ ი I

#### ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1.** საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი

1. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი (შემდგომში ეროვნული ბანკი) არის რესპუბლიკის ცენტრალური ბანკი და მის საკუთრებას წარმოადგენს.

2. ეროვნული ბანკი იქმნება ამ კანონის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

3. ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანებია: ეროვნული ფულის ერთეულის სიმტკიცის უზრუნველყოფა, დაკრედიტების, ანგარიშსწორების, ფულის მიმოქცევისა და სავალუტო ურთიერთობათა სფეროში სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკის გატარება; კრედიტორებისა და მენაბრეთა ინტერესების დაცვა კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირების წესების განსაზღვრით და მათი შესრულებისადმი კონტროლი; საქართველოს რესპუბლიკის ერთიანი ბაზრის შექმნა და მისი მსოფლიოს ეკონომიკაში ინტეგრირებისათვის ხელშეწყობა.

4. ეროვნული ბანკი ეკონომიკურად დამოუკიდებელია და ყოველგვარ ხარჯებს უზრუნველყოფს საკუთარი შემოსავლებით. ეროვნული ბანკი პასუხს არ აგებს საქართველოს მთავრობის ვალდებულებებზე, არც საქართველოს მთავრობა არის პასუხისმგებელი ეროვნული ბანკის ვალდებულებებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბანკი ან მთავრობა თავად იღებენ თავის თავზე ასეთ ვალდებულებებს.

5. ეროვნული ბანკი იცავს საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებს სხვა ქვეყნების ცენტრალურ ბანკებთან, საერთაშორისო ბანკებთან და სხვა საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებთან, სადაც სახელმწიფოთაშორისო თანამშრომლობა ხორციელდება ქვეყნის ცენტრალური ბანკების დონეზე.

6. ეროვნულ ბანკს აქვს უფლება გაწევრიანდეს სხვა ქვეყნების ცენტრალურ ბანკებთან საერთაშორისო კავშირებში.

7. ეროვნული ბანკი საქართველოში არსებული ყველა ბანკისათვის გამოსცემს სავალდებულო ნორმატიულ აქტებსა და სხვა მითითებებს მის კომპეტენციაში შემავალი საკითხების გარშემო.



8. ეროვნული ბანკი თავის საქმიანობაში საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებულ წესებსა და ჩვევებზე დაყრდნობით ხელმძღვანელობს ამ კანონით, საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონებითა და საკუთარი წესდებით.

9. ეროვნული ბანკი წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომლის წესდებას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

10. ეროვნულ ბანკს და მის დაწესებულებებს აქვთ ბეჭედი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბით და თავისი სახელწოდებით.

11. ეროვნული ბანკის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

**მუხლი 2.** ურთიერთობა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან

1. ეროვნული ბანკი თავისი ფუნქციების შესრულებისათვის ამ კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში მონაწილეობს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს უფლება აქვს სათათბირო ხმით მონაწილეობდეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სხდომების მუშაობაში.

2. ეროვნული ბანკი კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს არა აქვთ უფლება ჩაერიონ მის საქმიანობაში.

ბანკის საქმიანობაში არაკანონიერი ჩარევის შემთხვევაში მას აქვს უფლება გაასაჩივროს ეს ქმედებანი საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სამართლოში.

3. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას განსაკუთრებულ შემთხვევებში შეუძლია ორი კვირით შეაჩეროს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება საკითხის გარკვევამდე ან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

4. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და ეროვნული ბანკი ვალდებული არიან ინფორმაცია მიაწოდონ ერთმანეთს გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარების თაობაზე და ისწრაფოდნენ კოორდინირებული მოქმედებისაკენ.

5. ეროვნულ ბანკს ეკრძალება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება და პირველადი განთავსებით სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესაძენად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისათვის (საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსათვის) კრედიტების გამოყოფა.

6. საგანგებო შემთხვევაში ეროვნულ ბანკს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ნებართვით შეუძლია გამოუყოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას (საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს) კრედიტი.

7. ეროვნული ბანკი უსასყიდლოდ უწევს საბანკო მომსახურებას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას (საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს), აგრეთვე ახორციელებს რესპუბლიკური ბიუ-



ჯეტის საკასო შესრულებას და ატარებს საანგარიშსწორებო და სხვა ოპერაციებს. სახელმწიფოს სახსრები ინახება ეროვნული ბანკის უპროცენტო ანგარიშებზე.

8. ეროვნული ბანკი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დავალებით და საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით უსასყიდლოდ ახორციელებს სახელმწიფოს შინაგანი და საგარეო ვალის მართვას, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსების, პროცენტების გაცემის, რეფინანსირებისა და სესხების დაფარვის ოპერაციების წარმოებასთან.

9. ეროვნული ბანკის უფლებამოსილებანი სახელმწიფო ვალის მართვის საკითხებში განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონით „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ვალის შესახებ“.

10. ეროვნული ბანკი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დავალებით და საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით მართავს საქართველოს რესპუბლიკის ვალუტას და ოქროს რეზერვებს.

11. ეროვნული ბანკი და მისი დაწესებულებები თავისუფლდებაან ყველა სახის სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების, გამოსაღებების და სახელმწიფო ბაჟის (საგერბოს და საბაჟოს ჩათვლით) გადასახადებისაგან.

12. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში შესატანი ფულად-საკრედიტო რეგულირებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტებისა და სხვა გადაწყვეტილებების პროექტები ექვემდებარება ეროვნულ ბანკთან წინასწარ შეთანხმებას.

**მუხლი 3.** ეროვნული ბანკის ძირითადი ფუნქციები

ეროვნული ბანკის ძირითადი ფუნქციებია:

- ა) ფულის ემისია და ფულის მიმოქცევის ორგანიზება;
- ბ) ეროვნული ეკონომიკის ფულად-საკრედიტო რეგულირება;
- გ) როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორი კომერციული ბანკების დაკრედიტება;
- დ) კომერციულ ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებს\* შორის ანგარიშსწორების ორგანიზაცია, კლიცენზიების გაცემა;
- ე) რესპუბლიკის სახელმწიფო ვალის მომსახურება;
- ვ) რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტთან ოპერაციების წარმოება;
- ზ) ფასიანი ქაღალდებისა და უცხოური ვალუტის ბაზარზე ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების წარმოება;
- თ) რესპუბლიკის სავალუტო და ძვირფასი ლითონების რეზერვების მართვა;
- ი) კომერციული ბანკებისათვის საბანკო ოპერაციებისა და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოება;

\* შემდგომში კომერციული ბანკებისა და სხვა საკრედიტო დაწესებულებების ნაცვლად შემოკლების მიზნით ნახმარი იქნება კომერციული ბანკები.

კ) კომერციული ბანკების საქმიანობის კონტროლი;

ლ) საინფორმაციო სისტემისა და საბანკო სტატისტიკის ორგანიზაცია.

**მუხლი 4.** ეროვნული ბანკის საწესდებო კაპიტალი და ფონდები

1. ეროვნულ ბანკს აქვს საწესდებო ფონდი, რომელიც ემსახურება მისი ვალდებულებების უზრუნველყოფას. ეროვნული ბანკის წესდებით განისაზღვრება საწესდებო ფონდის ოდენობა, მისი შექმნის წესი და წყაროები.

2. ეროვნული ბანკი საბანკო სისტემის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ქმნის სადაზღვევო და სარეზერვო ფონდებს ბანკების ანარიცხების ხარჯზე.

3. ეროვნულ ბანკს შეუძლია შექმნას სხვადასხვა დანიშნულების ფონდები, რომელთა შექმნისა და გამოყენების წესებს განსაზღვრავს ეროვნული ბანკის წესდება.

**მუხლი 5.** ეროვნული ბანკის მოგება და მისი განაწილება

1. ეროვნული ბანკის მოგება იქმნება თავისი საქმიანობიდან მიღებული ყველა შემოსავლისაგან და ნაწილდება ეროვნული ბანკის წესდების შესაბამისად.

2. ეროვნულ ბანკს და მის დაწესებულებებს არა აქვთ უფლება იყვნენ კომერციული ბანკების ან სხვა დაწესებულებების აქციონერები გარდა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დაშვებული და ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული გამონაკლისი შემთხვევებისა.

**მუხლი 6.** ეროვნული ბანკის ანგარიშგება

1. ეროვნული ბანკის საქმიანობის საანგარიშგებო პერიოდია 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. ეროვნული ბანკი ყოველწლიურად არა უგვიანეს 1 აპრილისა განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ანგარიშგებას 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს. ანგარიშგება უნდა შეიცავდეს რესპუბლიკის საბანკო სისტემის, ფულის მიმოქცევისა და ფინანსების, საგადასახადო ბალანსისა და სავალუტო მდგომარეობის, აგრეთვე ეროვნული ბანკის ოპერაციების ანალიზს, წლიურ ბალანსსა და მოგება-ზარალის ანგარიშს.

წლიური ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში დადასტურებული უნდა იყოს აუდიტორული ორგანიზაციის მიერ.

3. ეროვნული ბანკი ყოველკვარტალურად აქვეყნებს პრესაში თავის ბალანსსა და მონაცემებს ფულის მიმოქცევის მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე წლიურ ბალანსს უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ.

4. ეროვნული ბანკი ყოველკვარტალურად გამოსცემს თავისი საქმიანობის და რესპუბლიკის საბანკო სისტემის ფუნქციონირების შედეგების ამსახველ ბიულეტენს.

კ ა რ ი II

ეროვნული ბანკის საემისიო უფლება და ფულის მიმოქცევის ორგანიზაცია

**მუხლი 7.** საქართველოს რესპუბლიკის ფულის ერთეული

საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალური ფულის ერთეულია ეროვნული ფულის ნიშანი, რომლის დასახელება, სახე, შემადგენლობა, უზრუნველყოფა, სხვა აუცილებელი ნიშნები და დებულებები განისაზღვრება „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ფულადი სისტემის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონით.

**მუხლი 8.** ფულის ემისია

1. ეროვნული ბანკი წარმოადგენს რესპუბლიკის საემისიო ცენტრს და მხოლოდ მას აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე ფულის ნიშნების მიმოქცევაში გამოშვებისა და მიმოქცევიდან ამოღების უფლება.

2. ფულის უნაღდო ემისია ხორციელდება სადებოზიტო-სასესხო ოპერაციების პროცესში.

3. ეროვნული ბანკი ფულად-საკრედიტო ბერკეტების მეშვეობით ახდენს ნაღდი და უნაღდო ემისიის რეგულირებას.

4. ფულის ემისიის გამოყენება უშუალოდ რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად აკრძალულია.

**მუხლი 9.** ფულის ნიშნების მიმოქცევის ორგანიზაცია

ეროვნული ბანკი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად:

- ა) ახდენს ბანკნოტებისა და მონეტების დამზადების ორგანიზებას;
- ბ) ადგენს ბანკებში ნაღდი ფულის გადაზიდვის, შენახვისა და ინკასაციის წესს;
- გ) ადგენს ბანკნოტებისა და მონეტების სარეზერვო ფონდების შექმნის წესს;
- დ) ადგენს ფულადი ნიშნების ვარგისიანობის განსაზღვრის, აგრეთვე დაზიანებული ბანკნოტებისა და მონეტების გამოცვლისა და განადგურების წესს.

კ ა რ ი III

ფულად-საკრედიტო რეგულირება

**მუხლი 10.** ფულად-საკრედიტო რეგულირება

ეროვნული ბანკი „საქართველოს რესპუბლიკის ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად ახორციელებს რესპუბლიკაში ფულის მიმოქცევის მართვას მიმოქცევაში ერთობლივი ფულადი მასის მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილებების გზით.

## კ ა რ ი IV

### ეროვნული ბანკის ოპერაციები

**მუხლი 11.** ოპერაციები ბანკებთან

ეროვნულ ბანკს აქვს უფლება:

ა) კომერციულ ბანკებს მისცეს კრედიტები მსესხებლებთან შეთანხმებულ ვადებში;

ბ) შეიძინოს, გაყიდოს და აწარმოოს სხვა გარიგებები თამასუქებითა და ჩეკებით, რომელთაც აქვთ მათზე ვალდებული ცნობილი გადახდისუნარიანი სამი პირის ხელმოწერა და გადახდის ვადით არაუგვიანეს სამი თვისა შეძენის თარიღიდან;

გ) შეიძინოს, შეინახოს და გაყიდოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები;

დ) გასცეს კრედიტები სამ თვემდე ვადით ამ მუხლის ბ და გ პუნქტებში მითითებული ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ, ამასთან, არა უმეტეს მათი საერთო თანხის 90 პროცენტისა;

ე) შეიძინოს და გაყიდოს უცხოური ვალუტა და ბანკების მიერ წაყენებული საგადახდო საბუთები უცხოურ ვალუტაში;

ვ) შეიძინოს და გაყიდოს ოქრო, სხვა ძვირფასი ლითონები.

**მუხლი 12.** ოპერაციები ფასიანი ქაღალდების ბაზარზე

ფულის მიმოქცევის რეგულირების მიზნით ეროვნულ ბანკს შეუძლია შეიძინოს და გაყიდოს საბაზრო ფასებში თამასუქები, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ კანონის მე-11 მუხლის „ბ“ პუნქტის მოთხოვნებს, აგრეთვე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები.

**მუხლი 13.** ბანკებს შორის ანგარიშსწორების ორგანიზაცია

ეროვნული ბანკი აწარმოებს კომერციულ ბანკებს შორის ანგარიშსწორების ორგანიზაციას საკორესპონდენტო ანგარიშების მეშვეობით ან სხვა კომერციული ბანკებისათვის მიზანშეწონილი ფორმით.

**მუხლი 14.** ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ეროვნული ბანკი რესპუბლიკის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ უფლებამოსილია აწარმოოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებული ყველა ოპერაცია უცხოურ ვალუტაში.

**მუხლი 15.** სავალუტო და ძვირფასი ლითონების რეზერვების მართვა

ეროვნული ბანკი მართავს სავალუტო და ძვირფასი ლითონების რეზერვებს, რომლებიც ეროვნული ბანკის ბალანსზეა და ემსახურება ეროვნული ბანკის ვალდებულებების უზრუნველყოფას.

ამ რეზერვების განთავსებისა და შენახვის ოპერაციებს ეროვნული ბანკი აწარმოებს დამოუკიდებლად, ან შესაბამისი რწმუნებით აღჭურვილი ბანკებისა და ორგანიზაციების მეშვეობით.

## კარი V

### ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობა

**მუხლი 16.** ეროვნული ბანკის კომერციულ ბანკებთან ურთიერთობის პრინციპები

ეროვნული ბანკი თავისი საქმიანობით ხელს უწყობს კომერციული ბანკების ნორმალურ ფუნქციონირებას და მათ შორის კონკურენციისათვის თანაბარი პირობების შექმნას.

ეროვნული ბანკი არ ერევა კომერციული ბანკების ოპერატიულ საქმიანობაში. რაც შეეხება ეროვნული ბანკის მარეგულირებელ და საკონტროლო ფუნქციებს, ძინი შეზღუდული არიან ამ კანონით და იცავენ ფულად-საკრედიტო სისტემის სტაბილურობას და კრედიტორებისა და მეანაბრეთა ინტერესებს.

**მუხლი 17.** საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის ლიცენზიების გაცემა და მათი რეგისტრაცია

1. საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის ლიცენზიებს გაცემს ეროვნული ბანკი „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად.

2. ეროვნული ბანკი აწარმოებს კომერციული ბანკების რეგისტრაციის საერთორესპუბლიკურ რეესტრს.

**მუხლი 18.** უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოებაზე ლიცენზიების გაცემა

ეროვნული ბანკი აძლევს ლიცენზიებს კომერციულ ბანკებს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოებაზე მის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

**მუხლი 19.** სადაზღვევო და სარეზერვო ფონდების შექმნის წესების დადგენა

ეროვნული ბანკი განსაზღვრავს კომერციული ბანკების მოგებიდან მოსალოდნელი ზარალის ასანაზღაურებლად გამიზნული სადაზღვევო და სარეზერვო ფონდების შექმნის საერთო წესს.

**მუხლი 20.** კომერციული ბანკებისათვის ეკონომიკური ნორმატივების დაწესება

ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის წესდება შემდეგი ეკონომიკური ნორმატივები:

- ა) საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა;
- ბ) ბანკის საკუთარი სახსრებისა და მისი აქტივების ზღვრული თანაფარლობა;
- გ) ბალანსის ლიკვიდობის მაჩვენებლები;
- დ) ეროვნულ ბანკში მოსათავსებელი აუცილებელი რეზერვების ოდენობა;
- ე) ერთ მსესხებელზე რისკის მაქსიმალური ოდენობა;

ვ) მოსახლეობიდან მოზიდული ანაბრების საკუთარ სახსრებთან ზღვრული თანაფარდობა (გარდა შემნახველი ბანკებისა).

**მუხლი 21.** ეროვნული ბანკის საკონტროლო ფუნქციები

ეროვნული ბანკი აკონტროლებს კომერციული ბანკების მიერ საბანკო კანონმდებლობის დაცვას.

ამ მიზნით კომერციული ბანკების შემოწმებას აწარმოებს ეროვნული ბანკი ან მისი დავალებით აუდიტორული ორგანიზაცია, რომელსაც აქვს შესაბამისი რწმუნებანი.

**მუხლი 22.** ეროვნული ბანკის უფლებამოსილებანი საბანკო კანონმდებლობის დარღვევების აღმოსაფხვრელად

1. საბანკო კანონმდებლობის დარღვევების ფაქტების აღმოჩენისას ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკს აუცილებელ მითითებებს აძლევს გამოვლენილი დარღვევების განსაზღვრულ ვადებში აღმოსაფხვრელად.

2. თუ კომერციული ბანკი სისტემატურად არღვევს ეკონომიკურ ნორმატივებს, არ ასრულებს ეროვნული ბანკის მიწერილობებს დარღვევების აღმოსაფხვრის ვადებისა და პირობების შესახებ, არ წარმოადგენს ან წარმოადგენს არაზუსტ ანგარიშგებას, ფუნქციონირებს ზარალიანად, ან რეალური საშიშროება ექმნება ბანკის მეანაბრებისა და კრედიტორების ინტერესებს, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია:

ა) დააყენოს საკითხი კომერციული ბანკის დამფუძნებლების (მონაწილეთა) წინაშე ბანკის ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების (საკუთარი სახსრების ზრდა, აქტივების სტრუქტურის შეცვლა და სხვა), ბანკის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

ბ) მიუყენოს შემდეგი სანქციები:

გადაახდევინოს ფულადი ჯარიმა ბანკის არასწორი ქმედებიდან მიღებული დამატებითი შემოსავლის ოდენობით;

გაუზარდოს აუცილებელი რეზერვების ნორმა;

გამოაცხადოს ვაკოტრებულად კომერციული ბანკი „ვაკოტრების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად;

გააუქმოს ლიცენზიები საბანკო ოპერაციების წარმოებაზე.

**მუხლი 23.** ანტიმონოპოლიური უფლებამოსილებანი

ეროვნული ბანკი უფლებამოსილია შეაჩეროს (აკრძალოს) საბანკო საქმიანობის კონკურენციის შეზღუდვის, საპროცენტო განაკვეთებისა და საკომისიო გასამრჯელოს ფიქსაციისაკენ მიმართული საბანკო კავშირებისა და გაერთიანებების ნებისმიერი ქმედება.

**მუხლი 24.** სადგვო საკითხების გადაწყვეტის წესი

ეროვნული ბანკის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი შეიძლება გასაჩივრდეს კომერციული ბანკების ან მათი დამფუძნებლების მიერ სასამართლოში ან სახელმწიფო არბიტრაჟში.

### კარი VI

#### აღრიცხვა და ანგარიშგება ბანკებში

**მუხლი 25.** აღრიცხვის წესები ბანკებში ეროვნული ბანკი ადგენს ყველა ბანკისათვის საბუღალტრო აღრიცხვის წესებს.

**მუხლი 26.** კომერციული ბანკებისათვის ანგარიშგების დადგენა ეროვნული ბანკი განუსაზღვრავს კომერციულ ბანკებს საანგარიშგებო და სხვა საინფორმაციო მასალების მოცულობასა და ფორმებს.

### კარი VII

#### ეროვნული ბანკის მოსამსახურეთა უფლებების რეგლამენტირება

**მუხლი 27.** ეროვნული ბანკის მოსამსახურეთა უფლებების რეგლამენტირება ეროვნული ბანკის მოსამსახურეებს არა აქვთ უფლება იმუშაონ შეთავსებით და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, მიიღონ ფულადი ანაზღაურება ორგანიზაციებიდან და მოქალაქეებიდან (გარდა ჰონორარებისა და სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში პედაგოგიური საქმიანობისა), გახდნენ კომერციული ბანკების მუშაეები (მონაწილეები) ან მიიღონ რაიმე ფორმით მონაწილეობა მათ მართვაში.

ეროვნული ბანკის მოსამსახურეებს უფლება აქვთ მიიღონ სესხი მხოლოდ ეროვნულ ბანკში.

### კარი VIII

#### ეროვნული ბანკის მართვა

**მუხლი 28.** ეროვნული ბანკის სტრუქტურა

1. ეროვნული ბანკი წარმოადგენს ერთიან ცენტრალიზებულ სისტემას, რომელიც შედგება ცენტრალური აპარატისა და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან.

2. ეროვნულ ბანკს საქართველოს რესპუბლიკის ავტონომიურ რესპუბლიკებში აქვს დაქვემდებარებული დაწესებულებები ამ რესპუბლიკების ცენტრალური ბანკების სტატუსით.

3. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი განსაზღვრავს ეროვნული ბანკისადმი დაქვემდებარებული დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ჩამოყალიბების, დახურვისა (გაუქმების) და ფუნქციონირების წესებს.

**მუხლი 29.** ეროვნული ბანკის მმართველობა

1. ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას ახორციელებენ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და ეროვნული ბანკის გამგეობა.



2. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ნიშნავს (5 წლით) და ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით.

ეროვნული ბანკის გამგეობის პერსონალურ შემადგენლობას ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წინადადებით ნიშნავს (5 წლით) და ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

3. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკთან მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებისაგან იქმნება მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობას პერსონალურად ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

მრჩეველთა საბჭოს ამოცანაა სისტემატურად გააანალიზოს ფულად-სა-კრედიტო პოლიტიკის განხორციელების მიმდინარეობა რესპუბლიკაში და შეიმუშაოს რეკომენდაციები, რომლებსაც, როგორც წესი, ითვალისწინებს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა.

4. ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალური ბანკის სტატუსის მქონე ეროვნული ბანკის დაწესებულებების ხელმძღვანელებს ნიშნავს და ათავისუფლებს ეროვნული ბანკის გამგეობა ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების წარდგენით.

5. ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და გამგეობის უფლებამოსილებასა და ვალდებულებებს, აგრეთვე გამგეობის მუშაობის რეგლამენტს განსაზღვრავს ეროვნული ბანკის წესდება ამ კანონის შესაბამისად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 2 აგვისტო.

### საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## **562** საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ

### კ ა რ ი I

#### **ზოგადი დებულებანი**

#### **მუხლი 1. ბანკის ცნება**

ბანკი წარმოადგენს კომერციულ დაწესებულებას იურიდიული პირის სტატუსით, რომელიც შექმნილია ფულადი სახსრების მოზიდვისა და თავისი სახელით მათი განთავსების მიზნით დაბრუნებადობის, ფასიანობისა და ვალიანობის პირობით.

ბანკები იქმნება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული საკუთრების ნებისმიერი ფორმით.

**მუხლი 2.** საფირმო დასახელება

ტერმინი „ბანკი“ ან სხვა სიტყვათწყობა ამ ტერმინის გამოყენებით შეიძლება ჩართულ იქნეს იურიდიული პირის საფირმო დასახელებაში ან გამოყენებულ იქნეს სარეკლამო მიზნებისათვის მხოლოდ იმ დაწესებულებების მიერ, რომელთაც ამ კანონის საფუძველზე მინიჭებული აქვთ საბანკო ოპერაციების წარმოების უფლება.

**მუხლი 3.** საქართველოს რესპუბლიკის საბანკო სისტემა

საქართველოს რესპუბლიკის საბანკო სისტემა მოიცავს:

ა) საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკსა და მის დაწესებულებებს, რომელთა საქმიანობას არეგულირებს საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ (ამ კანონის დებულებები გამოიყენება ეროვნული ბანკის მიმართ, როდესაც ამის შესახებ არის პირდაპირი მითითება);

ბ) კომერციულ ბანკებს, რომელთა საქმიანობას არეგულირებს ეს კანონი და მის საფუძველზე გამოცემული საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები;

გ) სხვა საკრედიტო დაწესებულებებს (საქველმოქმედო, საღაზღვეო და საპენსიო ფონდებს, საინვესტიციო კომპანიებს).

ერთობლივი\* და უცხოეთის\*\* ბანკების, აგრეთვე უცხოეთის ბანკების ფილიალებისა და წარმომადგენლობების საქმიანობას არეგულირებს ეს კანონი, აგრეთვე უცხოეთის ინვესტიციების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

**მუხლი 4.** კომერციული ბანკების სახეობანი

1. კომერციული ბანკები განსხვავდებიან:

ა) საწესდებო კაპიტალის კუთვნილებისა და შექმნის წესის მიხედვით — საპაიო, სააქციო ერთობლივი და უცხოეთის ბანკები;

ბ) საქმიანობის არეალის მიხედვით — სპეციალიზებული და უნივერსალური ბანკები;

გ) დარგობრივი ორიენტაციის მიხედვით.

2. რესპუბლიკური, რეგიონალური თუ სხვა პროგრამების და დასაფინანსებლად საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესითა და პირობებით შეიძლება შეიქმნას სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული ბანკები.

\* უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილი ბანკები.

\*\* ბანკები, რომელთა საწესდებო ფონდები მთლიანად უცხოური კაპიტალით არის შექმნილი.



3. კომერციულ ბანკებს შეუძლიათ შექმნან კავშირები, ასოციაციები და სხვა გაერთიანებები მათი ინტერესების დაცვისა და საქმიანობის კოორდინაციისათვის.

4. ბანკებს ეკრძალებათ თავიანთი კავშირები, ასოციაციები და სხვა გაერთიანებები გამოიყენონ ისეთი შეთანხმებების მისაღწევად, რომლებიც მიმართულია საბანკო ოპერაციების ბაზრის მონოპოლიზაციისაკენ საპროცენტო განაკვეთებისა და საკომისიო გასამრჯელოების ოდენობის დაწესების საკითხებში, აგრეთვე საბანკო საქმეში კონკურენციის შეზღუდვისაკენ.

ანტიმონოპოლიური წესების დაცვას აკონტროლებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

**მუხლი 5. კომერციული ბანკის წესდება**

1. კომერციული ბანკი ფუნქციონირებს მისი დამფუძნებლის საერთო კრებაზე დამტკიცებული წესდების საფუძველზე.

2. კომერციული ბანკის წესდებაში განსაზღვრული უნდა იყოს:

ა) ბანკის დასახელება და ადგილსამყოფელი (საფოსტო მისამართი);

ბ) ბანკის მიერ შესასრულებელი ოპერაციები;

გ) ბანკის საწესდებო ფონდის მოცულობა და სხვა ფონდები, მათი შექმნის წესი წყაროს მითითებით;

დ) სამართლებრივი მდგომარეობა იმის მითითებით, რომ ბანკი იურიდიულ პირს წარმოადგენს;

ე) დებულება ბანკის მმართველობის ორგანოების, მათი შექმნის, ფუნქციონირებისა და სტრუქტურის, საბანკო საქმიანობის კონტროლის შესახებ;

ვ) ბანკის საქმიანობის შეწყვეტის წესი.

3. კომერციული ბანკის წესდება იქმნება ეროვნული ბანკის რეკომენდაციის საფუძველზე; ამასთან, დასაშვებია მასში გათვალისწინებულ იქნეს სხვა დებულებებიც, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას და ასახავს ბანკის საქმიანობის თავისებურებებს.

**მუხლი 6. კომერციული ბანკების ოპერაციები**

1. კომერციული ბანკები იღებენ და განათავსებენ ფულად ანაბრებს, იზიდავენ და გასცემენ კრედიტებს, კლიენტებისა და ბანკ-კორესპონდენტების დავალებებით ახორციელებენ ანგარიშსწორებასა და მათ საკასო მომსახურებას.

კომერციულ ბანკებს შეუძლიათ განახორციელონ სხვა ოპერაციებიც, რომლებიც გათვალისწინებულია მათი წესდებებით და არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, მათ შორის:

ა) კლიენტებისა და ბანკ-კორესპონდენტების ანგარიშების წარმოება;

ბ) კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება ინვესტირებადი სახსრების მფლობელის ან მათი განმკარგულებლის დავალებით;

გ) საგადასახადო საბუთებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების (ჩეკები, აკრედიტივები, თამასუქები, აქციები, ობლიგაციები და სხვა) გამოშვება;

დ) სახელმწიფო საგადასახადო საბუთებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების შექმნა, გაყიდვა და შენახვა, აგრეთვე მათთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები;

ე) მესამე პირის მაგივრად თავდებების, გარანტიებისა და სხვა ვალდებულებათა გაცემა, რომელთა შესრულებაც გათვალისწინებულია ფულადი ფორმით;

ვ) საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევიდან მოთხოვნის უფლების შექმნა; ასეთი მოთხოვნის შესრულებაზე რისკის აღება და ამ მოთხოვნის ინკასაცია (ფაქტორინგი);

ზ) საწარმოებისა და ორგანიზაციების თხოვნით მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა ქონების შექმნა და იჯარით გაცემა (ლიზინგი);

თ) ორგანიზაციებისა და მოსახლეობისაგან უცხოური ვალუტის შექმნა და მათთვის მისი მიყიდვა;

ი) საქართველოს და მის ფარგლებს გარეთ ძვირფასი ლითონების, ბუნებრივი ძვირფასი ქვების, აგრეთვე მათგან დამზადებულ ნაკეთობათა შექმნა და გაყიდვა;

კ) ანგარიშებსა და ანაბრებზე ძვირფასი ლითონების მოზიდვა და განთავსება, აგრეთვე ამ ფასეულობებთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები საერთაშორისო საბანკო პრაქტიკის შესაბამისად;

ლ) კლიენტების დავალებით სამინდობილო ოპერაციები (სახსრების მოზიდვა და განზიდვა, ფასიანი ქაღალდების მართვა და სხვა);

მ) საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების გაწევა.

ამ მუხლში გათვალისწინებული ოპერაციები შეიძლება განხორციელდეს როგორც ეროვნული ფულადი ერთეულით, ისე უცხოური ვალუტით.

2. კომერციულ ბანკებს შეუძლიათ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის ლიცენზიების საფუძველზე განახორციელონ ოპერაციები უცხოური ვალუტით.

უცხოური ვალუტით საბანკო ოპერაციების წარმოებაზე ლიცენზიების გაცემის წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

3. კომერციული ბანკები ვალდებული არიან ეროვნული ბანკის დავალებების საფუძველზე განახორციელონ ბიუჯეტის საკასო შესრულების ოპერაციები.

4. კომერციულ ბანკებს ეკრძალებათ ყოველგვარი სამეურნეო საქმიანობა, რომელიც საბანკო საქმიანობის სფეროს სცილდება, აგრეთვე საქმიანობა ყველა სახის დაზღვევის სფეროში.

#### **მუხლი 7. კომერციული ბანკების დამოუკიდებლობა**

კომერციული ბანკები სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელი და განმარტულბელი ორგანოებისაგან დამოუკიდებლად ახორციელებენ თავიანთ ოპერატიულ საქმიანობას.

კომერციული ბანკები პასუხს არ აგებენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ვალდებულებებზე, ისევე როგორც მთავრობა არ არის პასუხისმგებელი ბანკების ვალდებულებებზე, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც მთავრობა ან ბანკი თავად კისრულობს ასეთ ვალდებულებას.

კ ა რ ი II

კომერციული ბანკების გახსნისა და ლიკვიდაციის წესი

**მუხლი 8.** კომერციული ბანკის დამფუძნებლები, აქციონერები (მონაწილეები)

1. კომერციული ბანკის დამფუძნებლები, აქციონერები (მონაწილეები) შეიძლება იყვნენ ფიზიკური და იურიდიული პირები. სახელმწიფო ხელისუფლების ყველა დონის ორგანო და მათი აღმასრულებელი ქვედანაყოფები, როგორც წესი, არ შეიძლება იყვნენ კომერციული ბანკის დამფუძნებლები. თითოეული მონაწილის წილი არ უნდა აღემატებოდეს საწესდებო კაპიტალის 35 პროცენტს.

2. უცხოური და ერთობლივი ბანკების შექმნისას ერთ-ერთი უცხოური დამფუძნებელი, როგორც წესი, უნდა იყოს ბანკი.

**მუხლი 9.** კომერციული ბანკების საქმიანობის ლიცენზირების წესი  
კომერციული ბანკები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ, საბანკო ოპერაციების წარმოებაზე საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიების საფუძველზე.

**მუხლი 10.** ლიცენზიების მისაღებად აუცილებელი დოკუმენტაცია

1. საბანკო ოპერაციების წარმოებაზე ლიცენზიების მისაღებად აუცილებელია შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

- ა) შუამდგომლობა ლიცენზიის მისაღებად;
- ბ) დამფუძნებელი საბუთები, დამფუძნებელი ხელშეკრულება, ბანკის წესდება, ოქმი წესდების დამტკიცებისა და ბანკის მმართველობითი ორგანოების დანიშვნის შესახებ;
- გ) ეკონომიკური დასაბუთება. გაანგარიშებითი ბალანსის, შემოსავალ-გასავლისა და მოგების გეგმის\* აუცილებელი დართვით;
- დ) დამფუძნებლების საფინანსო მდგომარეობის შესახებ აუდიტორული ორგანიზაციის დასკვნა;
- ე) მონაცემები ბანკის ხელმძღვანელების (გამგეობის თავმჯდომარე და მთავარი ბუღალტერი) პროფესიული შესაბამისობის შესახებ, მათი უმწიკვლო რეპუტაციის და, როგორც წესი, საბანკო მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით;
- ვ) დოკუმენტი გაცემული ლიცენზიების ფარგლებში საწესდებო ვალდებულებების შესასრულებლად ვარგისი შენობის არსებობის შესახებ;
- ზ) საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დოკუმენტები.

2. საწესდებო ფონდის მინიმალურ ოდენობას, აგრეთვე მისი განაღდების წესსა და ვადებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი კომერციული ბანკის სახეობის მიხედვით.

\* მონაცემები კეთდება ეკონომიკურად დასაბუთებული პროგნოზის სახით.

**მუხლი 11.** ერთობლივი და უცხოეთის ბანკების, აგრეთვე უცხოეთის ბანკების ფილიალების მიერ ლიცენზიების მისაღებად აუცილებელი დამატებითი დოკუმენტაცია და პირობები

1. საბანკო ოპერაციების წარმოებაზე ლიცენზიების მისაღებად ერთობლივი და უცხოეთის ბანკები, აგრეთვე უცხოეთის ბანკების ფილიალები ამ კანონის მე-10 მუხლში ჩამოთვლილი დოკუმენტების გარდა წარმოადგენენ დადგენილი წესით ლეგალიზებულ შემდეგ დოკუმენტებს:

ა) უცხოური იურიდიული პირები:

უცხოური დამფუძნებლების (მონაწილეების) შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილებას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბანკის შექმნაში ან ფილიალის გახსნაში მათი მონაწილეობის შესახებ;

იმ ქვეყნის საკონტროლო ორგანოს წერილობით თანხმობას, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს უცხოური დამფუძნებელი (მონაწილე), საქართველოს ტერიტორიაზე ერთობლივი ბანკის შექმნაში მონაწილეობის მიღების, ან ფილიალის გახსნის თაობაზე, თუ ასეთი გათვალისწინებულია შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით.

ბ) უცხოელი მოქალაქეები:

უცხოეთის პირველი კლასის ბანკის დამოწმებას პიროვნების გადახდისუნარიანობის შესახებ;

რეკომენდაციებს არანაკლებ ორი უცხოური ცნობილი გადახდისუნარიანი იურიდიული ან ფიზიკური პირისაგან.

2. ყველა კომერციული ბანკისათვის თანაბარი საკონკურენტო პირობების უზრუნველსაყოფად რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს შეუძლია უცხოეთისა და ერთობლივი ბანკების დამფუძნებლებს წაუყენოს დამატებითი მოთხოვნები მათი საწესდებო კაპიტალის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობის ნაწილში.

**მუხლი 12.** შუამდგომლობის განხილვის ვადები და ეროვნული ბანკის პასუხისმგებლობა

1. შუამდგომლობებს ლიცენზიების გაცემის თაობაზე რესპუბლიკის ეროვნული ბანკი განიხილავს არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა ამ კანონით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტის წარმოდგენის დღიდან. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში ეროვნული ბანკი დამფუძნებლებს მათივე მოთხოვნით უხდის ჯარიმას დაგვიანების თითოეულ დღეზე განადღებული საწესდებო ფონდის 0,01%-ის ოდენობით.

2. შუამდგომლობა განხილულად ითვლება კომერციული ბანკის დამფუძნებლებისათვის შესაბამისი გადაწყვეტილების გაგზავნის დღიდან.

**მუხლი 13.** ლიცენზიების გაცემაზე უარის თქმის საფუძველები

რესპუბლიკის ეროვნული ბანკი უფლებამოსილია განაცხადოს უარი საბანკო ოპერაციების წარმოების ლიცენზიების გაცემაზე ამ მუხლში ჩამოთვლილ ნებისმიერ საფუძველზე:

ა) დამფუძნებელი ხელშეკრულებისა და წესდების შეუსაბამობა საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედ კანონმდებლობასთან;

ბ) დამფუძნებლების არადამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს საწესდებო ფონდის დადგენილ ვადებში განაღდებას და საფრთხეს უქმნის ბანკის მენაბრეებისა და კრედიტორების ინტერესებს;

გ) კომერციული ბანკის ხელმძღვანელების (თავმჯდომარე და მთავარ ბუღალტერი) პროფესიული შეუსაბამობა (ეროვნული ბანკის დასკვნით);

დ) გაცემული ლიცენზიების ფარგლებში საწესდებო ვალდებულებათა შესრულებისათვის საჭირო სამსახურებრივი შენობის არარსებობა;

ე) რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველები.

**მუხლი 14.** კომერციული ბანკების რეგისტრაცია

1. საბანკო ოპერაციების წარმოებაზე ლიცენზიების გაცემასთან ერთად საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი ახდენს კომერციული ბანკის რეგისტრაციას და აცნობებს მას სარეგისტრაციო ნომერს.

2. კომერციულ ბანკს რეგისტრაციის მომენტიდან ენიჭება იურიდიული პირის სტატუსი.

**მუხლი 15.** კომერციული ბანკების ფილიალებისა და წარმომადგენლობების გახსნის წესი

1. ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებულ კომერციულ ბანკებს შეუძლიათ გახსნან თავიანთი ფილიალები და წარმომადგენლობები საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ეროვნული ბანკის თანხმობითა და რეგისტრაციით.

2. კომერციული ბანკების ფილიალებისა და წარმომადგენლობების გახსნა საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ხდება შესაბამის ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

**მუხლი 16.** ლიცენზიების გამოთხოვნის საფუძველი

1. ეროვნულ ბანკს შეუძლია გამოითხოვოს საბანკო ოპერაციების წარმოებაზე ლიცენზიები შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ აღმოჩნდა, რომ ლიცენზია გაცემულია არასწორი მონაცემების საფუძველზე;

ბ) თუ ბანკის საქმიანობის დაწყება შეფერხდა ლიცენზიის გაცემიდან ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში;

გ) თუ დაწესებულ ვადებში არ შესრულდა საწესდებო ფონდის დადგენილ თანხის განაღდებას ვალდებულება;

დ) თუ გამოვლინდა ამ კანონის მე-6 მუხლით აკრძალული ოპერაციების წარმოების ან წესდებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა გადაამტკბის ფაქტები;

ე) თუ გამოვლინდა ანტიმონოპოლიური კანონის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტები.

ლიცენზიის გამოთხოვა შეიძლება მოხდეს აგრეთვე „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. ყველა ლიცენზიის გამოთხოვა მოქმედებს როგორც გადაწყვეტილება ბანკის ლიკვიდაციის შესახებ.

ლიცენზიის გამოთხოვა წარმოადგენს უკიდურეს ზომას, რომელსაც როგორც წესი, წინ უნდა უძღოდეს გამოვლენილ დარღვევათა აღმოსაფხვრელად გამაფრთხილებელი ზომების გატარება.

**მუხლი 17.** ეროვნული ბანკისათვის კომერციული ბანკების დამფუძნებელ დოკუმენტებში შეტანილი ცვლილებების შეტყობინების აუცილებლობა

კომერციული ბანკები ვალდებული არიან ერთი თვის განმავლობაში აცნობონ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს დამფუძნებელ დოკუმენტებში შეტანილი ცვლილებების შესახებ. შეტყობინებას თან უნდა ერთვოდეს ამ დოკუმენტების სანოტარო კანტორის მიერ დამოწმებული ასლები. თუ აღნიშნული ცვლილებები იძლევა ამ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძველს, მაშინ შეიძლება ლიცენზიის გამოთხოვა ამავე კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

**მუხლი 18.** კომერციული ბანკების საქმიანობის შეწყვეტა

კომერციული ბანკების საქმიანობის შეწყვეტა ხდება ამ კანონით და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე რესპუბლიკაში მოქმედი სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

**მუხლი 19.** დავის გადაწყვეტისა და გასაჩივრების წესი

კომერციულ ბანკებსა და მათ დამფუძნებლებს შეუძლიათ გასაჩივრონ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებისა და საკონტროლო ფუნქციების შესრულების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები სასამართლოში ან არბიტრაჟში.

### კ ა რ ი III

#### ბანკის ფინანსური სიმტკიცისა და კლიენტების ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა

**მუხლი 20.** კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკური ნორმატივების დაცვა

ბანკების ფინანსური სიმტკიცისა და კლიენტების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად კომერციული ბანკები ვალდებული არიან დაიცვან ეროვნული ბანკის მიერ „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივები, აგრეთვე შექმნან სადაზღვევო და სარეზერვო ფონდები.

**მუხლი 21.** საბანკო საიდუმლოება

1. ბანკები იძლევიან თავიანთი კლიენტებისა და ბანკ-კორესპონდენტთა ოპერაციების, ანგარიშებისა და ანაზღაურების შესახებ საიდუმლოების შენახვის



გარანტიას. ბანკის თითოეული თანამშრომელი ვალდებულია შეინახოს საიდუმლოება კლიენტებისა და ბანკ-კორესპონდენტების ოპერაციების ანგარიშების და ანაბრების შესახებ.

2. ცნობები იურიდიული პირების ოპერაციებისა და ანგარიშების შესახებ შეიძლება მიეცეთ თვით იურიდიულ პირებს, მათ ზემდგომ ორგანოებს, სასამართლო, საგამოძიებო და საარბიტრაჟო ორგანოებს, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკსა და აუდიტორიულ ორგანიზაციებს, აგრეთვე სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციებს დაბეგვრის საკითხებზე.

3. ცნობები მოქალაქეთა პირადი ანგარიშებისა და ანაბრების შესახებ თვით კლიენტებისა და მათი წარმომადგენლების გარდა მიეცემათ სასამართლო და საგამოძიებო ორგანოებს მათ წარმოებაში არსებულ საქმეებზე იმ შემთხვევებში, როდესაც კლიენტების ანგარიშებსა და ანაბრებზე არსებულ ფულად სახსრებსა და ფასეულობებზე შეიძლება დადებულ იქნეს ყადაღა, მიქცეულ იქნეს გადასახდევინებლად ან გამოყენებულ იქნეს ქონების კონფისკაცია.

4. ცნობები ანგარიშებისა და ანაბრების შესახებ მათი მფლობელის სიკვდილის შემთხვევაში გაიცემა იმ პირებზე, რომლებიც მითითებული არიან ბანკში გაცხადებულ საანდერძო განკარგულებაში, სახელმწიფო სანოტარო კანტორების მოთხოვნით მათ წარმოებაში არსებული გარდაცვლილი მენაბრების სამემკვიდრეო საქმეებზე და აგრეთვე უცხოეთის საკონსულო დაწესებულებებზე.

**მუხლი 22.** ბანკში არსებულ ფულად სახსრებსა და სხვა ფასეულობებზე ყადაღის დადება და გადასახდევინებლად მიქცევა

1. იურიდიული და ფიზიკური პირების, უცხოეთისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ბანკში არსებულ ფულად სახსრებსა და სხვა ფასეულობებზე ყადაღის დადება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, საგამოძიებო და არბიტრაჟის ორგანოების დადგენილებებით, ხოლო გადახდევინება — მხოლოდ სასამართლოს მიერ გაცემული აღმასრულებელი ფურცლით, სახელმწიფო არბიტრაჟის ბრძანებით და სხვა აღმასრულებელი დოკუმენტებით, აგრეთვე სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის მოთხოვნით.

2. მოქალაქეთა ბანკში არსებულ ფულად სახსრებსა და ფასეულობებზე ყადაღის დადება ან სახსრების გადახდევინება შეიძლება მოხდეს მხოლოდ სასამართლოს განაჩენით ან გადაწყვეტილებით.

მოქალაქეთა ფულადი სახსრებისა და ფასეულობების კონფისკაცია შეიძლება მოხდეს ძალაში შესული განაჩენის ან ქონების კონფისკაციის შესახებ კანონის შესაბამისად გამოტანილი დადგენილების თანახმად.

კ ა რ ი IV

**ბანკებს შორის ურთიერთობა და კომერციული ბანკების მიერ  
კლიენტების მომსახურება**

**მუხლი 23.** ბანკთაშორის დეპოზიტები, საკრედიტო და სხვა ოპერაციები

1. კომერციულ ბანკებს შეუძლიათ სახელშეკრულებო საფუძველზე მოიხილონ და ერთმანეთთან განათავსონ თანხები დეპოზიტების ან კრედიტების სახით, აგრეთვე აწარმოონ ერთმანეთთან სხვა მათი წესდებებით გათვალისწინებული ოპერაციები.

2. კლიენტების დაკრედიტების და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის თანხების უკმარისობის შემთხვევაში კომერციულ ბანკებს კრედიტის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ ეროვნულ ბანკს. აღნიშნული ოპერაციების შესრულების წესებსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

**მუხლი 24.** კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთები

კომერციული ბანკები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ საპროცენტო განაკვეთებსა და საკომისიო გასამრჯელოს ოდენობას „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის დებულების გათვალისწინებით.

**მუხლი 25.** ბანკებისა და კლიენტების ურთიერთობის სახელშეკრულებო ხასიათი

1. ბანკებსა და კლიენტებს შორის ურთიერთობა სახელშეკრულებო ხასიათს ატარებს.

2. კლიენტები დამოუკიდებლად ირჩევენ ბანკებს საკრედიტო-საანგარიშსწორებო და საკასო მომსახურებისათვის და შეუძლიათ ისარგებლონ ყველა სახის საბანკო მომსახურებით როგორც ერთ, ისე რამდენიმე ბანკში, ამ უკანასკნელის თანხმობით.

**მუხლი 26.** ანგარიშსწორების ფორმები

ბანკები ანგარიშსწორებას ახორციელებენ რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებით. თუ ანგარიშსწორების რომელიმე ფორმა არ არის განსაზღვრული ეროვნული ბანკის მიერ, კომერციულ ბანკებს უფლება აქვთ ისარგებლონ საერთაშორისო პრაქტიკით.

**მუხლი 27.** კრედიტების დაბრუნებადობის უზრუნველყოფა

1. კრედიტების დროულად დაბრუნებადობის უზრუნველყოფის სახით ბანკები იღებენ გირაოს, გარანტიებს, მინდობილობებს, აგრეთვე ვალდებულებებს საბანკო პრაქტიკაში მიღებული სხვა ფორმებით.

2. ბანკებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება უზრუნველყოფის გარეშე კრედიტების გაცემაზე (საბანკო კრედიტი).

**მუხლი 28.** მსესხებლის გამოცხადება გადახდისუუნაროდ

1. მსესხებელი, რომელმაც დროულად ვერ შეასრულა კრედიტის დაბრუნების ვალდებულება, შეიძლება ბანკის მიერ გამოცხადდეს გადახდისუუნაროდ.

2. მსესხებლის გადახდისუუნაროდ გამოცხადების შესახებ ბანკები აცნობებენ მის ძირითად კრედიტორებს, ზემდგომ ორგანოს, სადაც მოხდა მსესხებლის, როგორც იურიდიული პირის, რეგისტრაცია, აგრეთვე დამფუძნებლებს (მონაწილეებს).

**მუხლი 29.** ზომები გადახდისუუნაროდ გამოცხადებული მსესხებლის მიმართ

1. გადახდისუუნაროდ გამოცხადებული მსესხებლის მიმართ ბანკის წინადადებით შეიძლება მიღებულ იქნეს შემდეგი ზომები:

- ა) ოპერატიული მმართველობის გადაცემა ბანკი-კრედიტორის მონაწილეობით დროებით დანიშნული ადმინისტრაციისათვის;
- ბ) რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

2. ბანკის მიერ შეთავაზებულ ზომებს, გამომდინარე მსესხებლის სამართლებრივი სტატუსიდან, ახორციელებს მისი ზემდგომი ორგანიზაცია, ორგანო, რომელმაც მოახდინა იურიდიული პირის რეგისტრაცია, ან დამფუძნებლები (მონაწილეები).

### კ ა რ ი V

#### საშემნახველო საქმე

**მუხლი 30.** მოსახლეობის ანაბრები

- 1. მოსახლეობის ანაბრების მიღების უფლება აქვს ყველა კომერციულ ბანკს.
- 2. ბანკები დამოუკიდებლად აწესებენ მოსახლეობისაგან ანაბრების მიღების ოპერაციების წარმოების პირობებს.
- 3. შემოსავლები ანაბრებზე დაბეგვრას არ ექვემდებარება.
- 4. ბანკები ანაბრებზე ფულის მიღებას აწარმოებენ სათანადო საანაბრო დოკუმენტის გაცემით.

**მუხლი 31.** ბანკების ვალდებულებები ანაბრების მიღებასთან დაკავშირებით

კომერციულმა ბანკებმა, რომლებიც მოიზიდავენ მოსახლეობის ანაბრებს, ისე უნდა გამოიყენონ მოზიდული სახსრები, რომ უზრუნველყონ სახსრების დაცულობა და მეანაბრის წინაშე ვალდებულებების დროული შესრულება.

ამ მიზნით კომერციული ბანკები ვალდებული არიან საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით შექმნან ანაბრების დაზღვევის ბანკთაშორისი ფონდები.

**მუხლი 32.** მეანაბრეები

1. მეანაბრეები შეიძლება იყვნენ რესპუბლიკის მოქალაქეები, უცხოეთის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები.



2. მენაბრეებს შეუძლიათ განკარგონ თავიანთი ანაბრები, მიიღონ შემოსავალი ანაბრებზე პროცენტების სახით ან ბანკის მიერ შემოთავაზებული სხვა ფორმით, მოახდინონ უნაღდო ანგარიშსწორებები.

3. მენაბრეს შეუძლია მისცეს ბანკს განკარგულება თავისი სიკვდილის შემთხვევაში გადასცეს ანაბარი ნებისმიერ პირს, სახელმწიფოს ან სხვა იურიდიულ პირს. ანაბარს, რომელზეც არ არის გაკეთებული რაიმე განკარგულება, მენაბრის სიკვდილის შემთხვევაში ბანკები ვასცემენ მემკვიდრეებზე რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

4. კომერციული ბანკები ვალდებული არიან დაიცვან ანაბრებზე არასრულწლოვანთა უფლებები რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### კ ა რ ი VI

#### აღრიცხვა-ანგარიშგება კომერციულ ბანკებში და მათი საქმიანობისადმი კონტროლი

**მუხლი 33.** აღრიცხვა-ანგარიშგება კომერციულ ბანკებში

ბუღალტრული აღრიცხვის წესებს კომერციული ბანკებისათვის, მათ მიერ ეროვნულ ბანკში წარსადგენი საანგარიშსწორებო და სხვა მასალების ხასიათს, ვადებსა და მოცულობას აწესებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

**მუხლი 34.** წლიური ბალანსებისა და მოგება-ზარალის ანგარიშების გამოქვეყნება

კომერციული ბანკები აქვეყნებენ წლიურ ბალანსებსა და მოგება-ზარალის ანგარიშებს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფორმითა და დაწესებულ ვადებში, მას შემდეგ, რაც მათში მოყვანილი მონაცემების უტყუარობა დადასტურებული იქნება აუდიტორული ორგანიზაციის მიერ.

**მუხლი 35.** კომერციული ბანკების კონტროლი

კომერციული ბანკების საქმიანობისადმი კონტროლს ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონის შესაბამისად.

**მუხლი 36.** აუდიტორული შემოწმებები

კომერციული ბანკების საქმიანობას ამოწმებენ ასეთი შემოწმებების ჩატარების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი რწმუნებებით აღჭურვილი აუდიტორული ორგანიზაციები.

### კ ა რ ი VII

#### კანონის გამოყენების თავისებურებანი

1. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ იმ ბანკებზე, რომლებიც შექმნილია რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე.

2. 21-ე და 22-ე მუხლების მოქმედება ვრცელდება აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 2 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

**563** საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ

კარი I

ზოგადი დებულებები

**მუხლი 1.** ქვეყანაში ერთიან სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი ხელისუფლება.

**მუხლი 2.** საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო და სავალუტო რეგულირების ორგანოა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი, რომელიც ერთიანი სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად ახორციელებს ფულის მიმოქცევის მართვას მიმოქცევაში ფულადი მასის მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილებების გზით.

**მუხლი 3.** მიმოქცევაში ფულადი მასის რეგულირების ძირითადი ეკონომიკური მეთოდებია:

- ა) ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის გასაცემი კრედიტების მოცულობის განსაზღვრა;
- ბ) ფასიანი ქაღალდებისა და უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა;
- გ) ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების მიერ გადასარიცხი აუცილებელი რეზერვების ნორმების დადგენა;
- დ) ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის გასაცემ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების, აგრეთვე სადისკონტო და სალომბარდო განაკვეთების განსაზღვრა.

**მუხლი 4.** ერთიანი სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების პროექტს ყოველწლიურად ადგენს ეროვნული ბანკი რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით და რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტთან ერთად ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

**მუხლი 5.** ერთიანი სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები მოიცავს:

ა) რესპუბლიკის ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზს და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზს სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლებთან კავშირში;

ბ) მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის მაქსიმალური საზღვრების ეკონომიკურ დასაბუთებას;

გ) საპროცენტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს;

დ) ფულად-საკრედიტო რეგულირების ძირითად მეთოდებს.

**მუხლი 6.** ფულად-საკრედიტო პოლიტიკას უნდა ჰქონდეს ანტიინფლაციური ხასიათი, ხელს უწყობდეს ეკონომიკის შეწონასწორებულ განვითარებასა და მეურნეობრიობის გააქტიურების სტიმულირებას.

**მუხლი 7.** საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს უფლება აქვს დაუწესოს ბანკებს ეკონომიკური ნორმატივები, მოახდინოს ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების სასესხო და სადეპოზიტო საქმიანობის რეგულირება, შეასრულოს სხვადასხვა ოპერაციები და ქმედებანი, რომლებიც მიზნად ისახავს სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებას.

**მუხლი 8.** ფულადი მასის მაქსიმალური საზღვრების გამუდმებული გადამეტებისა და ფასების ინფლაციური ზრდის შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელი ხდება რეგულირება ამ კანონის მე-2 მუხლში გათვალისწინებული ეკონომიკური მეთოდებით, ეროვნულ ბანკს შეუძლია გაატაროს დამატებითი ღონისძიებანი კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდებათა შეზღუდვის, მათ აქტიურ-პასიურ ოპერაციებზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებისა და მათთვის საკომისიო ანაზღაურების საზღვრების დაწესებით. ეს ზომები შეიძლება გატარდეს დიფერენცირებულად ბანკის ტიპის, კრედიტის სახის, დარგისა და რეგიონის თავისებურებათა გათვალისწინებით.

ღრობითი ღონისძიებები ტარდება ეროვნული ბანკის მიერ. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების საფუძველზე ან დამოუკიდებლად. ამ შემთხვევაში მათი მოქმედების ვადა შეზღუდულია ერთ თვემდე და მისი გაგრძელება შეუძლია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს.

**მუხლი 9.** საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი ადგენს და არეგულირებს ფულის ერთეულის კურსს სხვა ქვეყნების ფულად ერთეულებთან.

**მუხლი 10.** ეროვნული ბანკი განსაზღვრავს კომერციული ბანკების მოგებიდან სადაზღვევო და სარეზერვო ფონდების შექმნის წესს მოსალოდნელი ზარალის ასანაზღაურებლად.

ფულადი თანხები, რომლებიც ირიცხება სარეზერვო ანგარიშებზე, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს კომერციული ბანკების საკრედიტო ოპერაციების განხორციელებისათვის.

**მუხლი 11.** საგანგებო შემთხვევებში ეროვნულ ბანკს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ნებართვით, უფლება აქვს დააწესოს დაკრედიტებისა და მანეთებსა და უცხოურ ვალუტაზე შეძენილი ობლიგაციების მატების თანხის 100%-მდე სპეციალურ ანგარიშზე დეპონირების ნორმატივი.

**მუხლი 12.** ეროვნულ ბანკს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ნებართვით შეუძლია დაუწესოს ბანკებს, სადაზღვევო ორგანიზაციებს, საპენსიო ფონდებს, სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებს სახელმწიფოს მიერ გამოშვებულ ფასიან ქალაქდებაში სავალდებულო ინვესტიციების ნორმატივი.

## კ ა რ ი II

### კრედიტისა და გარანტიების პირდაპირი რეგულირება

**მუხლი 13.** საგანგებო შემთხვევებში ეროვნულ ბანკს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ნებართვით უფლება აქვს დააწესოს ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების დაკრედიტების ოპერაციებისა და გარანტიების მოცულობათა პირდაპირი შეზღუდვები.

**მუხლი 14.** ეროვნული ბანკის პირდაპირ შეზღუდვებს დაკრედიტებისა და გარანტიების მოცულობებზე ბანკის ტიპის, კრედიტის სახის, დარგისა და რეგიონის თავისებურების გათვალისწინებით შეიძლება ჰქონდეს შერჩევითი ხასიათი.

**მუხლი 15.** ცალკეული დარგების დაკრედიტების სტიმულირების მიზნით ეროვნულ ბანკს შეუძლია გასცეს საკრედიტო გარანტიები.

## კ ა რ ი III

### საპროცენტო განაკვეთების რეგულირება

**მუხლი 16.** ეროვნული ბანკი ახორციელებს რესპუბლიკაში ბანკების საპროცენტო განაკვეთების რეგულირებას კომერციული ბანკებისათვის გასაცემ კრედიტებზე განაკვეთების ცვლილებების საშუალებით.

**მუხლი 17.** ეროვნული ბანკი განსაზღვრავს განაკვეთებს თავის სადისკონტო და სალომბარდო ოპერაციებზე.

**მუხლი 18.** აკრძალულია საპროცენტო განაკვეთებისა და საკომისიო გამარჯვლოს ფიქსაციის მიზნით ბანკების გაერთიანებათა შექმნა.

## კ ა რ ი IV

### რეფინანსირების სისტემა

**მუხლი 19.** საბანკო სისტემის ლიკვიდურობაზე ზემოქმედების მიზნით ეროვნული ბანკი ახორციელებს ბანკების რეფინანსირებას ეროვნული ბანკის



მიერ დაწესებული საპროცენტო განაკვეთებით მათთვის მოკლევადიანი კრედიტების გამოყოფის გზით.

**მუხლი 20.** ეროვნულ ბანკში, ბალანსის მოცულობის მიუხედავად, კრედიტის მიღების უფლება აქვს ყველა ბანკს.

**მუხლი 21.** ეროვნულ ბანკს შეუძლია მისცეს ბანკებს კრედიტი სამ თვემდე ვადით ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების, უცხოური ვალუტის, ობლიგაციების, თამასუქებისა და ფასიანი ქაღალდების ვირაოს (უზრუნველყოფის) ქვეშ.

სხვადასხვა აქტივების ვირაოთი გასაცემი კრედიტების პირობებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს ეროვნული ბანკი.

კ ა რ ი V

**ფულადი მასის ზრდის მიზნობრივი საზღვრები**

**მუხლი 22.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცებულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში ყოველწლიურად დაწესდება მიმოქცევაში ერთობლივი ფულადი მასის სხვადასხვა მაჩვენებლების ზრდის საზღვრები.

**მუხლი 23.** საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საკითხებში თავის საქმიანობას წარმართავს მიმოქცევაში ერთობლივი ფულადი მასის სხვადასხვა მაჩვენებლების დამტკიცებული ზრდის საზღვრების შესაბამისად.

კ ა რ ი VI

**საზღვარგარეთის აქტივებისა და პასივების რეგულირება**

**მუხლი 24.** ეროვნულ ბანკს შეუძლია ნორმატიული მოთხოვნები დაწესოს ბანკების საზღვარგარეთის აქტივებისა და პასივების (მთლიანად ან ცალკეულ სახეობებზე) მოცულობის მიმართ, მათი მთლიანობაში შეფარდებისა ან ცალკეული ელემენტების მიხედვით.

კ ა რ ი VII

**სავალუტო პოლიტიკა**

**მუხლი 25.** ეროვნული ბანკი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დაგეგმვით და საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით უფლებამოსილია მართოს საქართველოს რესპუბლიკის ვალუტისა და ოქროს ფონდი.



**მუხლი 26.** მოქმედი ფულადი ერთეულის ოფიციალური კურსი უცხოური ვალუტით ეროვნული ბანკის მიერ დაწესდება ქვეყნის ეკონომიკისა და საგადასახადო ბალანსის მდგომარეობის გათვალისწინებით.

**მუხლი 27.** ეროვნული ბანკის გამგეობა მოქმედი ფულადი ერთეულის საბაზრო კურსის რეგულირებას ახდენს საქართველოს რესპუბლიკის სავალუტო ფონდიდან უცხოური ვალუტის ყიდვისა და გაყიდვის საშუალებით.

**მუხლი 28.** საქართველოს რესპუბლიკაში სავალუტო ოპერაციებისადმი კონტროლს აწესებს ეროვნული ბანკი.

**მუხლი 29.** ეროვნული ბანკი ურთიერთობებს ამყარებს სხვა სახელმწიფოების ცენტრალურ ბანკებთან და მონაწილეობს საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო ორგანიზაციების მუშაობაში.

## კ ა რ ი VIII

### კონტროლი

**მუხლი 30.** საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონის შესაბამისად უფლებამოსილია დააწესოს კონტროლი ამ კანონისა და მისი განხორციელების უზრუნველსაყოფად მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე.

## კ ა რ ი IX

### ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან

**მუხლი 31.** იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს რესპუბლიკა ეკონომიკურ კავშირებს დაამყარებს სხვა სახელმწიფოებთან, ეროვნული ბანკი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო ორგანოები ამ კანონით განსაზღვრულ ფუნქციებს შეასრულებენ საქართველოს რესპუბლიკის შესაბამის კანონების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 2 აგვისტო.

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა

**564** „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების აქტი“  
„საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ და „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონების სამოქმედოდ შემოღების ვინის თაობაზე

ხელმძღვანელობს რა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის 1991 წლის 9 აპრილის საგანგებო სხდომის მიერ მიღებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ საქართველოს რესპუბლიკის კანონები:

„საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ და „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ მათი გამოქვეყნების დღიდან.

ამ კანონების მოქმედება ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა ბანკზე.

2. „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონის მე-9 და 22-ე (22 ქვეპუნქტის მესამე აბზაცი) მუხლები ძალაში შევა „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ვალის შესახებ“ და „გაყორების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიღების შემდეგ.

3. გამოცხადდეს საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად სსრკ სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკი, სსრკ შემნახველი ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკი, ყოფილი სსრკ აგრომრეწვბანკის და სსრკ მრეწველბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკები მათი ქსელით, გამოთვლითი ცენტრებით, მთელი აქტივებითა და პასივებით, აგრეთვე სსრკ სახელმწიფო ბანკის ინკასაციის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო დაქვემდებარებული წარმოება-დაწესებულებებით.

4. გაუქმდეს სსრკ სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკი და მის ბაზაზე შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

5. „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონის ის დებულებები, რომლებიც ეხება ეროვნული ბანკის სრულ სამსახურს უფლებებს, ძალაში შევა ეროვნული ფულის მიმოქცევაში გაშვებასთან ერთად.

ქართული ფულადი ერთეულის შემოღებამდე საქართველოს რესპუბლიკაში ოფიციალური ფულადი ერთეულია სეერთო საკავშირო მანეთი, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკის ურთიერთობა სსრკ სახელმწიფო ბანკთან და სხვა რესპუბლიკების ცენტრალურ ბანკებთან უნდა განხორციელდეს შესაბამისი ბანკთაშორისი შეთანხმებების საფუძველზე.



6. დაქვემდებარებაში გადაეცეს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს სსრკ სახელმწიფო ბანკის გამოთვლითი ცენტრი, სსრკ სახელმწიფო ბანკის ინკასაციის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო დაქვემდებარებული წარმოება-დაწესებულებებით.

7. მიზანშეწონილად ჩაითვალოს ყოფილი სსრკ შემნახველი ბანკის, სსრკ მრეწველშენაბანკის, სსრკ აგრომრეწველბანკის და სსრკ ბინსოცბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკები ვარდაიქმნას სახელმწიფო-კომერციულ და სააქციო-კომერციულ ბანკებად, აგრეთვე შეიქმნას ექსპორტ-იმპორტის სახელმწიფო-კომერციული ბანკი.

8. დავალოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს ერთი თვის ვადაში წარუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წინადადება ეროვნული ბანკის საწყისი საწესდებო ფონდის ოდენობისა და შექმნის შესახებ.

9. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა:

ა) ერთი თვის ვადაში განსაზღვროს და დაამტკიცოს ცენტრალური აპარატისა და დაქვემდებარებული ორგანიზაციების სტრუქტურა, რიცხოვნობა და შენახვის ხარჯები;

ბ) სამი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს პრეზიდიუმს დასამტკიცებლად წარუდგინოს ეროვნული ბანკის წესდება;

გ) 1991 წლის ბოლომდე უზრუნველყოს რესპუბლიკის საბანკო სისტემამ კანონების შესაბამისი საბანკო ინსტრუქციებითა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტებით. ასეთების მიღებამდე საბანკო სისტემაში მოქმედებს არსებული ინსტრუქციები და სხვა ნორმატიული დოკუმენტები, მათ შორის სსრკ სახბანკისა, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან ზემოთ აღნიშნული კანონების მოთხოვნებს;

დ) უზრუნველყოს კომერციული ბანკების საქმიანობის შესამოწმებლად აუდიტორული ორგანიზაციების შექმნა;

ე) დაადგინოს უცხოური ვალუტით საბანკო ოპერაციების წარმოებასა და ლიცენზირების წესი და სამი თვის ვადაში მოახდინოს ამ ოპერაციებზე აღრგაცემული ლიცენზიების ხელახალი რეგისტრაცია;

ვ) სამი თვის განმავლობაში დაადგინოს კომერციული ბანკების რეგისტრაციის წესი და 1991 წლის ბოლომდე მოახდინოს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა კომერციული ბანკისა და ფილიალის ხელახალი რეგისტრაცია.

კომერციულ ბანკებსა და კომერციული ბანკების ფილიალებს, რომლებსაც არ გაივლიან ხელახალ რეგისტრაციას, ჩამოერთვათ მოქმედების უფლება.

10. დაუწესდეს კომერციულ ბანკებს რეგისტრაციის გადასახადი ათი ათასი მანეთის ოდენობით, ხოლო უცხოური ვალუტით ოპერაციების წარმოებისათვის თვის ლიცენზიის გაცემაზე — ხუთი ათასი მანეთის ოდენობით. უცხოეთისა და ერთობლივი ბანკები აღნიშნულ გადასახადებს იხდიან მყარი კონვენტირე

ბული ვალუტით ამერიკის შეერთებული შტატების დოლარისათვის დადგენილი კომერციული კურსიდან გამომდინარე.

რეგისტრაციიდან და ლიცენზირებიდან მიღებული შემოსავალი წარიმართება ეროვნული ბანკის საწესდებო ფონდში.

11. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ:

ა) მოაწესრიგოს საქართველოს რესპუბლიკის დავალიანება რესპუბლიკის ბანკებთან, შათ შორის შინაგანი ვალისა და ფასთა სხვაობის ნაწილში;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკთან ერთად უზრუნველყოს 1991 წლის ბოლომდე რესპუბლიკის საბანკო სისტემის ინფორმატიზაციისა და კომპიუტერიზაციის კომპლექსური პროგრამის დამუშავება კავშირგაბმულობის ყველაზე თანამედროვე არხების გამოყენებით, ამ პროგრამის განხორციელებაში შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ჩართვით;

გ) უზრუნველყოს საბანკო ოპერაციების განხორციელების შესახებ ნორმატიული აქტების დამუშავება საინვესტიციო, საპენსიო და სადაზღვევო ფონდების და სხვა სპეციალიზებული საფინანსო ინსტიტუტებისათვის, რომლებიც აწარმოებენ ცალკეულ საბანკო ოპერაციებს;

დ) გადასინჯოს და გააუქმოს სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების ყველა ნორმატიული აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კანონებს;

ე) საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკთან ერთად 1991 წლის ბოლომდე რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში წარმოადგინოს წინადადებები საქართველოს საკანონმდებლო აქტების ამ კანონებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ და „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ კანონებთან შესაბამისობაში მოყვანამდე ყველა საკანონმდებლო აქტი მოქმედებს იმ ნაწილში, რომელიც არ ეწინააღმდეგება აღნიშნულ კანონებს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაძე ასპთიანი.

თბილისი, 1991 წლის 2 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**565** პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს მეორე მოსმენით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 2 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**566** „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 2 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**567** საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 2 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის ანონი

568 საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში  
ცვლილებათა შეთანხმების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ. № 1, მუხ. 10) განსაკუთრებული ნაწილის პირველი თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

თავი პირველი

დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ

I. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით საშიში დანაშაული

მუხლი 65. სამშობლოს ღალატი

სამშობლოს ღალატი, ესე იგი ქმედობა, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქემ განზრახ ჩაიდინა საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის, მისი ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან სახელმწიფო უშიშროებისა და თავდაცვისუნარიანობის საზიანოდ: მტრის მხარეზე გადასვლა, ჯაშუშობა, სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების გაცემა უცხოეთის სახელმწიფოსათვის, დახმარების გაწევა უცხოეთის სახელმწიფოსათვის საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მტრულ საქმიანობაში, აგრეთვე შეთქმულება სახელმწიფო ხელისუფლების დამსობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდებას მიზნით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით, ან ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც უცხოეთის ორგანოებმა ან ორგანიზაციებმა გადაიბირეს საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მტრული საქმიანობის განსახორციელებლად, თუ მან მიღებული დავალების შესასრულებლად არავითარი მოქმედება არ ჩაიდინა და ნებაყოფლობით განუცხადა საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებს უცხოეთის ორგანოებთან და ორგანიზაციებთან თავისი კავშირის შესახებ.

მუხლი 66. ჯაშუშობა

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების შემცველი ცნობების გადაცემა უცხოეთის სახელმწიფოსათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი აგენტურისათვის, ასევე ამგვარი ცნობების გატაცება ან შეგროვება მათთვის გადაცემის მიზნით, აგრეთვე სხვა ცნობების გადაცემა ან შეგროვება უცხოეთის დაზვერვის დავალებით საქართველოს რესპუბლი-



კის ინტერესების საზიანოდ მათი გამოყენებისათვის, თუ ჯაშუშობა ჩაიდინა უცხოელმა მოქალაქემ ან მოქალაქეობის არმქონე პირმა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება პირი, რომელიც შეუდგა ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას, მაგრამ ნებაყოფლობით შეწყვიტა ეს დანაშაულებრივი ქმედობა და ხელისუფლების ორგანოებს აცნობა ამის შესახებ, თუ აღიარებისა და ამასთან დაკავშირებით მიღებული ზომების შედეგად აღკვეთილ იქნა საქართველოს რესპუბლიკისათვის ზიანის მიყენება.

**მუხლი 67.** ტერორისტული აქტი

სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის, ან ხელისუფლების წარმომადგენლის მკვლელობა, ჩადენილი მის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების შესუსტების მიზნით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით, ან ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით.

იმავე მიზნით სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის ან ხელისუფლების წარმომადგენლის სხეულის მძიმე დაზიანება მის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

**მუხლი 68.** ტერორისტული აქტი უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ

უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლის მკვლელობა ომის პროვოკაციის ან საერთაშორისო ვართულების მიზნით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით, ან ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით.

იმავე მიზნით, იმავე პირის სხეულის მძიმე დაზიანება. —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

**მუხლი 69.** დივერსია

საქართველოს რესპუბლიკის შესუსტების მიზნით აფეთქება, ცეცხლის წაკიდება ან სხვა მოქმედების ჩადენა მიმართული ადამიანთა მასობრივად მოსპობისაკენ, სხეულის დასაზიანებლად ან მათი ჯანმრთელობისათვის სხვაგვარი ზიანის მისაყენებლად, საწარმოთა, ნაგებობათა, მიმოსვლის გზათა და საშუალებათა, ნეთობისა და გაზგაყვანილობათა, ელექტროგადამცემი ხაზების, კავშირგაბმულობის საშუალებათა ანდა სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გასანადგურებლად, აგრეთვე იმავე მიზნით მასობრივი მოწაპვლა ან ეპიდემიებისა და ეპიზოოტიების გავრცელება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით, ან ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით.

**მუხლი 70.** მავნებლობა

მოქმედება ან უმოქმედობა, მიმართული მრეწველობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, ფულადი სისტემის, ვაჭრობის ან სახალხო მეურნეობის სხვა დარგების, ასევე სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ საქართველოს რესპუბლიკის შესუსტების მიზნით, თუ ეს ქმედობა ჩადენილია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საწარმოების, დაწესებულებების ან ორგანიზაციების გამოყენების გზით ანდა მათი ნორმალური მუშაობისათვის წინააღმდეგობის გაწევის გზით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

**მუხლი 71.** საჯარო მოწოდება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების დამხობისა თუ ძალადური შეცვლისკენ საჯარო მოწოდება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების დამხობისა თუ ძალადური შეცვლისკენ, ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, აგრეთვე ამ მიზნით ასეთვე შინაარსის მასალების გავრცელება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით ან პირთა ორგანიზებულ რეჟიმში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდ წლამდე.

ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული მოქმედება, ჩადენილი სხვა სახელმწიფოების, უცხოეთის ორგანიზაციების ან მათი წარმომადგენლის დავალებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათ წლამდე.

**მუხლი 71<sup>1</sup>.** მოწოდება სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისაკენ

საჯარო მოწოდება საშობლოს ღალატისაკენ, ტერორისტული აქტის, დივერსიის თუ მავნებლობის ჩადენისაკენ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

**მუხლი 72.** მოწოდება ომის გაჩაღებისაკენ

საჯარო მოწოდება ომის გაჩაღებისაკენ, რა ფორმითაც უნდა იყოს იგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე.

**მუხლი 73.** ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა ან მის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა

ისეთი ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა, რომლის მიზანია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების დამხობა, საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული უფლებების შეზღუდვა, საქართველოს რესპუბლიკისაგან მისი ტერიტორიის ნაწილის გამოყოფა, აგრეთვე ამ ორგანიზაციაში აქტიური მონაწილეობა. —



ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

იმავე მიზნით შეიარაღებული ორგანიზაციის შექმნა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე.

**მუხლი 74.** ამოღებულა.

**II. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაული**

**მუხლი 75.** ეროვნული და რასობრივი თანასწორუფლებიანობის დარღვევა განზრახი მოქმედება ეროვნული ან რასობრივი მტრობისა თუ განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით, აგრეთვე მოქალაქეთა ეროვნული ან რასობრივი კუთვნილების მიხედვით მათ უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა; ან მათთვის პირდაპირ ან არაპირდაპირ უპირატესობათა დაწესება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

იგივე მოქმედება ძალადობის, მოტყუების თუ მუქარის გამოყენებით, აგრეთვე ჩადენილი თანამდებობის პირის მიერ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული მოქმედება, რომელიც ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ ან რომელსაც მოჰყვა აღამიანთა დაღუპვა ან სხვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათ წლამდე.

**მუხლი 76.** სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების გახმაურება იმ პირის მიერ, რომელსაც ეს ცნობები განდობილი ჰქონდა ან რომლისთვისაც ისინი ცნობილი გახდა სამსახურთან ან სამუშაოსთან დაკავშირებით, თუ არ არის სამშობლოს ღალატის ან ჯაშუშობის ნიშნები, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

იგივე მოქმედება, თუ მას მოჰყვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.

**მუხლი 77.** სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების და-

**კარგვა**

სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების, აგრეთვე იმ საგნების დაკარგვა, რომელთა შესახებ ცნობები სახელმწიფო საიდუმლოებას შეადგენენ, იმ პირის მიერ, ვისაც ისინი მინდობილი ჰქონდა, თუ დაკარგვა აღნიშნული დოკუმენტებისა ან საგნებისადმი მოპყრობის დადგენილი წესების დარღვევის შედეგი იყო, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

იგივე ქმედობა, თუ მას მოჰყვა მძიმე შედეგები, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე.

**მუხლი 77<sup>1</sup>.** სამსახურებრივი საიდუმლოების შემცველი ცნობების გადაცემა უცხოეთის ორგანიზაციებისათვის

უცხოეთის ორგანიზაციებისათვის ან მათი წარმომადგენლისათვის ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური ან სხვა ცნობების გადაცემა, რომლებიც სამსახურებრივ საიდუმლოებას წარმოადგენენ, ან მათი გადასაცემად შეგროვება იმ პირის მიერ, რომელსაც ეს ცნობები მინდობილი ჰქონდა სამსახურის ან სამუშაოს გამო, ანდა მისთვის ცნობილი გახდა სხვა გზით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე.

იგივე მოქმედება, რომელმაც დიდი ქონებრივი ზარალი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ან გამოიწვია სხვა მძიმე შედეგი, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

**მუხლი 78.** ბანდიტიზმი

შეიარაღებული ბანდის ორგანიზება სახელმწიფო ან სხვა საწარმოებზე, დაწესებულებებზე, ორგანიზაციებზე ანდა ცალკეულ პირებზე თავდასხმის მიზნით, აგრეთვე ასეთ ბანდაში და მის მიერ მოწყობილ თავდასხმებში მონაწილეობა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით, ან ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით.

**მუხლი 78<sup>1</sup>.** მოქმედება, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა მუშაობაში

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულთა ორგანიზება, რათა არ შეასრულონ აღმინისტრაციის მიერ დავალებული სამუშაოები ან არ დაიცვან დადგენილი რეჟიმი, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც სასჯელს იხდის იმავე დაწესებულებაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

შრომა-გასწორების დაწესებულებასა ან საგამომიებო იზოლატორში მოთავსებულ პირთა ტერორიზება, ან აღმინისტრაციაზე თავდასხმის მოწყობა, აგრეთვე ამ მიზნით დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნა ან ასეთ დაჯგუფებაში აქტიური მონაწილეობა, ჩადენილი იმავე დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ორ წლამდე.

ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული მოქმედება, ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის ან მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის მიერ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან თხუთმეტ წლამდე ან ისჯება სიკვდილით.

**მუხლი 79.** კონტრაბანდა

კონტრაბანდა, ესე იგი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე საქონლის ან სხვა ფასეულობათა უკანონო გადატან-გადმოტანა, რაც ჩადენილია სპეციალურ საცავებში საგნების დამალვით ან საბაჟო და სხვა-

გვარი დოკუმენტების მოტყუებით გამოყენებით, ანდა დიდი ოდენობით, ან კონტრაბანდის გასაწევად ორგანიზებულ პირთა ჯგუფის მიერ, ან თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

ფეტქებადი, ნარკოტიკული, ძლიერმოქმედი და შხამიანი ნივთიერებების, იარაღის, საბრძოლო მასალისა და სამხედრო საჭურვლის კონტრაბანდა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

**მუხლი 80.** მასობრივი არეულობა

მასობრივი არეულობის ორგანიზაცია, რასაც თან ახლდა დარბევა, ნგრევა, ცეცხლის წაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, აგრეთვე მისი მონაწილეების მიერ ამ დანაშაულთა უშუალოდ ჩადენა ან ხელისუფლებისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან თხუთმეტ წლამდე.

**მუხლი 81.** სამხედრო სამსახურში გაწვევისათვის თავის არიდება

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან ჯარებში — ეროვნულ გვარდიის გაწვევისათვის ან ალტერნატიული შრომითი სამსახურისათვის თავის არიდება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი საკუთარი სხეულის დაზიანებით ან ავადმყოფობის სიმულაციით, ყალბი დოკუმენტების მეშვეობით ან სხვა სახის მოტყუებით, აგრეთვე ჩადენილი სხვა დამამძიმებელ გარემოებაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე.

**მუხლი 82.** მობილიზაციით გაწვევისათვის თავის არიდება

საქართველოს რესპუბლიკის დასაცავად მობილიზაციით გაწვევისათვის თავის არიდება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

**მუხლი 83.** ომიანობის დროს ბეგარის შესრულებისათვის ან გადასახადთა გადახდისათვის თავის არიდება

ომიანობის დროს შრომითი მობილიზაციისათვის ან სხვა ბეგარის შესრულებისათვის, აგრეთვე გადასახადის გადახდისათვის თავის არიდება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე.

**მუხლი 84.** სახელმწიფო საზღვარზე უკანონო გადასვლა

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე უკანონო გადასვლა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.



ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც უცხოეთის მოქალაქე ჩამოვა საქართველოს რესპუბლიკაში დადგენილი პასპორტის ან ნებართვის გარეშე, რათა ისარგებლოს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით მინიჭებული თავშესაფრის უფლებით.

**მუხლი 85.** საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევა

საქართველოს რესპუბლიკაში შემოფრენა ან საქართველოს რესპუბლიკიდან გაფრენა დადგენილი ნებართვის გარეშე, ნებართვაში აღნიშნული მარშრუტების, დაშვების ადგილების, საჰაერო კარების, ფრენის სიმაღლის დაუცველობა ან საერთაშორისო ფრენის წესების სხვა დარღვევა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ათ წლამდე, საჰაერო ხომალდის კონფისკაციით ან უამისოდ.

**მუხლი 86.** მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევა

რკინიგზის, წყლის ან საჰაერო ტრანსპორტის მუშაკის მიერ მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა ადამიანთა უბედური შემთხვევები, მარცხი, ავარია ან სხვა მძიმე შედეგი, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების, გზების, სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა უხარისხო რემონტი, რასაც მოჰყვა იგივე შედეგები, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან თხუთმეტ წლამდე.

იგივე ქმედობა, თუ მას არ მოჰყოლია ასეთი შედეგი, მაგრამ თუ ის წინასწარი შეცნობით ქმნიდა ამ შედეგების დადგომის საფრთხეს, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე.

**მუხლი 86<sup>1</sup>.** საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო სივრცის გამოყენების წესების დარღვევა

საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო სივრცის გამოყენების წესების დარღვევა საჰაერო ხომალდის მართვისას იმ პირობის მიერ, რომლებიც არ არიან საჰაერო ტრანსპორტის მუშაკები, რაკეტების გაშვებისას, ყველანაირი სროლის, ასაფეთქებელი სამუშაოების წარმოებისას ან სხვა საქმიანობის განხორციელებისას, რაც დაკავშირებულია მატერიალური ობიექტების საჰაერო სივრცეში აზიდვასთან, გადაადგილებასთან ან გაშვებასთან, რამაც გამოიწვია ადამიანთა უბედური შემთხვევები ან სხვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ათ წლამდე.

იგივე ქმედობა თუ მას არ მოჰყოლია ასეთი შედეგები, მაგრამ თუ ის წინასწარი შეცნობით ქმნიდა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შედეგების დადგომის საფრთხეს, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე.

**მუხლი 87.** მიმოსვლის გზებისა და სატრანსპორტო საშუალებების დაზიანება

მიმოსვლის გზების, მათი ნაგებობების, მოძრავი შემადგენლობის ან გემების, კავშირგაბმულობის ან სიგნალიზაციის საშუალებების განზრახვით დაზარალება ან დაზიანება, რამაც საფრთხე შეუქმნა რკინიგზის, წყლის საპაერო ან საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებას, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

იგივე ქმედობა, რომელსაც მოჰყვა მატარებლის, გემის, საპაერო ხომალდის ან საბაგირო გზის ავარია, რასაც ადამიანის მსხვერპლი არ მოჰყოლია, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედობა, რასაც მოჰყვა მატარებლის, გემის, საპაერო ხომალდის ან საბაგირო გზის ავარია ადამიანის მსხვერპლით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე.

**მუხლი 88.** ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება ყალბი სახელმწიფო სახაზინო ბილეთების, სახელმწიფო ბანკის ბილეთების, ლიონის მონეტების, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ან უცხოეთის ვალუტის დამზადება გასაღების, მიზნით, აგრეთვე გასაღება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

იგივე მოქმედება, ჩადენილი ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადებისა ან გასაღებისათვის მსჯავრდებული პირის მიერ ან ჩადენილი ხელის სახით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით.

**მუხლი 89.** ამოღებულია.

**მუხლი 90.** სახელმწიფო დანაშაულის განუცხადებლობა

განუცხადებლობა იმ პირის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია ამ კოდექსის 65-70-ე, 73-ე, 78-ე და 88-ე მუხლებით გათვალისწინებული სახელმწიფო დანაშაული, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

**მუხლი 90<sup>1</sup>.** სახელმწიფო დანაშაულის დაფარვა

წინასწარი შეპირების გარეშე დაფარვა იმ სახელმწიფო დანაშაულისა რაც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 65-70-ე, 73-ე, 78-ე, 79-ე და 88-ე მუხლებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე“.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია**.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**569** „საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაძე პასტიანი.

თბილისი, 1991 წლის 2 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**570** ჯავის რაიონსა და ცხინვალში სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შესახებ

ჯავის რაიონსა და ცხინვალში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საგანგებო წესების მოქმედებისა და დამანგრეველი მიწისძვრების შედეგად დაყოვნდა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ახალი ორგანოების — საკრებულოებისა და პრეფექტურების ჩამოყალიბება, რამაც უარყოფითად იმოქმედა მოსახლეობის სოციალურ პირობებსა და უსაფრთხოებაზე. ასეთ ვითარებაში ძალზე მნიშვნელოვანია სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების ამოქმედება.

შემქმნილი მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. დაისვას საკითხი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის წინაშე ჯავის რაიონისა და ცხინვალის პრეფექტების დანიშვნის შესახებ.
2. ჯავის რაიონისა და ცხინვალის პრეფექტებს დაევალოთ უმოკლეს ვადაში ჩამოაყალიბონ პრეფექტურის სტრუქტურები და უზრუნველყონ სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების — საკრებულოების არჩევნები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაძე პასტიანი.

თბილისი, 1991 წლის 2 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

**571** „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

I. „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 18 აგვისტოს კანონში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 23-ე მუხლს:

ა) დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი 21-ე პუნქტი:

„21) გამონაკლის შემთხვევებში — თუ შეუძლებელია ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულება ან მიზანშეუწონელია დანიშნულ დღეს სხვა მიზეზებით არჩევნების ჩატარება — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თანხმობით ადგენს საარჩევო ოლქში საარჩევნო ღონისძიებათა ახალ ვადებს, ნიშნავს მაჟორიტარული წესით არჩევნების ჩატარების ახალ თარიღს, ოღონდ ადრე გამოცხადებულიდან არა უგვიანეს ერთი თვისა, ამ უფლებით ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დანიშნული არჩევნების ჩატარებისას შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ ერთხელ.

ბ) 21-ე პუნქტი ჩაითვალოს 22-ე პუნქტად.

2. 37-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების ბოლო წინადადებები შესაბამისად ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დეპუტატობის კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების თარიღი, პროფესია, თანამდებობა (საქმიანობა), არის თუ არა სახელმწიფო ხელისუფლების რომელიმე ორგანოს წევრი, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, პარტიულობა და საარჩევნო ოლქის ნომერი, რომელშიც იგი წარმოდგენილია“.

„განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დეპუტატობის კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების თარიღი, პროფესია, თანამდებობა (საქმიანობა), არის თუ არა სახელმწიფო ხელისუფლების რომელიმე ორგანოს წევრი, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, პარტიულობა, აგრეთვე ამომრჩეველთა ჯგუფის წარმომადგენლის ვინაობა, მისამართი და ტელეფონის ნომერი“.

3. 39-ე მუხლში:

ა) მე-9 ნაწილის მე-2 წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ პიროვნებამ თანხმობა მისცა ერთზე მეტ პარტიულ სიაში თავისი კანდიდატურის შეტანაზე ან პარტიულ სიაში შეტანასა და კენჭისყრაზე როგორც დამოუკიდებელმა კანდიდატმა, ან ერთზე მეტ საარჩევნო ოლქში კენჭისყრაზე, ანდა არ შეასრულა ამ მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნები, მის კანდიდატურას ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნებიდან მოხსნის“.

ბ) მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 ნაწილი:

„რეგისტრაციაზე უარის თქმის ან რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში დეპუტატობის კანდიდატად წარდგენილ პირს უფლება აქვს უარის მიღებიდან 3 დღის ვადაში გაასაჩივროს საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ხოლო ცენტრალური საარჩევნო კომისია — საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანონ საჩივრის შეტანიდან 3 დღის ვადაში“.

II. ეს კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიან.

თბილისი, 1991 წლის 2 აგვისტო.

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

### დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**572** საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების № 56 სიღნაღის და № 97 მესტიის საარჩევნო ოლქებში 1991 წლის 4 აპრილის დადგენილებით არჩევნების შედეგების დადგენის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 104-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების № 56 სიღნაღის და № 97 მესტიის საარჩევნო ოლქებში 1991 წლის 4 აგვისტოს დანიშნული არჩევნები გადატანილ იქნეს 1991 წლის 1 სექტემბრისათვის.

2. დავალოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უზრუნველყოს არჩევნების ამ ვადაში ჩატარება.

3. ეს დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 2 აგვისტო.





საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**573** ნოდარ წულეისკირის სადეპუტატო უფლებამოსილების ცნობის უსასახე

საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დანიშნასთან დაკავშირებით უფლებამოსილება შეუწყდა საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოდან“ პრეზიდენტი წესით არჩეულ დეპუტატს მანანა ძოძუაშვილს. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 61-ე მუხლი შესაბამისად ამ ვაკანტურ ადგილზე ბლოკმა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ შეარჩია პარტიული სიით № 3 დეპუტატობის კანდიდატი ნოდარ წულეისკირი და შესაბამისი განცხადებით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შესაბამისი საბუთები წარუდგინა სამანდატო და დეპუტატის ეთიკის კომისიას.

სამანდატო და დეპუტატის ეთიკის მუდმივი კომისია შემოდის წინადადებით, რომ ცნობილ იქნეს ნოდარ წულეისკირის სადეპუტატო უფლებამოსილება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

ცნობილ იქნეს ნოდარ წულეისკირის სადეპუტატო უფლებამოსილება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აბაპი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 2 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**574** არკადი მარკოზიას სადეპუტატო უფლებამოსილების ცნობის უსასახე

ცნობილ იქნეს 1991 წლის 21 ივლისის № 96 მარტვილის საარჩევნო ოლქში არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატის არკადი მარკოზიას უფლებამოსილება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აბაპი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 2 აგვისტო.

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

#### დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 575 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრების თენგიზ კიტოვანისა და იოსებ ბარათაშვილის სადებუტატო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. „საქართველოს რესპუბლიკის დებუტატის სტატუსის“ შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად უზენაესი საბჭოს წევრებს თენგიზ კიტოვანსა და იოსებ ბარათაშვილს შეუწყდეთ სადებუტატო უფლებამოსილება.
2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დებუტატურ არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიის № 11 საარჩევნო ოლქში, ადგილზე მყოფი მთავარი წესით კენჭი იყარა თენგიზ კიტოვანმა, ჩაატაროს ახალი არჩევნები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბაბაი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 2 აგვისტო.

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

#### დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 576 შალვა წინწალაშვილის სადებუტატო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრმა შალვა წინწალაშვილმა განცხადებით მიმართა უზენაეს საბჭოს იმის თაობაზე, რომ ვადამდე ხსნის სადებუტატო უფლებამოსილებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. ვადამდე შეუწყდეს უფლებამოსილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრს შალვა წინწალაშვილს, რომელიც დებუტატად არჩეული იყო № 54 გურჯაანის საარჩევნო ოლქში.
2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დებუტატურ არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიას აღნიშნულ ოლქში ჩაატაროს

არჩევნები გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად უზენაეს საბჭოში დეპუტატად ასარჩევად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 2 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

**577** საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში დამატების  
თანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 124<sup>4</sup> მუხლის მე-13 პუნქტის სიტყვების „ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებებს შემდეგ დაემატოს სიტყვები „ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის აქტების“.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 2 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**578** სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტთან არსებული მატერიალური  
რიტორიული სამმართველოს ორგანიზაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტთან არსებული მატერიალური უზენაესი საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფი ყველა ობიექტი მატერიალური ფასეულობებით გადაიცეს საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქციაში.

2. სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტთან არსებული მატერიალური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფი ობიექტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს ტერიტორიული სამმართველოს ორგანიზაციის შესახებ

დამუშავების მიზანსა და მისი განხორციელების ვადებს დაემატოს საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტროს.

3. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ:

შეიტანოს სათანადო ცვლილებები საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტროს სტრუქტურასა და ფუნქციებში;

შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მატერიალური და სამობილიზაციო რეზერვების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აბაბი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 2 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

**579** „საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონისა და „საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 2 აგვისტოს კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონი და „საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 2 აგვისტოს კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1991 წლის 3 აგვისტოდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აბაბი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 2 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ ზ ე ნ ი ლ ე ბ ა

**580** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის  
2 აპრილის სესიის განსახილველი ზოგადი საკითხის  
შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

საკითხები: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს არჩევისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობის შესახებ, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკისა და სომხეთის რესპუბლიკას შორის სახელმწიფოთაშორის ურთიერთობათა ძირითადი პრინციპების შესახებ ხელშეკრულების თაობაზე განხილულ იქნეს უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგ მსჯელობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბაბაი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 2 აგვისტო.

(9-10 აგვისტო)

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ ზ ე ნ ი ლ ე ბ ა

**581** საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის  
შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობებში კარდინალური სრულყოფის, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გადიდებისა და გასაღების მომპირნედ ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის დაზუსტებული საგანგებო სახელმწიფო ბიუჯეტი განსაზღვრულია შემოსავლის ნაწილში 6.848.709 ათას მანეთის, გასაღლის ნაწილში — 8.624.339 ათასი მანეთის, ხოლო ამ ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული ოდენობა — 1.755.630 ათასი მანეთის ოდენობით.

დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში.



ქართული  
საარჩევნო  
სისტემა

2. რესპუბლიკაში შექმნილი რთული ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს უზრუნველყოს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვისადმი საგანგებო მიდგომა, მომჭირნეობის მკაცრი რეჟიმის განხორციელება.

3. დაევალოს სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციას და მთავრობის სხვა მაკონტროლებელ ორგანოებს დააწესონ უმკაცრესი ზედამხედველობა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესავსებად, ამ სფეროში არსებული დარღვევების აღმოფხვრისა და რეზერვების ამოქმედების უზრუნველსაყოფად.

4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებს, დეპარტამენტებს, უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებს, საწარმოებს, გაერთიანებებს, სამეურნეო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს:

დასახონ და განახორციელონ გადამჭრელი ზომები ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა შესასრულებლად;

აღკვეთონ ყოველნაირი გაუთვალისწინებელი და ზედმეტი სახსრების გაცემა, მიაღწიონ საბიუჯეტო ასიგნებათა რაციონალურ და მომჭირნეობით გამოყენებას.

5. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას შეიმუშაოს და განახორციელოს კონკრეტული წინადადებები მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად. საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 5 მლნ მანეთზე მეტი ოდენობით დამატებითი ხარჯებისთვის ასიგნებათა გამოყოფის საკითხი დაისვას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წინაშე.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აბაბი ასატიანი.**

თბილისი, 1991 წლის 9 აგვისტო.

**საქართველოს რესპუბლიკის კანონი**

**582 საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ**

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების სამართლებრივ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და სოციალურ საფუძვლებს, პრივატიზების განხორციელების ძირითად პირობებსა და წესს.

კანონის მიზანია სამართლებრივად მოაწესრიგოს და უზრუნველყოს მოქალაქეთა, მათი გაერთიანებების და არასახელმწიფო იურიდიული პირების მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შეძენის პროცესი.

## კ ა რ ი I

### პრივატიზების საერთო დებულებანი

#### მუხლი 1. პრივატიზების ცნება

1. პრივატიზება არის მოქალაქეთა, მათი გაერთიანებების და არასახელმწიფო იურიდიული პირების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნა, რომლის შედეგად ისინი თავის თავზე იღებენ ამ უფლებიდან გამომდინარე ქონებრივ, საფინანსო და სხვა ვალდებულებებს.

2. პრივატიზების შედეგად სახელმწიფო კარგავს პრივატიზებული ქონების (ობიექტების) ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებებს, ხოლო სახელმწიფო ორგანოები — მათი მართვის უფლებას.

3. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვრული ვადით შეზღუდოს პრივატიზებული ქონებით შექმნილ საწარმოთა საქმიანობის მიმართულება.

#### მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ

1. საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზება წესრიგდება ამ კანონის, „საკუთრების საფუძვლების შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ“, „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ კანონების, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონებისა და საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.

2. მიწისა და სახელმწიფო საბინაო ფონდის პრივატიზება ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.

3. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ იმ სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზება, რომელთა მართვას ახორციელებენ საბჭოთა კავშირის სამეურნეო მართვის ორგანოები, ხორციელდება სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

4. საზღვარგარეთის სახელმწიფოთა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა შესყიდვა, ამ სახელმწიფო სააქციო საზოგადოებათა და ამხანაგობათა საწესდებო კაპიტალში წილის შექმნა (აქციები, პაი) წესრიგდება ამ კანონით, „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

#### მუხლი 3. პრივატიზების სფერო და ობიექტები

1. სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზება დასაშვებია მეურნეობის ყველა დარგში.

2. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე სახელმწიფო საწარმოთა გარკვეული ნაწილი შეიძლება არ დაექვემდებაროს პრივატიზებას. ასეთი ობიექტების ნუსხას ყოველწლიურად განსაზღვრავს

რესპუბლიკის მთავრობა და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

3. პრივატიზების ობიექტია სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმო ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომლის პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ან მისი სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოების მიერ. პრივატიზების ობიექტების ნუსხა აისახება პრივატიზების პროგრამაში, რომელსაც ყოველწლიურად ახუსტებს რესპუბლიკის მთავრობა და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

**მუხლი 4.** პრივატიზების ხელმძღვანელი ორგანო და სახელმწიფო პროგრამა

1. საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების განმახორციელებელ ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტი.

2. სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტი (შემდგომში კომიტეტი), იქმნება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით. იგი უშუალოდ ექვემდებარება რესპუბლიკის მთავრობას. ავტონომიურ რესპუბლიკებში იქმნება კომიტეტის შესაბამისი ორგანოები, ხოლო რეგიონებში — მისი შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფები.

3. საქართველოს რესპუბლიკაში პრივატიზების ერთიანი პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად კომიტეტი:

შეიმუშავებს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას განსახილველად წარუდგენს პრივატიზების სახელმწიფო პროგრამას, აგრეთვე მასში შესატან ყოველწლიურ დამატებებსა და ცვლილებებს. პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ცალკეული საწარმოების მუშაკთა, აგრეთვე ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა წინადადებებს;

მეთოდურად და ორგანიზაციულად ხელმძღვანელობს, კონტროლს უწევს რესპუბლიკაში პრივატიზების პროცესს, გამოავლენს ამ სფეროში კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებსა და ფაქტებს, იღებს ზომებს მათ აღსაკვეთად;

ავტონომიური რესპუბლიკების და პრეფექტურების შესაბამისი სამსახურებთან ერთად ქმნის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების კომისიებს; მათი დასკვნების შესაბამისად აძლევს სახელმწიფო ქონების ფონდს მოწმობებს პრივატიზებულ საწარმოთა საკუთრების უფლებაზე;

ხელს უწყობს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების ფონდსა და მისი ადგილობრივი განყოფილების შექმნას.

ავტონომიურ რესპუბლიკებში პრივატიზების პროგრამებს ადგენენ სახელმწიფო ქონების მართვის შესაბამისი ორგანოები.

**მუხლი 5.** სახელმწიფო საწარმოს პრივატიზებით შემოსული სახსრების განაწილება და გამოყენება



1. სახელმწიფო საწარმოს პრივატიზებით შემოსული სახსრები ჩაირიცხება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების და პრეფექტურების სპეციალურ ანგარიშებზე. პრივატიზებით ამოღებული სახსრების განაწილების თანაფარდობა განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ.

2. პრივატიზების შედეგად შემოსული სახსრების გამოყენების კონკრეტულ მიმართულებებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

**მუხლი 6. გამყიდველები და მყიდველები**

1. საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებაში მყოფი სახელმწიფო საწარმოების, აგრეთვე სახელმწიფო სააქციო საზოგადოებებისა და ამხანაგობების საწესდებო კაპიტალის იმ წილის (პაის, აქციის) გამყიდველს, რომელიც საქართველოს რესპუბლიკას ეკუთვნის, წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების ფონდი (შემდგომში ფონდი) — სახელმწიფო საფინანსო კომპანია, რომელიც კომერციულ საწყისებზე მოქმედებს. ფონდი იქმნება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით და ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას.

ფონდი და მისი ადგილობრივი განყოფილებები:

ფლობენ საქართველოს რესპუბლიკის კუთვნილ სახელმწიფო საწარმოთა საკუთრების მოწმობებს, აგრეთვე მოწმობებს სახელმწიფო სააქციო საზოგადოებების საწესდებო კაპიტალში გარკვეული წილის (პაის, აქციების) საკუთრების შესახებ, წარმოადგენენ საქართველოს რესპუბლიკის, როგორც მესაკუთრის, ინტერესებს აქციონერთა საერთო კრებებზე, მათ მფლობელობაში არსებული აქციების ფარგლებში ეწევიან რისკს (კისრულობენ ქონებრივ პასუხისმგებლობას) შესაბამის საწარმოთა კომერციულ საქმიანობაში. ფონდს უფლება არა აქვს ჩაერიოს საწარმოთა საქმიანობაში მეწარმესთან (მმართველთან, დირექტორთან) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც ამ კანონით, საწარმოს წესდებით ან საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით არის გათვალისწინებული;

ყიდიან კუთვნილ პაის, აქციებს, აგრეთვე საწარმოებზე საკუთრების უფლების მოწმობებს;

რესპუბლიკის ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად ყიდულობენ სააქციო საზოგადოებებისა და ამხანაგობების აქციებს ან პაის;

ანაწილებენ დივიდენდებს;

ანაწილებენ საწარმოთა პრივატიზებით შემოსულ სახსრებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად;

სახელმწიფო სააქციო საზოგადოებებისა და ამხანაგობების სახელმწიფოს კუთვნილ აქციებს (პაის) ცვლიან კომერციული კომპანიების აქციებზე.

2. საქართველოს რესპუბლიკაში შემაჯალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რაიონების (ქალაქების) საკუთრებაში მყოფი სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოების, აგრეთვე სახელ-

მწიფო სააქციო საზოგადოებებისა და ამხანაგობების საწესდებო კაპიტალის იმ წილის (პაის, აქციების) გამყიდველს, რომელსაც ეს ავტონომიური რესპუბლიკა ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რაიონი (ქალაქი) ფლობს. წარმოადგენს სათანადო რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკა) და რაიონული (საქალაქო) სახელმწიფო ქონების ფონდი.

სახელმწიფო ქონების ფონდები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების ფონდის ანალოგიურ ფუნქციებს, რომლებიც ჩამოთვლილია ამ კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში.

3. სახელმწიფო საწარმოთა, სააქციო საზოგადოებებისა და ამხანაგობების საწესდებო კაპიტალში გარკვეული წილის (პაის, აქციების) მყიდველები შეიძლება იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები ან მოქალაქეთა გავრთიანებები, საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკური და იურიდიული პირები, აგრეთვე ის არასახელმწიფო იურიდიული პირები, რომელთა საწესდებო კაპიტალში სახელმწიფოს, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საქველმოქმედო და სხვა საზოგადოებრივი ფონდების, რელიგიური ორგანიზაციების წილი შეადგენს 25 პროცენტზე ნაკლებს. სხვა შემთხვევაში სყიდვითი გარიგება ბათილად ჩაითვლება.

4. სახელმწიფო საწარმოს მყიდველები შეიძლება იყვნენ მისი მუშაკები, რომლებიც ამ მიზნით ქმნიან ამხანაგობას და სარგებლობენ კანონით დაშვებული შეღავათებით. ამხანაგობის წევრებად შეიძლება მიღებულ იქნენ ის მოქალაქეებიც, რომლებიც ამ საწარმოში არ მუშაობენ.

5. პრივატიზების დროს გამყიდველებსა და მყიდველებს შეუძლიათ იმოქმედონ თავიანთი წარმომადგენლების (ნდობით აღჭურვილი პირების) ან შუამავლების მეშვეობით. ორივე შემთხვევაში გარიგების მონაწილეთა იურიდიული უფლებამოსილება უნდა აკმაყოფილებდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

**მუხლი 7.** სახელმწიფო საწარმოს შესაძენად საჭირო სახსრების წყაროები

სახელმწიფო საწარმოს, აგრეთვე სახელმწიფო სააქციო საზოგადოებების ან ამხანაგობების საწესდებო კაპიტალის წილის (პაი, აქციები) შესაძენად გამოიყენება მოქალაქეთა პირადი დანაზოგები, სამეურნეო ამხანაგობებისა და საზოგადოებების საკუთარი სახსრები, აგრეთვე საწარმოთა ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში დაარჩენილი სახსრები. ამავე მიზნით მყიდველებმა შეიძლება გამოიყენონ ნასესხები და აგრეთვე სხვა სახსრები.

კარი II

პრივატიზების წესი და ფორმები

**მუხლი 8.** პრივატიზების შესახებ განცხადების წარდგენა და განხილვა

1. სახელმწიფო საწარმოს მუშაკებს შეუძლიათ ინიციატივის წესით შეიტანონ განცხადება ამ საწარმოს პრივატიზების შესახებ. განცხადებას წარადგენენ კომიტეტის ტერიტორიულ ორგანოში. განცხადების ფორმა და გადასახდელად სავალდებულო სახელმწიფო მისაგებლის სიდიდე დგინდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ. საწარმოს მუშაკთა განცხადება საწარმოს პრივატიზების შესახებ განსახილველად მიიღება იმ შემთხვევაში, თუ მას ხელს აწერს საწარმოს მუშაკთა ნახევარზე მეტი.

2. პრივატიზების შესახებ განცხადებასთან ერთად კომიტეტის ტერიტორიულ ორგანოში შეიძლება წარდგენილ იქნეს აგრეთვე საწარმოს შესყიდვის ძსურველთა წინადადებები პრივატიზების შესახებ. გადაწყვეტილებას საწარმოს პრივატიზების შესახებ კომიტეტი იღებს ამ წინადადებათა გათვალისწინებით.

3. განცხადება და წინადადებები სახელმწიფო საწარმოს პრივატიზების შესახებ კომიტეტის მიერ განიხილება მათი შემოსვლიდან ერთი თვის განმავლობაში, მისი გადაწყვეტილება წერილობით ეცხობება განმცხადებლებს.

4. პრივატიზებაზე უარის თქმა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ:

მიღებულია კანონით დადგენილი შეზღუდვა მოცემული საწარმოს პრივატიზების გამო;

ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად განმცხადებელი პირი არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ობიექტების მყიდველად.

5. თუ განცხადება სახელმწიფო საწარმოს პრივატიზების შესახებ დადგენილ ვადაში არ განხილულა ან განმცხადებელი დაუსაბუთებლად თვლის უარყოფით გადაწყვეტილებას, მას აქვს ამ გადაწყვეტილების სასამართლოში ან საარბიტრაჟო სასამართლოში გასაჩივრების უფლება.

6. პრივატიზების საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები ქმნიან სახელმწიფო საწარმოს პრივატიზების კომისიას.

კომისიის შემადგენლობაში შედიან მესაკუთრის, საწარმოს ადმინისტრაციის საფინანსო ორგანოების, ბანკის, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლები. კომისიას უფლება აქვს შექმნას ექსპერტთა ჯგუფები ცალკეული მიმართულების მიხედვით. სპეციალისტები და ექსპერტები კომისიაში სამუშაოდ მოიწვევიან შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე, რომელთა ანაზღაურების წესი განისაზღვრება კომისიის გადაწყვეტილებით.

7. კომისია საწარმოს ადმინისტრაციასთან ერთად მყიდველებისა და გამყიდველებისათვის, აგრეთვე საზოგადოებრიობისათვის ამზადებს აუცილებელ ინფორმაციას ამ საწარმოს შესახებ.



8. კომისია ადგენს პრივატიზების პროგრამას, რომელიც მოიცავს: საწარმოს რეორგანიზაციის პროექტს, პრივატიზების ფორმას, საწარმოს საწყისი ფასის დადგენას, ღირებულების გადახდის (ანგარიშსწორების) რეკომენდებულ ფორმას. პრივატიზების პროგრამა შეიძლება ითვალისწინებდეს საწარმოს გარკვეული სტრუქტურული ქვედანაყოფების დამოუკიდებელ საწარმოებად გამოყოფას.

სახელმწიფო ქონების გამგებელი ორგანო კომისიის წარდგინებით ღებულობს გადაწყვეტილებას საწარმოთა ბალანსზე არსებული საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის ცალკეული ობიექტების შესახებ.

მათ მიმართ შეიძლება განხორციელდეს:

მოცემული ობიექტების მიყიდვა საწარმოს მუშაკებისათვის და მოქალაქეებისათვის, სამეურნეო ამხანაგობებისა და საზოგადოებებისათვის, რომლებიც იძენენ საწარმოს ქონებას;

მათი უსასყიდლოდ გადაცემა საწარმოს მუშაკებისათვის, მოქალაქეების, სამეურნეო ამხანაგობებისა და საზოგადოებებისათვის, რომლებმაც შეიძინეს საწარმოს ქონება, აუცილებლობის შემთხვევაში ამ ობიექტების დაფინანსების და ექსპლუატაციის პირობით;

ამ ობიექტების გადაცემა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების და სხვა სახელმწიფო საწარმოების ბალანსზე.

#### **მუხლი 9.** სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების ფორმები

1. პრივატიზება ხორციელდება საწარმოთა შესყიდვით კონკურსის ან აუქციონის წესით.

2. კონკურსის წესით საწარმოს გაყიდვის მიზანია საწარმოზე საკუთრების უფლება მიანიჭოს იმ მყიდველს, რომელიც შესთავაზებს გამყიდველისათვის ყველაზე უკეთეს პირობებს.

3. აუქციონის წესით საწარმოს გაყიდვის მიზანია საწარმოზე საკუთრების უფლება მიანიჭოს იმ მყიდველს, რომელიც ვაჭრობის პროცესში ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს გამყიდველს.

4. რეკომენდაციებს საწარმოს პრივატიზების ფორმის შერჩევისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ შეიმუშავენ საპრივატიზებო კომისია. პრივატიზების ფორმის შერჩევისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული: საწარმოს მუშაკთა აზრი;

მყიდველთა წინადადებები, რომლებიც კომიტეტს წარედგინება სახელმწიფო საწარმოს შესყიდვის განცხადებასთან ერთად;

საწარმოს თავისებურება და მისი როლი რესპუბლიკის ეკონომიკაში;

საწარმოს სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა მოცემული რეგიონისათვის.

5. გადაწყვეტილებას საწარმოთა პრივატიზების ფორმებისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ იღებენ კომიტეტი და მისი ტერიტორიული ორგანოები.

**მუხლი 10.** საწარმოთა რეორგანიზაცია პრივატიზების წინ

1. პრივატიზებისათვის საწარმოს მომზადება გულისხმობს მისი ძირითადი საწარმოო და არასაწარმოო ფონდების ინვენტარიზაციას, აგრეთვე საწარმოს სტრუქტურულ რეორგანიზაციას იმ მიზნით, რომ მასში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფები, ეკონომიკურად გამართლებულ საზღვრებში, საქმეების შემთხვევაში გამოცალკევდნენ და გარდაიქმნან დამოუკიდებელ საწარმოებად.

2. საწარმოს ბალანსზე მყოფი სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტები კომისიის შეხედულებისამებრ შეიძლება გაიყიდონ ან მუნიციპალურ საკუთრებაში იქნენ გადაცემული კომიტეტსა და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელშიც განსაზღვრული იქნება ამ ობიექტების დაფინანსებისა და შენახვის წესი.

**მუხლი 11.** პრივატიზებისათვის განკუთვნილი საწარმოს საწყისი ფასის განსაზღვრა

1. კონკურსის ან აუქციონის წესით გაყიდვისათვის საწარმოს საწყისი ფასი შეიძლება განისაზღვროს ორი შესაძლო ვარიანტი: პირველი, გამომდინარე საწარმოს სავარაუდო შემოსავლიანობიდან და მეორე, იმ მოსალოდნელი ამონაგების შეფასებიდან, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს საწარმოს ქონების გაყიდვით, მის მიერ დაკავებული მიწის ფართობის გათვალისწინებით.

პირველი ვარიანტი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს საფინანსო მდგომარეობის ანალიზის და მისი განვითარების პერსპექტივის შეფასების საფუძველზე კომიტეტი არ იღებს გადაწყვეტლებას საწარმოს ლიკვიდაციის შესახებ. ამ შემთხვევაში საწარმოს საწყისი ფასი განისაზღვრება იმ შემოსავლის სიდიდის გათვალისწინებით, რომელსაც სახელმწიფო მიიღებდა საწარმოს სამეურნეო საქმიანობიდან.

შეფასების მეორე ვარიანტი გამოიყენება ქრონიკულად ზარალიანი საწარმოების მიმართ. შეფასების ეს ვარიანტი გამოიყენება აგრეთვე სალიკვიდაციოდ განკუთვნილ საწარმოთა მიმართ. ამ შემთხვევაში შეფასება წარმოებს ქონების ინვენტარიზაციის შედეგებზე დაყრდნობით და იმ რეალური ფასების საფუძველზე, რომლებიც მოცემულ მომენტში ყალიბდება წარმოების საშუალებათა ბაზარზე.

2. პრივატიზების ობიექტების ღირებულების შეფასების მეთოდურ მითითებებს შემუშავებს და ამტკიცებს კომიტეტი.

**მუხლი 12.** ინფორმაცია საპრივატიზებო საწარმოთა შესახებ

1. ინფორმაცია საკონკურსო საწყისებზე გასაყიდად განკუთვნილ სახელმწიფო საწარმოთა შესახებ, აგრეთვე კონკურსის წესით სახელმწიფო საქცილ საზოგადოებათა საწესდებო კაპიტალის წილის (პაის) შექენისა და მათივე აქციების გაყიდვის შესახებ ქვეყნდება პრესაში. ინფორმაცია ქვეყნდება კონკურსის ჩატარების ან აქციების თავისუფალი გაყიდვის დათქმულ თარიღამდე ერთი თვით ადრე.



2. საწარმოს შესახებ გამოქვეყნებულ ცნობებში აუცილებლად შეიტანება: საწარმოს მიერ დაკავებული მიწის ფართობი და მასზე განთავსებულ ნაგებობათა დახასიათება, საწარმოს გაყიდვის პირობები, ძირითადი ფონდების ნუსხა ჯგუფების მიხედვით, წამოწყებულ ინვესტიციათა საპროექტო შეფასება, მათი სავარაუდო ღირებულება, გაწეული ხარჯების სიდიდე, მატერიალურ ფასეულობათა მარაგი, ფულადი სახსრების მდგომარეობა. საწარმოს მფლობელობაში არსებული აქციები ან წილი (პაი) სააქციო საზოგადოებების საწესდებო კაპიტალში, არამატერიალური ფასეულობანი (პატენტი, ლიცენზია, სიგატო მარკა და სხვ.), საწარმოს ვალდებულებანი (სავაჭრო, საბიუჯეტო, საკრედიტო), საწარმოს ბალანსები სამი უკანასკნელი წლის მიხედვით, მისი წილი გამოშვებული პროდუქციის საშინაო ბაზარზე, კონკურენტუნარიანობის დონე და სხვა. კომიტეტი საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავს დამატებით მონაცემთა ჩამონათვალს და მათი მიწოდების ფორმას.

3. პრივატიზება ტარდება საჯაროდ. მას საზოგადოებრივ კონტროლს უწევენ საწარმოს მუშაკები, მყიდველები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები.

**მუხლი 13.** გადახდის წესი

შექნილი საწარმოს ან სახელმწიფო სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში წილის (პაის, აქციების) ღირებულების გადახდა შეიძლება ერთბაშად ან განვადებით. გადახდის წესს ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ადგენს გამყიდველი.

**მუხლი 14.** სახელმწიფო საწარმოს შექმნა კონკურსის წესით

გადაწყვეტილებას საწარმოს კონკურსის წესით გაყიდვის შესახებ იღებს კომიტეტი ან მისი ტერიტორიული ორგანო საწარმოს მუშაკებთან და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით.

კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება შესაბამისი დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

**მუხლი 15.** სახელმწიფო საწარმოს შექმნა აუქციონზე

გადაწყვეტილებას საწარმოს აუქციონის წესით გაყიდვის შესახებ იღებს კომიტეტი ან მისი ტერიტორიული ორგანო საწარმოს მუშაკებთან და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით.

აუქციონის ჩატარების წესი განისაზღვრება შესაბამისი დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

**მუხლი 16.** მყიდველთა მიერ სახელმწიფო სააქციო საზოგადოებათა და ამხანაგობათა აქციების (პაის) შექმნა

1. საწარმოთა პრივატიზება აქციების (პაის) გაყიდვის გზით ხორციელდება სახელმწიფო საწარმოთა სახელმწიფო სააქციო საზოგადოებებად და ამხანაგობებად წინასწარი გარდაქმნის შემდეგ. გარდაქმნის წესი განისაზღვრება შესაბამისი დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

2. სახელმწიფო სააქციო საზოგადოებათა და ამხანაგობათა დამფუძნებლები არიან კომიტეტი და მისი ტერიტორიული ორგანოები, რომლებიც ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს რეგისტრაციისათვის წარუდგინენ განცხადებას სახელმწიფო სააქციო საზოგადოების (ამხანაგობის) რეგისტრაციის შესახებ და შესაბამის დოკუმენტებს.

3. სახელმწიფო სააქციო საზოგადოების (ამხანაგობის) რეგისტრაციის შემდეგ კომიტეტი მისი აქციების პაკეტს გადასცემს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების ფონდს, რომელიც აწყობს მათ გაყიდვას საკონკურსო საწყისებზე; გაუყიდავი აქციები (პაი) რჩება ფონდის განკარგულებაში.

**მუხლი 17.** სახელმწიფო სააქციო საზოგადოებათა (ამხანაგობათა) მუშაკების მიერ აქციების (პაის) შესყიდვა შეღავათიან პირობებში

1. სახელმწიფო სააქციო საზოგადოებათა (ამხანაგობათა) მუშაკებს უფლება აქვთ შეიძინონ აქციები (პაი) შეღავათიან პირობებში. ამ შემთხვევაში აქციებზე (პაიზე) ფასდაკლება არ უნდა აღემატებოდეს 20 პროცენტს. აქციების (პაის) გამოსყიდვის ვადა არ უნდა იყოს 2 წელზე მეტი საზოგადოების (ამხანაგობის) რეგისტრაციის დღიდან.

2. შეღავათიან პირობებში აქციების (პაის) გამოსასყიდად სახელმწიფო სააქციო საზოგადოების (ამხანაგობის) მუშაკებისათვის რასაშვებია გამოყენებულ იქნეს შესაბამისი საწარმოების ეკონომიკური სტიმულირების ფონდში დარჩენილი სახსრები.

3. საწარმოს მუშაკთა გადაწყვეტილებით ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეღავათები შეიძლება გაერცხლდეს სახელმწიფო საწარმოს იმ ყოფილ მუშაკებზე, რომლებიც ამ საწარმოდან გავიდნენ პენსიაზე.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათები ძალაშია აქციების გაყიდვის დაწყებიდან 1 წლის განმავლობაში. შეღავათიან პირობებში შესყიდული აქციების ხელმეორედ გაყიდვა დაუშვებელია ნასყიდობის რეგისტრაციიდან 2 წლის განმავლობაში.

**მუხლი 18.** სახელმწიფო საწარმოთა შეძენა მათი მუშაკების მიერ კონკურსით ან აუქციონზე

1. კონკურსში (აუქციონზე) სახელმწიფო საკუთრების ობიექტის მყიდველის როლში შეიძლება გამოვიდნენ საწარმოთა მუშაკები იმ შემთხვევაში თუ წინასწარ ჩამოაყალიბებენ შესაბამის ამხანაგობას.

2. თუ კონკურსის (აუქციონის) მონაწილე ასეთი ამხანაგობა აერთიანებს პრივატიზებული საწარმოს (ან მისი სტრუქტურული ერთეულის) მუშაკთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტს, მას ეძლევა ობიექტის განვადებით შესყიდვის უფლება. აგრეთვე ეძლევა უფლება ამ მიზნით გამოიყენოს საწარმოს ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში დარჩენილი სახსრების ნაწილი (ამხანაგობაში გაერთიანებული მუშაკების ხვედრითი წილის პროპორციულად).

3. ობიექტის განვადებით გამოსყიდვის უფლებას იძლევა კომიტეტი ან მისი ტერიტორიული ორგანო. განვადება არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს.



ხოლო თავდაპირველად შესატანი თანხა არ უნდა იყოს გამოსასყიდი ობიექტების ფასის 50 პროცენტზე ნაკლები.

4. ამხანაგობა, რომელიც აერთიანებს საწარმოს მუშაკთა საერთო რიცხვის ნახევარზე ნაკლებს, კონკურსში (აუქციონზე) მონაწილეობს შეღავათების გარეშე, სხვა მყიდველებთან თანაბარი უფლებებით. იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული ამხანაგობა და სხვა მყიდველები გამყიდველს სთავაზობენ თანაბარ პირობებს, ობიექტის შექმნისას პრიორიტეტი ენიჭება ამ ამხანაგობას.

**მუხლი 19.** სოციალური გარანტიები პრივატიზებულ საწარმოთა მუშაკებისათვის

1. მყიდველების მიერ კონკურსით ან აუქციონზე შექმნილი საწარმოები, აგრეთვე სახელმწიფო სააქციო საზოგადოებები (ამხანაგობები) პასუხს აგებენ პრივატიზებამდე გაფორმებული შრომითი შეთანხმებებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე.

2. პრივატიზებულ საწარმოებზე მყიდველის საკუთრების უფლების გაფორმებიდან 3 თვის ვადაში მეწარმე (მმართველი, დირექტორი) ვალდებულია ხელშეკრულება გააფორმოს საწარმოს მუშაკებთან ან საწარმოს პროფკავშირულ ორგანიზაციასთან, რომელშიც შეიტანება შრომის ორგანიზაციასთან ანაზღაურებასა და დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებები, მუშაკთა სოციალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა და სხვა საკითხები. პრივატიზებული საწარმოდან მეწარმის (დირექტორის, მმართველის) ინიციატივით გათავისუფლებულ მუშაკებს ეძლევათ ერთდროული დახმარება კანონით დადგენილი წესით. გამოთავისუფლებული მუშაკების შრომითი მოწყობა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

კ ა რ ი III

**გარიგებათა გაფორმება, მხარეთა პასუხისმგებლობა, უფლებანი და მოვალეობანი**

**მუხლი 20.** საპრივატიზებო გარიგებათა გაფორმება

1. პრივატიზების ფორმებისაგან დამუკიდებლად სახელმწიფო საწარმოთა, აგრეთვე სახელმწიფო სააქციო საზოგადოებათა (ამხანაგობათა) საწესდებო კაპიტალში წილის (პაი, აქციები) გამყიდველსა და მყიდველს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც შინაარსითა და ფორმით უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის მოთხოვნებს.

2. ხელშეკრულებაში შეიტანება: ცნობები გამყიდველის, მყიდველისა და შუამავლის შესახებ, საწარმოს დასახელება და ადგილმდებარეობა, საწარმოს ქონების შემადგენლობა და ფასი, სახელმწიფო სააქციო საზოგადოების (ამხანაგობის) აქციების რაოდენობა და ფასი (ან პაის სიდიდე), გადახდის წესი და ვადები; მხარეთა ვალდებულებები საწარმოს შემდგომი გამოყენების შესახებ; სხვა პირობები მხარეთა შეთანხმების მიხედვით.



3. საწარმოზე ან სახელმწიფო სააქციო საზოგადოების (ამხანაგობის) საწესდებო კაპიტალის წილზე საკუთრების უფლება გამყიდველიდან მყიდველს გადაეცემა ხელშეკრულების ნოტარიულად რეგისტრაციის მომენტიდან, თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**მუხლი 21.** გამყიდველისა და მყიდველის მოვალეობანი

1. სახელმწიფო საწარმოს ან სახელმწიფო სააქციო საზოგადოების (ამხანაგობის) აქციების (წილი, პაი) გამყიდველი ვალდებულია საწარმო მოამზადოს პრივატიზებისათვის, გამოაქვეყნოს განცხადება საწარმოს პრივატიზების შესახებ, მყიდველს მისი მოთხოვნისამებრ წარუდგინოს საწარმოს ქონება და დოკუმენტები მისი საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობის შესახებ, გადასცეს საწარმო (პაი, აქციები) და შეასრულოს სხვა ვალდებულებანი თანახმად მყიდველთან დადებული ხელშეკრულებისა.

2. სახელმწიფო საწარმოს მყიდველი ხდება მის ქონებრივ უფლება-მოვალეობათა სრული სამართალმემკვიდრე.

სახელმწიფო სააქციო საზოგადოების (ამხანაგობის) აქციების (წილის, პაის) მყიდველი ხდება მის ქონებრივ უფლება-მოვალეობათა ნაწილობრივი სამართალმემკვიდრე, პროპორციულად ნაყიდი აქციების (წილის, პაის) რიცხვისა და საერთო ღირებულებისა.

**მუხლი 22.** შესაკუთრეთა უფლებების გარანტიები და დაცვა

1. პრივატიზების პროცესში სახელმწიფო იძლევა გამყიდველის, მყიდველის, შუამავლისა და სხვა სუბიექტების მხრივ უფლებათა და მოვალეობათა დაცვის გარანტიას. იმ შემთხვევაში, თუ პრივატიზება ჩატარდა ამ კანონის დარღვევით, სახელმწიფო არ იძლევა მყიდველის უფლებათა დაცვის გარანტიას და იღებს ზომებს დადებულ გარიგებათა გასაბათილებლად.

2. პრივატიზების პროცესში შესაკუთრეთა უფლებების დაცვა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 23.** პრივატიზების შესახებ გარიგებათა ბათილობა

1. გარიგებები სახელმწიფო საწარმოთა, აგრეთვე სახელმწიფო სააქციო საზოგადოებათა (ამხანაგობათა) აქციების (წილის, პაის) გაყიდვის შესახებ ბათილად ითვლება, თუ:

საწარმოს პრივატიზებაზე არ იყო კომიტეტის ან მისი ტერიტორიული ორგანოს თანხმობა;

უხეზად დაირღვა კონკურსის ან აუქციონის ჩატარების წესი;

მყიდველმა უარი განაცხადა ნაყიდი საწარმოს, აქციების, პაის, წილის ღირებულების განადგებაზე;

საწარმო, აქციები, წილი, პაი იყიდა სუბიექტმა, რომელსაც არ გააჩნდა ამის უფლება;

ყიდვის დროს გამოყენებულ იქნა გადახდის უკანონო საშუალებები;

გამყიდველი და მყიდველი შეთანხმდნენ არამართლზომიერ განაწილებასა და საწარმოს, აქციების, წილის, პაის ფასების ხელოვნურად შემცირებაზე;



მყიდველს გაეწია უკანონო შეღავათები და მიეცა არაკანონიერი უპირატესობა სხვა მყიდველებთან შედარებით;

დარღვეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთხოვნები.

2. პრივატიზების გარიგებათა ბათილად ცნობის უფლებრივი და ქონებრივი შედეგები განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

3. დავა პრივატიზების გარიგებათა ბათილად ცნობის შესახებ, აგრეთვე მესაკუთრეთათვის ზარალის მიყენებისა და სხვა ანალოგიური ხასიათის საკითხებზე განიხილება სასამართლო წესით, გამყიდველის, მყიდველის, შუამავლის, პროკურორის ან სხვა უფლებამოსილი პირის სარჩელის საფუძველზე.

**მუხლი 24.** პასუხისმგებლობა პრივატიზების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

პრივატიზების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 9 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**583** „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის საბაზისად შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1991 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბაბაქი აბატიანი.

თბილისი, 1991 წლის 9 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**584** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი იური-  
დიული კომისიის შიშვენიის უმცირესი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:  
გაერთიანდეს უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების  
დაცვის მუდმივი კომისია და თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლ-  
წესრიგის მუდმივი კომისია და შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს  
საბჭოს მუდმივი იურიდიული კომისია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 9 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**585** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი იური-  
დიული კომისიის თავმჯდომარე ლ. ა. ალექსიძის არჩევნის  
შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:  
არჩეულ იქნეს ლევან ანდრიას ძე ალექსიძე საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს მუდმივი იურიდიული კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 9 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**586** „საქართველის საფუძვლების უზენაესი საბჭოს რეგულაციის კანონის თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:  
„საქართველის საფუძვლების უზენაესი საბჭოს რეგულაციის კანონის მიღებული იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 10 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**587** „საინჟინრო ურთიერთობათა საფუძვლების უზენაესი საბჭოს რეგულაციის კანონის თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:  
„საინჟინრო ურთიერთობათა საფუძვლების უზენაესი საბჭოს რეგულაციის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 10 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

**588** საინვესტიციო საქმიანობის უზენაესი

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ პირობებს, ინვესტიციების სახელმწიფოებრივი დაცვის და რეგულირების ნორმებს. კანონის მიზანია:

საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების უფლებების, ინტერესებისა და ქონების თანაბარი დაცვა განურჩევლად საკუთრების ფორმებისა;

რესპუბლიკის სამეურნეო კომპლექსის ეფექტიანი ფუნქციონირება, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების თანამიმდევრული დაკმაყოფილება.

### 1. საერთო დებულებები

#### მუხლი 1. ინვესტიცია.

ინვესტიციად ითვლება ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალურ ფასეულობა, რომელიც დაბანდდება სამეწარმეო ან სხვა სახის საქმიანობის ობიექტებში მოგების (შემოსავლის) ან სოციალური ეფექტის მიღების მიზნით. ასეთი ფასეულობები შეიძლება იყოს:

ფულადი სახსრები, მიზნობრივი საბანკო შენატანები, პაი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები;

მოძრავი და უძრავი ქონება — შენობები, ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა მატერიალური ფასეულობები;

პატენტი, ლიცენზია, „ნოუ-ჰაუ“, გამოცდილება და სხვა ინტელექტუალური ფასეულობანი;

მიწით ან სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება, აგრეთვე სხვაგვარი ქონებრივი უფლებები;

სხვა ფასეულობები.

ინვესტიციები ძირითადი ფონდების კვლავწარმოებაში შეიძლება განხორციელდეს კაპიტალურ დაბანდებათა ფორმით.

#### მუხლი 2. საინვესტიციო საქმიანობა

1. საინვესტიციო საქმიანობაში იგულისხმება ინვესტიციის სარეალიზაციო პრაქტიკულ მოქმედებათა ერთობლიობა.

2. საინვესტიციო საქმიანობის ფორმებია:

კერძო და კოლექტიური ინვესტირება, რომელსაც ახორციელებენ მოქალაქეები, არასახელმწიფო საწარმოები, კოოპერატივები, სამეურნეო ასოციაციები, საზოგადოებები და ამხანაგობები, აგრეთვე კოლექტიური, საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციები, კერძო და კოლექტიურ საკუთრებაზე დაფუძნებული სხვა იურიდიული პირები;

სახელმწიფო ინვესტირება, რომელსაც ახორციელებენ საქართველოს რესპუბლიკის, მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნების ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები საბიუჯეტო სახსრების, ბიუჯეტგარეშე ფონდების და ნასესხება სახსრების ხარჯზე, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები საკუთარი და ნასესხები სახსრების ხარჯზე;

უცხოური ინვესტირება, რომელსაც ახორციელებენ უცხოელი მოქალაქეები, იურიდიული პირები და სახელმწიფოები;

ერთობლივი ინვესტირება, რომელსაც ახორციელებენ საქართველოს რესპუბლიკის და უცხოელი მოქალაქეები, იურიდიული პირები, სახელმწიფოები; შერეული ინვესტირება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს შემოჩამოთვლილ ფორმათა კომბინირებით.

**მუხლი 3.** საინვესტიციო საქმიანობის ობიექტები

საინვესტიციო საქმიანობის ობიექტებია:

სამეურნეო კომპლექსის ყველა სფეროსა და დარგში შესაქმნელი და გასასხლებელი ძირითადი ფონდები და საბრუნავი საშუალებები, ფასიანი ქაღალდები, მიზნობრივი ფულადი შენატანები, სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქცია, ინტელექტუალური ფასეულობები, საკუთრების სხვა ობიექტები და აგრეთვე ქონებრივი უფლებები.

აგრძალულია იმ ობიექტების ინვესტირება, რომელთა შექმნა და გამოყენება ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილ სანიტარიულ-ჰიგიენურ, მიწათსარგებლობის, ეკოლოგიურ და სხვა ნორმებს, აგრეთვე აყენებს ზიანს სახელმწიფოს, მოქალაქეთა და იურიდიული პირების კანონით დაცულ უფლებებსა და ინტერესებს.

**მუხლი 4.** საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტები

1. საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტი (ინვესტორი, მონაწილე) შეიძლება იყოს საქართველოს რესპუბლიკის ან უცხოელი მოქალაქე, იურიდიული პირი და სახელმწიფო.

2. საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტად — ინვესტორად ითვლება ის ვინც იღებს გადაწყვეტილებას საკუთარი, ნასესხები და მოზიდული ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობების დაბანდების თაობაზე.

ინვესტორს შეუძლია გამოვიდეს ფასეულობის დამბანდებლის კრედიტორის, ინვესტიციის ან მისი შედეგის მყიდველის როლში, აგრეთვე შეასრულოს საინვესტიციო საქმიანობის ნებისმიერი მონაწილის ფუნქცია.

3. საინვესტიციო საქმიანობის მონაწილენი არიან საქართველოს რესპუბლიკის და უცხოელი მოქალაქეები და იურიდიული პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინვესტიციის განხორციელებას, როგორც შეკვეთის უშუალოდ შემსრულებლები ან რომლებიც მოქმედებენ ინვესტორის დავალებით.

**მუხლი 5.** საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა საინვესტიციო საქმიანობის შესახებ

საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობანი საქართველოს რესპუბლიკაში რეგულირდება ამ კანონით და შესაბამისად გამოცემული საკანონმდებლო აქტებით.

საქართველოს რესპუბლიკის სუბიექტების საინვესტიციო საქმიანობა უცხოეთში რეგულირდება იმ ქვეყნების კანონმდებლობით, რომელთა ტერიტორიაზეც ხორციელდება ეს საქმიანობა, შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს რესპუბლიკის სპეციალური კანონმდებლობით;

უცხოელი სუბიექტების საინვესტიციო საქმიანობა საქართველოს რესპუბლიკაში რეგულირდება ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის კანონით უცხოური ინვესტიციების შესახებ.

## II. საინვესტიციო საქმიანობის განხორციელება

### მუხლი 6. ინვესტორის უფლებები

1. ყველა ინვესტორს აქვს საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების თანაბარი უფლებები.

ინვესტორის მიერ ქონებრივ და ინტელექტუალურ ფასეულობათა გამოყენება იმ ობიექტის ინვესტირებისათვის, რომელიც არ არის აკრძალული ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონმდებლობით, შეუზღუდავია, მიჩნეულია მის განუყოფელ უფლებად და დაცულია კანონით.

2. ინვესტორი დამოუკიდებლად საზღვრავს განსახორციელებელი ინვესტიციის მოცულობებს, მიმართულებასა და ეფექტიანობას და თავისი შეხედულებით მოიზიდავს ინვესტიციის რეალიზაციისათვის საჭირო მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს.

3. ინვესტიციის და მისი განხორციელების შედეგების ფლობის, გამოყენების, განკარგვის უფლებები ინვესტორის გადაწყვეტილებით შეიძლება გადაეცეთ სხვა მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს კანონით დადგენილი წესით. უფლებების ასეთი გადაცემის შემთხვევაში მხარეთა ურთიერთობები რეგულირდება ხელშეკრულების საფუძველზე.

4. ინვესტირებისათვის შეიძლება მოზიდულ იქნეს საფინანსო სახსრები კრედიტის, კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოშვებული ფასიანი ქაღალდებისა და სესხის სახით.

ინვესტორის ქონება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მის მიერ ნაყისრ ვალდებულებათა უზრუნველყოფის საშუალებად. გირაოდ მიიღება მხოლოდ ის ქონება, რომელიც არის ინვესტორის საკუთრებაში (ან ეკუთვნის მას სრულსამეურნეო გამგებლობის უფლებით), თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით. დაგირავებული ქონება სავიზოდ ვალდებულებათა დარღვევისას შეიძლება რეალიზებულ იქნეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ინვესტორს უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების შესაბამისად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს ინვესტიციის ობიექტებსა და შედეგებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეინვესტიციისა და სავაჭრო ოპერაციების შედეგების ჩათვლით.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით შეიძლება განსაზღვრულ იქნეს ობიექტები, რომელთა ინვესტირებას არ მოჰყვება მათი საკუთრებად შექმნის უფლება, მაგრამ არ გამოირიცხავს მათი შემდგომი ფლობის, ოპერატიული მართვის ან ამ ობიექტების ექსპლუატაციიდან მიღებულ შემოსავლებში ინვესტორის მონაწილეობის შესაძლებლობას.

6. ინვესტორს უფლება აქვს მოცულობისა და ნომენკლატურის შეუზღუდავად შეიძინოს მისთვის საჭირო ქონება მოქალაქეებისაგან და იურიდიული პირებისაგან უშუალოდ ან შუამავლების მეშვეობით, მხარეთა შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფასებში და პირობებში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

**მუხლი 7.** საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტებს შორის ურთიერთობა

1. ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება ურთიერთდამოკიდებულება საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტებს შორის, არის ხელშეკრულება (შეთანხმება).

ხელშეკრულების დადება, პარტნიორების არჩევა, ვალდებულებათა და სამეურნეო ურთიერთდამოკიდებულების სხვა ნებისმიერი პირობების განსაზღვრა, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას, წარმოადგენს საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტთა განსაკუთრებულ კომპეტენციას.

საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების სახელშეკრულებო ურთიერთობის განხორციელებაში სახელმწიფო ორგანოების და თანამდებობის პირთა ჩარევა დაშვებულია მათი მკაცრად განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში.

საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტებს უფლება აქვთ მოაწიონ ვაჭრობა-კონკურსები მოქალაქეთა და იურიდიული პირების საინვესტიციო საქმიანობაში ჩაბმის მიზნით.

2. საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტებს შორის დადებული ხელშეკრულების პირობები თავის ძალას ინარჩუნებს ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში. ეს პირობები ძალაშია მაშინაც, როცა ხელშეკრულების დადების შემდეგ კანონმდებლობით დადგინდა პირობები, რომლებიც აუარესებენ საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების მდგომარეობას, თუკი მხარეები ნებაყოფლობით ვერ შეთანხმდნენ ხელშეკრულების პირობების შეცვლაზე.

**მუხლი 8.** საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების მოვალეობანი

1. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესების შესაბამისად ინვესტორი ვალდებულია: წარუდგინოს საფინანსო ორგანოებს დეკლარაცია მის მიერ განხორციელებული ინვესტიციის მოცულობის შესახებ;

მიიღოს და გაითვალისწინოს სახელმწიფო ექსპერტიზის დასკვნები, საინვესტიციო პროექტებზე საინტარიულ-პიგიენტური, ეკოლოგიური, ქალაქთმშენებლობის, არქიტექტურის, შენობა-ნაგებობების მდგრადობისა და ტექნოლოგიური მოთხოვნებიდან გამომდინარე;

კაპიტალური მშენებლობის ინვესტირებისას მიიღოს ხელისუფლების შესაბამისი ორგანოებისა და სპეციალური სამსახურების ნებართვები და შეთანხმებები.

2. საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია:

დაიცვას მოქმედი ნორმები და სტანდარტები;



არ დაუშვას არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, შეასრულოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთხოვნები;

შეასრულოს მის მიმართ სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მიერ მათი კომპენტენციის ფარგლებში წაყენებული მოთხოვნები;

დადგენილი წესის შესაბამისად აწარმოოს და წარადგინოს საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგება.

3. საინვესტიციო საქმიანობის თითოეულ მონაწილეს, რომელსაც ევალეს სპეციალურ სამუშაოთა შესრულება, ამა თუ იმ სახის სამუშაოს ჩასატარებლად უნდა ჰქონდეს უფლებრივი ლიცენზია. ასეთ სამუშაოთა ჩამონათვალი და მათი ლიცენზირების წესი დადგინდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

**მუხლი 9.** საინვესტიციო საქმიანობის საფინანსო წყაროები

საინვესტიციო საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს შემდეგი წყაროებით: ინვესტორის საკუთარი საფინანსო სახსრებით (მოგება, საამორტიზაციო ანარიცხები, ფულადი დანაგროვები, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა დანაშოგები და სხვა);

ინვესტორის მიერ ნასესხები საფინანსო სახსრებით (საობლიგაციო სესხები, საბანკო და საბიუჯეტო კრედიტები);

ინვესტორის მიერ მოზიდული საფინანსო სახსრებით (აქციების გაყიდვით მიღებული სახსრები, ფიზიკური და იურიდიული პირების საპაიო და სხვა შენატანები);

საბიუჯეტო საინვესტიციო ასიგნებებით.

**III. საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება**

**მუხლი 10.** საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების მიზნები და ფორმები

1. საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება ქვეყნის ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალური პოლიტიკის რეალიზაციის მიზნით. იგი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ დამტკიცებული პროგრამებით, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული სახელმწიფო დაფინანსების მოცულობებით.

სახელმწიფო აწევებს შეღავათიან პირობებს ინვესტორისათვის, რომელიც ახორციელებს საინვესტიციო საქმიანობას საზოგადოებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მიმართულებით და უპირველეს ყოვლისა, სოციალურ სფეროში წარმოების ტექნიკურ სრულყოფაში აღმოჩენებისა და გამოგონებების დანერგვაში.

2. საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება მოიცავს საინვესტიციო საქმიანობის პირობების მოწესრიგებას და სახელმწიფო ინვესტიციების პირდაპირ მართვას.



**მუხლი 11.** საინვესტიციო საქმიანობის პირობების სახელმწიფო რეგულირება

საინვესტიციო საქმიანობის პირობების სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ საქართველოს რესპუბლიკის და მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადების საშუალებით, მაღალი საგადასახადო განაკვეთების ან საგადასახადო შეღავათების სისტემით. საინვესტიციო მოთხოვნების რეგულირების მიზნით შეიძლება შემოღებულ იქნეს ინვესტიციის დიფერენცირებული (სუბიექტებისა და ობიექტების) გადასახადი ან დაწესდეს გადასახადისაგან ინვესტორების გათავისუფლების პირობები;

საამორტიზაციო პოლიტიკის მეშვეობით, კერძოდ, ძირითადი ფონდების დაჩქარებული ამორტიზაციის პოლიტიკის გატარებით; ამასთან ერთად შეღავათები ამორტიზაციის მიხედვით შეიძლება დაწესებულ იქნეს დიფერენცირებულად ეკონომიკის ცალკეული დარგებისა და სფეროებისათვის, ძირითადი ფონდების ელემენტებისათვის, მოწყობილობათა სახეებისათვის და ა. შ.

ცალკეული რეგიონის, დარგისა და საწარმოს განვითარებისათვის ფინანსური დახმარების მიცემით დოტაციების, სუბსიდიების, სუბვენციების, საბიუჯეტო სესხების სახით;

საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებით, სახელმწიფო ნორმებითა და სტანდარტებით, ანტიმონოპოლიური ღონისძიებებით, სახელმწიფო საკუთრების პრივატიზებით და ფასწარმოქმნის პოლიტიკის საშუალებით;

მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენების განსაკუთრებული პირობების დაწესებით;

მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენების განსაკუთრებული გამაკრების ან ლიბერალიზების გზით.

საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირების ეკონომიკურ ბერკეტად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მცირე საწარმოთა მხარდაჭერის ფონდები და ბიუჯეტგარეშე საინვესტიციო ფონდები, რომლებიც იქმნება საქართველოს რესპუბლიკის და მისი ავტონომიური რესპუბლიკების მიერ დადგენილი წესით.

**მუხლი 12.** სახელმწიფო ინვესტიციის პირდაპირი მართვა

სახელმწიფო ინვესტიციების პირდაპირი მართვა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის, მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ და მოიცავს გადაწყვეტილების მიღებას, პირობების განსაზღვრას და კონკრეტული მოქმედების განხორციელებას საბიუჯეტო სახსრების, ბიუჯეტგარეშე ფონდების და ნებაყოფლობის საფუძველზე მოზიდული სხვა სახსრების ინვესტირებისათვის.

**მუხლი 13.** საინვესტიციო საქმიანობაში საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ურთიერთქმედება

საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ურთიერთქმედება საინვესტიციო საქმიანობაში ხორციელდება:

საქართველოს რესპუბლიკის მიერ — ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების მუშავების, რესპუბლიკური პროგრამების შედგენისა და რეალიზაციის, ასევე ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებთან ერთად ნებაყოფლობით საფუძველზე რეგიონალური ფონდების, კერძოდ: სარეზერვო, საინოვაციო, ბუნების დაცვის და სხვა ფონდების შექმნისათვის, რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური, სოციალური, აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებისა და სხვა პროგრამების დასაფინანსებლად, აგრეთვე სტიქიური უბედურებების, კატასტროფების და ავარიების თავიდან აცილების და მათი შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებისათვის;

ავტონომიური რესპუბლიკების მიერ — საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საერთო სახელმწიფოებრივი პროგრამების შედგენაში და მათი რეალიზაციის გზების დასახვაში მონაწილეობის მიღების გზით, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საინვესტიციო საქმიანობის რეგულირებით საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების შესაბამისად;

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ — ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების დამუშავებისა და დამტკიცების გზით თავიანთი რწმუნებების ფარგლებში, აგრეთვე შესაბამის ტერიტორიაზე ეკონომიკური და სოციალური ობიექტების შექმნის, ბუნებრივი რესურსების გამოყენების და ბუნებრივი გარემოს დაცვის საკითხების შეთანხმებით.

**მუხლი 14.** რესპუბლიკური სახელმწიფო ინვესტიციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი

1. წინადადებას რესპუბლიკური სახელმწიფო ინვესტიციის შესახებ ამზადებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროგნოზების, საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების სქემების, მიზნობრივი რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური და კომპლექსური პროგრამების და ამ ინვესტიციების მიზანშეწონილობის ტექნიკური ეკონომიკური დასაბუთების საფუძველზე.

2. რესპუბლიკური მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების პროექტები მუშავდება რესპუბლიკის მთავრობის მიერ განსაზღვრული წესით ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოების, დაინტერესებული სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით და წარედგინება განსახილველად საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ამტკიცებს რესპუბლიკური სახელმწიფო ინვესტიციების მოცულობებს, მათ შორის რესპუბლიკური სახელმწიფო შეკვეთებში შეტანილი მსხვილი საინვესტიციო ობიექტების ჩამონათვალს.

4. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა რესპუბლიკური სახელმწიფო ინვესტიციების განსაზღვრისას უზრუნველყოფს მათი მოცულობების შესაბამისობას სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამებისა და სახელმწიფო დაკვეთის დადგენილ ვადებში რეალიზაციასთან.

5. ასიგნებანი რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოიყოფა მხოლოდ უმნიშვნელოვანესი საინვესტიციო ობიექტებისათვის და საერთო-რესპუბლიკური პროგრამების სარეალიზაციოდ.

რესპუბლიკური ბიუჯეტის შემადგენლობაში გამოიყოფა განვითარების სპეციალური საფინანსო პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს გასავლებს საინვესტიციო ღონისძიებების განსახორციელებლად.

სახელმწიფო საინვესტიციო ფინანსური სახსრები შეიძლება გამოიყოს ორი წესით — გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ სახსრების აუცილებელი დაბრუნების პირობით ან დაუბრუნებლად.

6. ერთობლივი ინვესტირება რესპუბლიკის სახელმწიფო ინვესტიციის მონაწილეობით ხორციელდება ამ კანონის მიხედვით რესპუბლიკური სახელმწიფო ინვესტიციის რეალიზაციისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

**მუხლი 15.** კაპიტალურ მშენებლობაში რესპუბლიკური სახელმწიფო ინვესტიციების ექსპერტიზა და დამტკიცება

1. რესპუბლიკური სახელმწიფო ინვესტიციებით ასაშენებელი ობიექტების პროექტები ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო ექსპერტიზას, მათ შორის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. ექსპერტიზა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი წესით.

2. რესპუბლიკური მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების, აგრეთვე რესპუბლიკური სახელმწიფო შეკვეთის ყველაზე მნიშვნელოვანი და მსხვილი ობიექტების პროექტების ექსპერტიზა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით შექმნილი საქსპერტო კომისიების მიერ, რომლებშიც შედიან სამეცნიერო, საზოგადოებრივი, პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის ორგანოების და სხვა ორგანიზაციებისა და შესაბამისი რეგიონების წარმომადგენლები. შეიძლება აგრეთვე უცხოელი სპეციალისტების მოწვევა.

3. მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების, რესპუბლიკური სახელმწიფო შეკვეთის ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტების პროექტები რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს დასამტკიცებლად წარედგინება საქსპერტო კომისიების დასკვნებთან ერთად.

4. ობიექტების მშენებლობაზე რესპუბლიკური სახელმწიფო შეკვეთის დამტკიცება წარმოებს რესპუბლიკურ და ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებთან მათი განთავსების შეთანხმების შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 16.** კაპიტალურ მშენებლობაზე სახელმწიფო შეკვეთების განთავსების წესი

1. სახელმწიფო ინვესტიციის რეალიზაციის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს სახელმწიფო შეკვეთა კაპიტალურ მშენებლობაზე.

2. სახელმწიფო შეკვეთა კაპიტალურ მშენებლობაზე გაიცემა საწარმოო სიმძლავრეების შესაქმნელად ან სხვა ობიექტების ასაშენებლად მათი ამოქმედების ვადის მითითებით.

3. სახელმწიფო შეკვეთა, როგორც წესი, განთავსდება კონკურსის საფუძველზე. ცალკეულ შემთხვევებში რესპუბლიკის მთავრობას უფლება აქვს დააწესოს საინვესტიციო საქმიანობის მონაწილე ყველა სახელმწიფო საწარმოსა და ორგანიზაციისათვის სავალდებულო სახელმწიფო შეკვეთები, მონაწილეთათვის შეკვეთების შესრულების ეკონომიკური სარგებლიანობის გათვალისწინებით.

4. საინვესტიციო საქმიანობის ნებისმიერ მონაწილეს უფლება აქვს მონაწილეობდეს კაპიტალურ მშენებლობაზე სახელმწიფო შეკვეთის მისაღებად გამართულ კონკურსებში.

5. სახელმწიფო შეკვეთის ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღება წარმოებს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი წესით.

6. სახელმწიფო შეკვეთის ობიექტების მოიჯარებთან საბოლოო ანგარიშსწორება ხდება სახელმწიფო კომისიის აქტების დამტკიცების შემდეგ.

**მუხლი 17.** სახელმწიფო ინვესტიციის ფასიან ქალაქებში, დეპოზიტებში, მოძრავ და უძრავ ქონებაში და სხვა ფასეულობებში დაბანდების წესი

1. სახელმწიფო ინვესტიციის მოცულობები ფასიან ქალაქებში, დეპოზიტებში, მოძრავ და უძრავ ქონებაში და სხვა ფასეულობებში განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ.

2. აუცილებელია აღნიშნული საინვესტიციო პროექტების სავალდებულო სახელმწიფო ექსპერტიზა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი წესით.

**მუხლი 18.** ფასწარმოქმნა საინვესტიციო საქმიანობაში

საინვესტიციო პროცესში პროდუქციის, სამუშაოთა და მომსახურების ღირებულება განისაზღვრება სახელმწიფო სახელმწიფო ფასებით, მათ შორის ჩატარებული ვაჭრობა-კონკურსების შედეგების მიხედვით, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო ფასებით.

მშენებლობის სახელმწიფო სახელმწიფო ფასების განსაზღვრისას სახელმწიფო სახარჯთაღრიცხვო ნორმები და ფასები გამოიყენება სარეკომენდაციო ნორმების სახით.

**IV. საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივი გარანტიები და ინვესტიციის გარანტიები და ინვესტიციის დაცვა**

**მუხლი 19.** საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების უფლებათა გარანტიები

1. სახელმწიფოს მიერ საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების უფლებები გარანტირებულია. ისეთი საკანონმდებლო აქტების მიღების შემთხვევაში, რომელთა დებულებებიც ზღუდავენ საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების უფლებებს, ეს დებულებები არ შეიძლება შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ მათი გამოქვეყნების მომენტიდან ერთ წელზე ადრე.

2. სახელმწიფო ორგანოების მიერ ინვესტირებისა და საინვესტიციო საქმიანობის მონაწილეთა უფლებების დამრღვევი აქტების მიღების შემთხვევაში, ამ აქტების მიღების შედეგად მიყენებული ზარალი, ხელიდან გაშვებული სარფის ჩათვლით, მათ აუნაზღაურდებათ ამ ორგანოების მიერ ნებაყოფლობით ან სასამართლოს, ან საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით. აქტის მიმღები ორგანოს სახსრების უკმარისობის შემთხვევაში ზარალი ანაზღაურდება შესაბამისი ზემდგომი სახელმწიფო ორგანოს მიერ.

სახელმწიფო ორგანოებს და თანამდებობის პირებს უფლება არა აქვთ ჩაერიონ საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების საქმიანობაში, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა დაშვებულია კანონმდებლობით და ხორციელდება ამ ორგანოებისა და თანამდებობის პირთა კომპეტენციის ფარგლებში.

დაუშვებელია ინვესტორის უფლების შეზღუდვა ინვესტირების ობიექტის შერჩევაში, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. საინვესტიციო საქმიანობა შეწყდება ან შეჩერდება გადაწყვეტილებით, რომელიც მიიღება:

ინვესტორის მიერ. ამასთან ინვესტორი ვალდებულია საინვესტიციო საქმიანობის მონაწილეებს აუნაზღაუროს მიყენებული ზარალი;

უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ.

სახელმწიფო ორგანოს მიერ საინვესტიციო საქმიანობის შეწყვეტის ან შეჩერების გადაწყვეტილების მიღების საფუძველი შეიძლება იყოს:

მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევა;

გადახდისუუნარობა, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად ინვესტორის ბანკროტად გამოცხადება;

სტიქიური უბედურებები;

ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობა;

თუ საინვესტიციო საქმიანობის პროცესში გაირკვა, რომ მისი გაგრძელება გამოიწვევს სანიტარიულ-ჰიგიენური, ეკოლოგიური და კანონმდებლობით დადგენილი სხვა ნორმების, მოქალაქეთა, იურიდიული პირების და სახელმწიფოს კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესების დარღვევას, ამ შემთხვევაში საინვესტიციო საქმიანობის მონაწილეთა ზარალის ანაზღაურების წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა.

**მუხლი 20.** საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების პასუხისმგებლობა სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში საინვესტიციო საქმიანობათა სუბიექტებს ეკისრებათ კანონმდებლობითა და დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ქონებრივი და სხვა პასუხისმგებლობა.

სახელმწიფოებრივი პირობების დარღვევისათვის ჯარიმებისა და პირგამტეხლოს გადახდა, აგრეთვე მიყენებული ზარალის ანაზღაურება არ ათავსუფლებს ბრალეულ მხარეს მოვალეობის შესრულებისაგან, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კანონით ან ხელშეკრულებით.

**მუხლი 21.** პასუხისმგებლობა სახელმწიფო შეკვეთის რეალიზაციისას

1. სახელმწიფო შეკვეთის შესასრულებლად აღებული ვალდებულებები ან კანონის საფუძველზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულებისას ყველა დონის სახელმწიფო ორგანოს თავის მოვალეობის შესაბამისად ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების წინაშე. ამ ორგანოების სახსრების უკმარისობის შემთხვევაში ზარალი ანაზღაურდება მათი ზემდგომი ორგანოს მიერ. დანაშაუმი თანამდებობის პირები პერსონალურად აგებენ პასუხს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. სახელმწიფო ორგანოს ეკისრებათ ქონებრივი პასუხისმგებლობა ერთმანეთის მიმართ სახელმწიფო შეკვეთის რეალიზაციისათვის დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო და ვალდებული არიან ერთმანეთს აუნაზღაურონ ზარალი ხელიდან გაშვებულ სარფის ჩათვლით.

3. საინვესტიციო საქმიანობის მონაწილეებს ეკისრებათ ქონებრივი პასუხისმგებლობა ინვესტორის — სახელმწიფოს წინაშე სახელმწიფო შეკვეთის რეალიზაციისათვის, კანონმდებლობით და დადებული ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

**მუხლი 22.** ინვესტიციის დაცვა

1. სახელმწიფოს მიერ გარანტირებულია ინვესტიციის დაცვა, მიუხედავად საკუთრების ფორმისა. ინვესტიციის დაცვა უზრუნველყოფილია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

2. დაუშვებელია ინვესტიციების უსასყიდლოდ ნაციონალიზება ან რეკვიზირება, ან თავისი შედეგების მიხედვით მათი ტოლფასი ზომების გამოყენება ასეთი ზომები შეიძლება გატარებულ იქნეს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების საფუძველზე. ამ შემთხვევაში ინვესტორებს შეეძლება გასასხვისებელი საინვესტიციო ქონების შეფასებითი ღირებულებების კომპენსაცია.

ინვესტორების მიერ შეტანილი ან შექმნილი საბანკო მიზნობრივი ანაზღაურებები, აქციები და სხვაგვარი ფასიანი ქაღალდები, მოწყობილობის შესაძენად და სავაჭარო უფლებების მისაღებად მათი გადახდილი თანხა ჩამორთმევის შემთხვევაში ინვესტორებს აუნაზღაურდებათ საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების შესაბამისად. გარდა იმ თანხებისა, რომლებიც აღმოჩნდა გამოუყენებელი ან დაკარგული თვით ინვესტორების მოქმედებით, ან მათი წამოყენების განხორციელებისას.

3. დავა, რომელიც წარმოიქმნება საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებით განიხილება შესაბამისად სასამართლოს ან საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ.

4. ინვესტიციები შეიძლება დაზღვეულ იქნეს, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მათი დაზღვევა სავალდებულოა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 10 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**589** „საინვესტიციო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„საინვესტიციო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1991 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაძე ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 10 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**590** „იმიგრაციის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. „იმიგრაციის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ჰუმანიტარული და სოციალური საკითხების კომისიამ და რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრომ განიხილონ და განაზოგადონ კანონპროექტი.





ტან დაკავშირებით შემოსული შენიშვნები და თავიანთი მოსაზრებანი მოახსენონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაი ახატიანი.

თბილისი, 1991 წლის 10 აგვისტო.

### საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## 591 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ

### მუხლი 1. პოლიტიკური გაერთიანების ცნება

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება (პარტია, მოძრაობა, კავშირი, საზოგადოება და სხვ.) არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც ხელს უწყობს ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში არჩეული თავისი წარმომადგენლების მეშვეობით ან სხვა დემოკრატიული ფორმებით მონაწილეობს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეებში მართვაში.

### მუხლი 2. პოლიტიკური გაერთიანების წევრობა

პოლიტიკური გაერთიანების შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობა უფლება აქვთ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც სარგებლობენ საარჩევნო უფლებით.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს შეუძლია ერთდროულად იყოს მხოლოდ ერთი პოლიტიკური გაერთიანების წევრი.

დაუშვებელია პოლიტიკური გაერთიანების წევრობის შეზღუდვა ეროვნული, კუთხური, რელიგიური, სქესობრივი ნიშნის მიხედვით.

პოლიტიკური გაერთიანების წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს საქართველოს რესპუბლიკის მართლმსაჯულების ორგანოების, საარბიტრაჟო სასამართლოს, პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროს თანამდებობის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის შემადგენლობაში შემავალი პირი, შინაგან საქმეთა ორგანოების და შინაგანი ჯარის — ეროვნული გვარდიის პირადი შემადგენლობის წევრი, სახელმწიფო უშიშროებისა და საბაჟოს სამსახურების კადრის მუშაკი, ასევე აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოების მუშაკი.

მუხლი 3. პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობის სამართლებრივი საფუძველები



პოლიტიკური გაერთიანება, ასრულებს რა თავისი პროგრამითა და წეს-  
ლებით გათვალისწინებულ ფუნქციებს, მოქმედებს საქართველოს რესპუბლი-  
კის კონსტიტუციის, ამ კანონისა და მათ საფუძველზე მიღებული საკანონმდებ-  
ლო აქტების შესაბამისად.

ყველა პოლიტიკური გაერთიანება თანასწორია კანონის წინაშე.  
საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაუშვებელია სხვა სახელმწი-  
ფთა პოლიტიკური გაერთიანებების, მათი ქვედანაყოფებისა და ორგანიზაცი-  
ების შექმნა და ფუნქციონირება. პოლიტიკური გაერთიანების ხელშეწყობის  
ორგანო მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უნდა იმყოფე-  
ოდეს.

დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა,  
რომლის მიზანია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების  
შემოხრება ან ძალადობით შეცვლა, რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის  
დარღვევა, მისი უშიშროებისათვის ძირის გამოთხრა, ომისა და ძალადობის  
პროვოცირება, ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ და სოციალურ ჯგუფებს შორის  
შუღლის გაღვივება, ასევე სხვა ქმედებანი, რომლებიც ხელყოფენ საერთაშო-  
რისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმათა მოთხოვნებს.

**მუხლი 4.** პოლიტიკური გაერთიანების შექმნა

პოლიტიკური გაერთიანების შესაქმნელად ამ უფლების მქონე საქართვე-  
ლოს მოქალაქეთა ჯგუფი არანაკლებ 100 კაცის შემადგენლობით ატარებს  
პოლიტიკური გაერთიანების დამფუძნებელ კრებას.

პოლიტიკური გაერთიანების დამფუძნებელი კრება იღებს პოლიტიკური  
გაერთიანების წესდებას და პროგრამას.

დამფუძნებელი კრების ჩატარების დღიდან ერთი თვის განმავლობაში  
წესდება გამოსაქვეყნებლად წარედგინება საქართველოს რესპუბლიკის ან  
ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ბეჭდვით ორგანოს, რომელიც  
გაუდებელია ათი დღის განმავლობაში გამოაქვეყნოს იგი საქართველოს რეს-  
პუბლიკის სახელმწიფო ენაზე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაში ქარ-  
თულ და აფხაზურ ენებზე.

პოლიტიკური გაერთიანება ლეგალიზებულად ჩაითვლება მისი წესდების  
გამოქვეყნებიდან მეტხუთმეტე დღეს.

აკრძალულია პოლიტიკური გაერთიანების შექმნა ეროვნული, კუთხური  
ნიშნის მიხედვით.

აკრძალულია პოლიტიკური გაერთიანების პირველადი ორგანიზაციების  
შექმნა საწარმოო ნიშნის მიხედვით სახელმწიფო ორგანოებში, წარმოება-  
დაწესებულებებში, სასწავლებლებში და ა. შ.

**მუხლი 5.** პოლიტიკური გაერთიანების სახელწოდება და სიმბოლიკა

პოლიტიკური გაერთიანების სახელწოდება და სიმბოლიკა არ შეიძლება  
ემთხვეოდეს უკვე ლეგალიზებული ანდა ლიკვიდირებული გაერთიანების სა-



ხელწოდებასა და სიმბოლიკას, თუ გაერთიანების ლიკვიდაციის დღიდან წელზე ნაკლებია გასული.

პოლიტიკური გაერთიანება ვალდებულია სახელწოდების, წესდების, გრამის ან სიმბოლიკის შეცვლის შემთხვევაში ათი დღის ვადაში გამოსაქვეყნებულად წარუდგინოს ეს ცვლილებები საქართველოს რესპუბლიკისა ან ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ბეჭდვით ორგანოს, ხოლო რეგისტრირებულმა გაერთიანებამ აცნობოს ამის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს და წარუდგინოს მას შესაბამისი დოკუმენტები.

ამ კანონის ძალაში შესვლიდან ორი თვის განმავლობაში ვერც ერთი ახლადფუძნებული პოლიტიკური გაერთიანება ვერ დაირქმევს ადრე დაფუძნებული გაერთიანების სახელწოდებას.

**მუხლი 6.** პოლიტიკური გაერთიანების წესდება

პოლიტიკური გაერთიანების წესდება ითვალისწინებს:

ა) გაერთიანების სახელწოდებას, აგრეთვე მის შემოკლებულ დასახელებას თუ იგი გამოიყენება;

ბ) საქმიანობის ძირითად მიზნებსა და მათი მიღწევის საშუალებებს;

გ) ორგანიზაციულ სტრუქტურას, საქმიანობის ტერიტორიულ ფარგლებს; დ) წევრად მიღებისა და წევრობიდან გასვლის წესს;

ე) წევრის უფლება-მოვალეობებს;

ვ) კრების, ყრილობის (კონფერენციის) და სხვა ხელმძღვანელ ორგანო მოწვევის წესსა და მათ უფლებამოსილებას;

ზ) ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობისადმი კონტროლის განხორციელების წესს;

თ) წესდებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის წესს;

ი) სახსრების წყაროებს და მათი გამოყენების წესს;

კ) რეორგანიზაციისა და თვითლიკვიდაციის წესს.

**მუხლი 7.** პოლიტიკური გაერთიანების იურიდიულ პირად რეგისტრაციის

იურიდიული პირის სტატუსის მოსაპოვებლად პოლიტიკური გაერთიანება უფასოდ უნდა იყოს რეგისტრირებული საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში.

პოლიტიკური გაერთიანების რეგისტრაციისათვის საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს წარუდგინება გაერთიანების ხელმძღვანელ ორგანოს განცხადება, მისი გადაწყვეტილება, დამფუძნებელი კრების მინიმუმ ერთა სია მათი ხელმოწერებით, ხელმძღვანელობის შემადგენლობის სია და ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს სათანადოდ დამოწმებული ასლი, რომელზე გამოქვეყნდა ამ გაერთიანების წესდება.

პოლიტიკური გაერთიანების რეგისტრაციის საკითხს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო განიხილავს საბუთების წარდგენიდან ორ კვირის ვადაში.

პოლიტიკური გაერთიანების რეგისტრაციის შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო განხილვიდან 5 დღის ვადაში მისცემს

მოწმობას რეგისტრაციის შესახებ, რომელიც გაერთიანებას აძლევს უფლებას იქონიოს თავისი გერბიანი ბეჭედი, ოფიციალური ბლანკი, გახსნას ანგარიში საკრედიტო დაწესებულებაში და ისარგებლოს იურიდიული პირის სხვა უფლებით.

**მუხლი 8.** რეგისტრაციაზე უარის და გასაჩივრების წესი

პოლიტიკურ გაერთიანებას შეიძლება უარი ეთქვას რეგისტრაციაზე, თუ მისი წესდება ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას ან მოქმედ კანონმდებლობას.

რეგისტრაციაზე უარის შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო ვალდებულია საკითხის განხილვიდან ხუთი დღის ვადაში წერილობითი პასუხი გასცეს პოლიტიკური გაერთიანების ხელმძღვანელ ორგანოს უარის საფუძვლის მითითებით.

პოლიტიკურ გაერთიანებას უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს უარი მის რეგისტრაციაზე ათი დღის ვადაში გაასაჩივროს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში, რომელიც საქმეს განიხილავს განსაკუთრებული წარმოების წესით.

**მუხლი 9.** პოლიტიკური გაერთიანების უფლებები

პოლიტიკური გაერთიანება თავისი ლეგალიზაციის დღიდან საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად იძენს უფლებას:

ა) წერილობით, სიტყვიერად ან სხვა სახით შეუფერხებლად გაავრცელოს ინფორმაცია თავისი საქმიანობის შესახებ, პროპაგანდა გაუწიოს თავის საპროგრამო იდეებსა და მიზნებს, გააკრიტიკოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების საქმიანობა;

ბ) თანაბრად ისარგებლოს მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებებით;

გ) გამართოს კრებები, მიტინგები, ქუჩაში მსვლელობები და დემონსტრაციები დადგენილი წესის მიხედვით;

დ) დაამყაროს ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვა ქვეყნების პოლიტიკურ გაერთიანებებთან და მოძრაობებთან;

ე) მონაწილეობა მიიღოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, თანამდებობის პირების არჩევნებში, რისთვისაც უნდა შეაგროვოს მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერები შესაბამისი კანონით დადგენილი წესითა და რაოდენობით;

ვ) შექმნას კავშირები და ბლოკები, ხოლო საარჩევნო კანონის შესაბამისად რეგისტრაციის შემდეგ — საარჩევნო ბლოკები;

ზ) ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული წესით რეგისტრაციის შემდეგ ისარგებლოს იურიდიული პირის სტატუსით;

თ) იძენს აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებებს.

რეგისტრირებული პოლიტიკური გაერთიანება, ასეთ გაერთიანებათა კავშირი და ბლოკი დამატებით იძენს:

ი) საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას თავისი რესპუბლიკური ორგანოების სახით;

კ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაფუძნების უფლებას;

ლ) სახელმწიფო ორგანოებისაგან თავისი საწესდებო ამოცანების შესასრულებლად საჭირო ინფორმაციის შეუფერხებლად მიღების უფლებას.

**მუხლი 10.** პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობის შეჩერება ან მისი აკრძალვა

პოლიტიკური გაერთიანების წესდების გამოქვეყნების შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს უფლება აქვს მოითხოვოს ან პოლიტიკური გაერთიანების აკრძალვა ან მისი საქმიანობის შეჩერება პოლიტიკური გაერთიანებებისათვის სათანადო შეტყობინების შემდეგ ზომების მიუღებლობის შემთხვევაში.

შესაბამისი განცხადების საფუძველზე პოლიტიკური გაერთიანების აკრძალვის ან მისი საქმიანობის შეჩერების საკითხს წყვეტს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო განსაკუთრებული წარმომების წესით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს შეუძლია აკრძალოს პოლიტიკური გაერთიანება თუ იგი:

ა) ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებულ პოლიტიკურ გაერთიანებას ან შეადგენს მის სტრუქტურულ ნაწილს, ანდ მას აფინანსებენ სხვა ქვეყნის სახელმწიფო ორგანოები თუ სხვა ორგანიზაციები;

ბ) მოუწოდებს ან ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო წყობილების დამხობას, ან ძალადობით შეცვლას, ეწევა საბოტაჟს ან ხელს უშლის სახელმწიფო ორგანოების ნორმალურ მუშაობას;

გ) მოუწოდებს ან თავისი საქმიანობით ხელს უწყობს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას;

დ) აღვივებს ეროვნულ, რელიგიურ და სოციალურ ჯგუფებს შორის უღილა და მტრობას;

ე) ეწევა ომის პროპაგანდას;

ვ) არღვევს ამ კანონით დადგენილ სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის წესს;

ზ) შექმნილია ეროვნული, კუთხური ნიშნის მიხედვით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს შეუძლია სამ თვემდე ვადით შეაჩეროს პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობა, თუ იგი:

თ) შექმნილია საწარმოო ნიშნის მიხედვით სახელმწიფო ორგანოებში, წარმოება-დაწესებულებებში, სასწავლებლებში და სხვ. აგრეთვე მისი პირველადი ორგანიზაციები შექმნილია მართლმსაჯულების, საარბიტრაჟო სასამართლოს, პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების, იუსტიციის, საკონსტიტუციო ზედამხედველობის ორგანოებში, საბაჟო სამსახურსა და საჯარისო ფორმირებებში;

ი) ქმნის ან შექმნილი აქვს გასამხედროებელი ორგანიზაციები;

კ) უხეშად არღვევს თავის წესდებას;

ლ) არსებობს ან არსებობდა და საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის განცხადების შეტანიდან არა უმეტეს ერთი წლით ადრე შეწყდა იმავე სახელწოდების ან სიმბოლიკის მქონე სხვა პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობა.

თუ პოლიტიკური გაერთიანება მისი საქმიანობის შეჩერების შემდეგ განმეორებით დაარღვევს მოქმედ კანონმდებლობას, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს სათანადო განცხადების საფუძველზე შეუძლია შეაჩეროს ამ გაერთიანების საქმიანობა ექვსი თვით, ხოლო თუ პოლიტიკური გაერთიანება ერთი წლის განმავლობაში სამჯერ დაარღვევს მოქმედ კანონმდებლობას, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს სათანადო განცხადების საფუძველზე შეუძლია აკრძალოს ეს გაერთიანება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება პოლიტიკური პარტიის საქმიანობის აკრძალვის ან შეჩერების შესახებ გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

პოლიტიკური გაერთიანების აკრძალვის შემთხვევაში მას, როგორც გაერთიანებას, ეკრძალება ყოველგვარი საქმიანობა, ხოლო მისი საქმიანობის დროებით შეჩერების შემთხვევაში — ამ კანონის მე-9 მუხლის ა), ბ), ზ), თ), ი), კ), და ლ), პუნქტებით მინიჭებული უფლებებით სარგებლობა. მას ეკრძალება აგრეთვე მიტინგების, ქუჩაში მსვლელობების, დემონსტრაციებისა და კრებების გამართვა, გარდა წესდებით გათვალისწინებული გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანოს კრებისა (ყრილობა, კონფერენცია).

თუ პოლიტიკური გაერთიანება, რომლის საქმიანობაც დროებით შეჩერებულია, დარღვევების აღმოფხვრის შესახებ აცნობებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს, იგი ერთი თვის ვადაში, ხოლო საარჩევნო კამპანიის პერიოდში 3 დღის ვადაში განიხილავს პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობის შეჩერების მოხსნის საკითხს.

**მუხლი 11.** პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობის შეწყვეტა

პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობის შეწყვეტა შეიძლება რეორგანიზაციის (შერწყმის, შეერთების, გაყოფის, გამოყოფის) ან ლიკვიდაციის გზით. პოლიტიკური გაერთიანების რეორგანიზაცია ხორციელდება მისი წესდების შესაბამისად. რეორგანიზაციის შემდეგ პოლიტიკური გაერთიანების ლეგალიზაცია და რეგისტრაცია ხდება ამ კანონის მე-4 და მე-7 მუხლებით დადგენილი წესით.

პოლიტიკური გაერთიანების ლიკვიდაცია ხდება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მიერ მისი აკრძალვით, თავისი წესდების შესაბამისად ან თვითლიკვიდაციის გზით.

**მუხლი 12.** პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობის უზრუნველყოფა სახელმწიფოს მიერ

რესპუბლიკაში პოლიტიკური გაერთიანებებისათვის მატერიალური ბაზის შექმნის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში რეგისტრირებულ პოლიტიკურ გაერთიანებებს ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივი დანიშნულებით გამოეყოფათ თანხა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დადგენილი ოდენობით, რომლის 20 პროცენტითაც თანაბრად ნაწილდება იუსტიციის სამინისტროს მიერ რეგისტრირებულ პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის, ხოლო 80 პროცენტი — არჩევნების დამოუკიდებლად მონაწილე გაერთიანებებს და საარჩევნო ბლოკებს შორის მათ მიერ მოპოვებული ამომრჩეველთა ხმების რაოდენობის პროპორციულად.

რეგისტრაციიდან ორი თვის ვადაში სახელმწიფო კანონით დადგენილ საფასურით გამოუყოფს პოლიტიკური გაერთიანების რესპუბლიკურ ორგანოს მისი საქმიანობისათვის აუცილებელ სადგომს.

არჩევნების მონაწილე პოლიტიკური გაერთიანებების დაფინანსება ხდება შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე.

**მუხლი 13.** იურიდიულ პირად რეგისტრირებული პოლიტიკური გაერთიანების საკუთრება

პოლიტიკურ გაერთიანებას, წესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად შეიძლება საკუთრებაში ჰქონდეს შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები, გამომცემლობები, სტამბები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა ქონება და განკარგოს იგი საკუთრების შესახებ კანონის შესაბამისად.

პოლიტიკური გაერთიანების ფულადი სახსრები იქმნება საწევრო შენატონების, საგამომცემლო საქმიანობისა და გაერთიანების სიმბოლიკის დამზადებითა და გავრცელებით მიღებული შემოსავლის, მოქალაქეთა და საზოგადოებრივი გაერთიანებათა შეწირულობების, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხისაგან.

პოლიტიკურ გაერთიანებას არა აქვს უფლება ეწეოდეს სხვა სამეურნეო ან კომერციულ საქმიანობას.

პოლიტიკური გაერთიანების სახელწოდების ან სიმბოლიკის გამოყენება გაერთიანების ნებართვის გარეშე კანონით აკრძალულია.

წარმოება-დაწესებულებებს სახელმწიფო ორგანოებსა და ორგანიზაციებს არა აქვთ უფლება რაიმე ფორმით დააფინანსონ პოლიტიკური გაერთიანება გაერთიანებათა კავშირები და ბლოკები.

პოლიტიკურ გაერთიანებას უფლება არა აქვს მიიღოს ის თანხები და ქონება, რომელიც გამოყოფილია სხვა ქვეყნების ორგანიზაციების, ფონდების ან სახელმწიფო ორგანოების მიერ.

პოლიტიკური გაერთიანების მიერ უკანონო გზით მიღებული ქონება სასამართლოს გადაწყვეტილებით გადაიცემა საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებაში.

**მუხლი 14.** პოლიტიკური გაერთიანების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის კონტროლი

პოლიტიკური გაერთიანების- სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას კონტ-

როს უწევნ საქართველოს რესპუბლიკის საფინანსო, საკონტროლო დაწესებულებანი.

იურიდიულ პირად რეგისტრირებული პოლიტიკური გაერთიანება ყოველწლიურად არა უგვიანეს თებერვლისა, საფინანსო დაწესებულებას წარუდგენს ფინანსური საფინანსო საქმიანობის შესახებ, იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროების მიერ დადგენილი ფორმით საჯაროდ აქვეყნებს ანგარიშს პოლიტიკური გაერთიანების ბიუჯეტის წყაროებისა და შემოსავალ-გასავლის შესახებ.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 10 აგვისტო.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს**

**დადგენილება**

**592** „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ მიღებისთანავე.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბაბაქი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 10 აგვისტო.

**საქართველოს რესპუბლიკის კანონი**

**593** საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

შეტანდ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

მე-4 მუხლის II ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„სახელმწიფო ორგანიზაციები, მოქალაქეთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანებები, სხვა ორგანიზაციები და თანამდებობის პირნი მოვალენი არიან იცავდნენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს“.

მერ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები (პარტია, მოძრაობა, კავშირი, საზოგადოება და სხვ.) სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ორგანოებში არჩეული თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით თანასწორად მონაწილეობენ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში და სახელმწიფო საქმეთა მართვაში.

ამ პროცესებში სხვა დემოკრატიული ფორმებით მონაწილეობენ როგორც პოლიტიკური, ასევე საზოგადოებრივი გაერთიანებები“.

მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანება, ასრულებს რა თავისი პროგრამითა და წესდებით გათვალისწინებულ ფუნქციებს, მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე მიღებული საკანონმდებლო აქტების და თავისი წესდების შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაუშვებელია სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკური გაერთიანებების, მათი ქვედანაყოფებისა და ორგანიზაციების შექმნა და ფუნქციონირება.

პოლიტიკური გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანო მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უნდა იმყოფებოდეს.

დაუშვებელია მოქალაქეთა ისეთი პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, მისი უშიშროებისათვის ძირის გამოთხრა, ომისა და ძალადობის პროპაგანდა, ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ და სოციალურ ჯგუფებს შორის უშულის გაღვივება, ასევე სხვა ქმედებანი, რომლებიც ხელყოფენ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმათა მოთხოვნებს“.

49-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ შექმნან პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანებები, რომლებიც ხელს უწყობენ მათი პოლიტიკური აქტიურობისა და თვითმოქმედების განვითარებას, სხვა მრავალგვარი ინტერესების დამაყოფილებას.

მოქალაქეთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებს გარანტირებული აქვთ პირობები თავიანთი საწესდებო ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის“.

110-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა იურიდიულ პირად რეგისტრირებულ პოლიტიკურ

და საზოგადოებრივ გაერთიანებებს მათი რესპუბლიკური ორგანოების სახით და საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას“.

46-ე მუხლის II ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამ უფლებას უზრუნველყოფს შესაძლებლობა აირჩიონ და არჩეულ იქნენ სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ორგანოებსა და სხვა არჩევით სახელმწიფო ორგანოებში, მონაწილეობა მიიღონ საყოველთაო-სახალხო განხილვასა და კენჭისყრაში, სახელმწიფო ორგანოების, მოქალაქეთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და საზოგადოებრივი თვითმმართველების ორგანოების მუშაობაში, შრომით კოლექტივებსა და საცხოვრებელ ადგილას გამართულ კრებებში“.

47-ე მუხლის I ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება სახელმწიფო ორგანოებსა და მოქალაქეთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებში შეიტანოს წინადადებანი მათი საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ, გამოაშკარაოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი“.

56-ე მუხლის I ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს აქვთ უფლება <sup>გაესაჩუქროს</sup> აინახალონ თანამდებობის პირთა, სახელმწიფო ორგანოების, მოქალაქეთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანებების მოქმედება. საჩივრები განხილულ უნდა იქნეს კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ ვადებში“.

56-ე მუხლის III ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქებს აქვთ უფლება აინახალონ ზარალი, რომელიც უკანონო მოქმედებით მათ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიაყენეს სახელმწიფო ორგანოებმა, მოქალაქეთა პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა გაერთიანებებმა, აგრეთვე თანამდებობის პირებმა“.

97-ე მუხლის III ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებს, აგრეთვე შრომით კოლექტივებს, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივებს, ამომრჩეველთა ჯგუფებს გარანტირებული აქვთ დეპუტატობის კანდიდატთა პოლიტიკური, საქმიანი და პირადი თვისებების თავისუფალი და ყოველმხრივი განხილვის შესაძლებლობა, აგრეთვე კრებებზე, პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი კანდიდატთა სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ აგიტაციის გაწევის უფლება“.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**594** „მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების უზენაესი“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების უზენაესი“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაძე ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 10 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

**595** პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების უზენაესი

თ ა ვ ი I

ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1.** პრესის თავისუფლება

საქართველოს რესპუბლიკაში პრესა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები თავისუფალია. ეს თავისუფლება რესპუბლიკის კონსტიტუციით არის გარანტირებული.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ გამოთქვან, გააგრძელონ და დაიცვან თავიანთი თვალსაზრისი ინფორმაციის ნებისმიერი საშუალებით, აგრეთვე მოიპოვონ ინფორმაცია საზოგადოებრივი და სახელმწიფო ცხოვრების საკითხებზე.

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა ცენზურა დაუშვებელია.

**მუხლი 2.** მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში იგულისხმება: გაზეთები, ჟურნალები, ტელე-რადიო პროგრამები, ვიდეო და კინოდოკუმენტალისტიკა, ბიულეტენები, 500-ზე მეტი ტირაჟით დაბეჭდილი წიგნები და სხვა პერიოდული ან

ერთჯერადი გამოცემები, თუ ისინი განკუთვნილია ინფორმაციის საჯარო გავრცელებისათვის.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები წარმოდგენილია აგრეთვე გამომცემლობებით, პერიოდული პრესის, ტელე და რადიომუშყებლობის რედაქციებით, საინფორმაციო სააგენტოებით და სხვა დაწესებულებებით, რომლებიც აწარმოებენ და გავრცელებენ მასობრივ ინფორმაციას.

**მუხლი 3.** მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ენა

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ენა არის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა — ქართული ენა, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში სრული თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ფუნქციონირებს ქართული და აფხაზური ენები.

საქართველოს რესპუბლიკაში ნებადართულია აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის გავრცელება ნებისმიერ სხვა ენაზე.

საქართველოს რესპუბლიკა მის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ეროვნული უმცირესობისათვის უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღების და გავრცელების უფლებას მათ მშობლიურ ენასა და სხვა ენებზე.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის არმქონე პირებს (პოლიტიკურ ემიგრანტებს, სამუშაოდ ჩამოსულ უცხოელებს და ა. შ.) პრეზიდენტის ან მთავრობის გადაწყვეტილებით ნება აქვთ მოამზადონ, მიიღონ და გავრცელონ ინფორმაცია მშობლიურ ან ქართულ ენაზე, თუ ეს ინფორმაცია არ ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებს.

**მუხლი 4.** მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ეკრძალებათ:

ა) სახელმწიფო საიდუმლოებათა გამჟღავნება;

ბ) არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების დამხობისაკენ ან შეცვლისაკენ მოწოდება;

გ) ომის, სისასტიკის, რასობრივი, ეროვნული, რელიგიური შეუწყნარებლობის პროპაგანდა;

დ) ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ხელს უწყობს სისხლის სამართლის დანაშაულს;

ე) მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში ჩარევა, მათი პიროვნების ღირსების ხელყოფა;

ვ) პორნოგრაფიის, უზნეობის პროპაგანდა.

**მუხლი 5.** საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ

კანონმდებლობა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ შედგება ამ კანონისა და შესაბამისი საკანონმდებლო აქტებისაგან, აგრეთვე აფხაზეთის ასს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ კანონებისა და შესაბამისი საკანონმდებლო აქტებისაგან.

თ ა ვ ი ი

**მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობა და გავრცელება**

**მუხლი 6.** მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაარსების უფლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაარსების უფლება აქვთ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მასობრივ მოძრაობებს, შემოქმედებით კავშირებს, სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც შექმნილია და რეგისტრირებულია კანონის შესაბამისად, აგრეთვე 18 წლის ასაკს მიღწეულ საქართველოს მოქალაქეებს. ამ ორგანიზაციებს და პირებს აქვთ რამდენიმე გაზეთის ან ჟურნალის, გამომცემლობისა და აგრეთვე დამოუკიდებელი ტელე-რადიომაუწყებლობის რედაქციის დაარსების უფლება. არ დაიშვება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონოპოლიზაცია. არც ერთი დამფუძნებლის საერთო წილი ერთი და იმავე სახის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში არ უნდა აღემატებოდეს 25 პროცენტს

დამფუძნებელს უფლება აქვს შეაჩეროს, შეწყვიტოს ან ორგანიზაციულად შეცვალოს მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობა. ასეთ შემთხვევაში დამფუძნებელი პასუხისმგებელია როგორც სახელმწიფო ორგანოების, ასევე კერძო პირების წინაშე ყველა ადრე აღებული ვალდებულებებისათვის.

**მუხლი 7.** რეგისტრაცია და განცხადება რეგისტრაციის შესახებ

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა რეგისტრაცია ხდება:

ა) საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში, თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალება საერთო რესპუბლიკური დანიშნულებისაა;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ განსაზღვრულ ორგანოში, თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალება გათვალისწინებულია ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისათვის;

გ) პრეფექტურაში, თუ გაზეთი, ჟურნალი ან ტელე-რადიოპროგრამა ადგილობრივი დანიშნულებისაა.

რეგისტრაციის სამივე ფორმის დროს უკვე რეგისტრირებული მასობრივი ინფორმაციის საშუალება თანაბარი უფლებით სარგებლობს.

განცხადება რეგისტრაციის შესახებ შესაბამისმა ორგანომ უნდა განიხილოს მისი შეტანიდან ერთი თვის ვადაში. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ განმცხადებელს უნდა ეცნობოს წერილობით ერთი კვირის განმავლობაში.

მასობრივი ინფორმაციის საშუალების რეგისტრაციისათვის აუცილებელია:

1. დამფუძნებელი;
2. მითითება მასობრივი ინფორმაციის საშუალების ენაზე (ენებზე);
3. ზუსტი მისამართი;
4. მიზნები და ამოცანები;



5. სავარაუდო აუდიტორია;
6. გამოცემის სავარაუდო პერიოდულობა და სავარაუდო ტირაჟი;
7. დაფინანსების წყაროები;
8. რედაქტორი ან რედკოლეგია.

თუ რაიმე მიზეზის გამო მასობრივი ინფორმაციის საშუალება არ ფუნქციონირებს 1 წლის განმავლობაში, მაშინ აუცილებელია მისი ხელშეკრულად რეგისტრაცია.

**მუხლი 8.** მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პოლიგრაფიული ბაზა და ტექნიკური აღჭურვილობა

რეგისტრირებულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უფლება აქვთ არსებული ხელშეკრულების საფუძველზე გამოიყენონ პოლიგრაფიული ბაზები, კერძო ან კოოპერატიულ საკუთრებაში შეიძინონ საკუთარი სტამბა რესპუბლიკაში ან საზღვარგარეთ (მათ შორის საბჭოთა კავშირშიც). ანალოგიური უფლება ვრცელდება ტელე-რადიობროგრაფების ტექნიკურ საშუალებებზეც.

**მუხლი 9.** რეგისტრაციის გარეშე ინფორმაციის გავრცელების შემთხვევები

რეგისტრაცია არ სჭირდება სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, ოფიციალური ნორმატიული და სხვა აქტების, სასამართლო და საარბიტრაჟო ბიულეტენების გამოცემას, აგრეთვე ზუთას ცალზე ნაკლები ტირაჟის ბეჭდვითი პროდუქციის გამოშვებას, ამავე ტირაჟის ვიწრო სპეციალურ ლიტერატურას, რომელიც ინფორმაციის გავრცელებისათვის არ არის გამიზნული. წინასაარჩევნო მასალების გასავრცელებლად საკმარისია საარჩევნო კომისიის ნებართვა.

**მუხლი 10.** რეგისტრაციაზე უარის თქმა

მასობრივი ინფორმაციის საშუალების რეგისტრაციაზე შეიძლება უარი ითქვას:

- ა) თუ მისი მიზნები ამ კანონს ეწინააღმდეგება;
- ბ) თუ არსებობს ამავე სახელწოდების სხვა გამოცემა;
- გ) თუ აკრძალული მასობრივი ინფორმაციის საშუალების გაუქმებიდან არ არის გასული ერთი წელი.

**მუხლი 11.** სარეგისტრაციო გადასახადი

სარეგისტრაციო გადასახადი წესდება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 12.** მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის შეჩერება ან შეწყვეტა

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობა შეიძლება შეჩერდეს ან შეწყდეს, თუ განმეორებით დაირღვა ამ კანონის მე-4 მუხლის მოთხოვნები ან იმ შემთხვევაში, თუ მისი საქმიანობა დაკავშირებულია მატერიალურ ზარალთან, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს რესპუბლიკას.



მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობის შეჩერება ნიშნავს ბექდვითი გამოცემის ერთი ან რამდენიმე ნომრის აკრძალვას, აგრეთვე განკარგულებას ტელე-რადიომაუწყებლობის დროებითი შეწყვეტის შესახებ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობის დროებითი (არა უმეტეს ერთი თვისა) შეჩერების უფლება აქვს იმ ორგანოს, რომელმაც იგი რეგისტრაციაში გაატარა.

შეჩერება ეხება როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო მასობრივი ინფორმაციის საშუალებას. ყველას შეუძლია გაასაჩივროს გადაწყვეტილება მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობის შეჩერების შესახებ. სასამართლო ვალდებულია ორი კვირის განმავლობაში განიხილოს აღძრული საკითხი. თუ სასამართლო დაადგენს შეჩერების უკანონობას, აუცილებელია დაზარალებული მასობრივი ინფორმაციის საშუალების მატერიალური და მორალური ზარალის კომპენსირება.

მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობის სრული შეწყვეტა შეუძლია მხოლოდ სასამართლოს.

თუ დამფუძნებელი გააუქმებს ამა თუ იმ მასობრივი ინფორმაციის საშუალებას, რედაქციას ან რედაქტორს (მთავარ რედაქტორს) აქვს უბირატესი უფლება დააარსოს იმავე სახელწოდების მასობრივი ინფორმაციის საშუალება (გაზეთი, ჟურნალი, გამომცემლობა, ტელე-რადიომაუწყებლობის რედაქცია).

**მუხლი 13.** მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დამფუძნებელი რედაქტორი, რედაქცია და გამომცემელი

დამფუძნებელი განსაზღვრავს მასობრივი ინფორმაციის საშუალების პროგრამას (ძირითად პრინციპებს).

თუ მასობრივი ინფორმაციის დამფუძნებელი ერთდროულად გამომცემელი (დამფინანსებელი) არ არის, დამფუძნებელსა და გამომცემელს (დამფინანსებელს) შორის ფორმდება ხელშეკრულება. გამომცემელს, რომელიც ფინანსურად დამოუკიდებელია, უფლება აქვს იყოს დამფუძნებელიც. მასობრივი ინფორმაციის საშუალების დამფუძნებლის, რედაქციისა და გამომცემლის საწარმოო, ქონებრივი და ფინანსური ურთიერთობა აიგება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. დამფუძნებელს, გამომცემელსა და რედაქციას შორის ფინანსურ თუ სხვა ნიადაგზე წარმოქმნილ კონფლიქტებს აგვარებს სასამართლო.

დამფუძნებელს უფლება აქვს დააყენოს საერთოდ რედაქციის პასუხისმგებლობის საკითხი ხელისუფლების წინაშე, თუ იგი ვერ აგვარებს კონფლიქტებს შემუშავებული წესდების საფუძველზე ან ვერ უძღვება სამუშაოს.

რედაქციის საქმიანობას წარმართავს რედაქტორი სარედაქციო კოლეგიის დახმარებით.

სარედაქციო კოლეგია იქმნება დამფუძნებლის მიერ დამტკიცებული წესდების მიხედვით.

**მუხლი 14.** სარედაქციო წესდება

მასობრივი ინფორმაციის საშუალების სარედაქციო წესდებას ხმების უმ-

რავლესობით იღებს რედაქციის საერთო კრება, რომელსაც ესწრება მისი შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი და ამტკიცებს დამფუძნებელი. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს დამფუძნებელი. თუ დამფუძნებელი და გამომცემელი ერთი და იგივე ორგანო ან ერთი და იგივე კერძო პირია, კონფლიქტს მასსა და რედაქციას შორის აგვარებს სასამართლო.

**მუხლი 15.** პერიოდული პრესის ძირითადი მონაცემები

პერიოდული გამოცემის ყოველი გამოშვების ძირითადი მონაცემებია:

1. გამოცემის სახელწოდება;
2. დამფუძნებელ-გამომცემელი ან ცალკე დამფუძნებელი და ცალკე გამომცემელი;
3. რედაქტორის (მთავარი რედაქტორის) სახელი და გვარი;
4. გამოშვების რიგითი ნომერი და გამოსვლის თარიღი პერიოდული გამოცემებისათვის, ხოლო გაზეთებისათვის — დასაბეჭდად ხელმოწერის დრო;
5. ინდექსი;
6. ტირაჟი;
7. ფასი;
8. რედაქციისა და სტამბის მისამართები.

ტელე-რადიომაუწყებლობა ვალდებულია ეთერში ყოველი გასვლის დროს გამოაცხადოს რედაქციის დასახელება.

**მუხლი 16.** საკონტროლო და სავალდებულო ეგზემპლარები

პერიოდული გამოცემის უფასო საკონტროლო ეგზემპლარები ეგზავნებათ: პრეზიდენტის პრესსამსახურს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, ცენტრალურ ბიბლიოთეკებს და საცავებს.

ტელე-რადიომაუწყებლობის რედაქციები ვალდებული არიან გადაცემათა მასალები (ტექსტი, ფირი) შეინახონ ეთერში გასვლის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში. მნიშვნელოვანი გადაცემებისა და ოფიციალური ქრონიკებისათვის იქმნება ტელე-რადიომაუწყებლობის საგანგებო საარქივო ფონდი.

**მუხლი 17.** გავრცელების წესი და ნებართვა

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პროდუქციას გავრცელებენ უშუალოდ რედაქცია (მათ შორის ღია საჯარო გაყიდვის წესით), გამომცემელი, კავშირგაბმულობის საწარმოები, ორგანიზაციები ან მოქალაქეები ამ კანონის საფუძველზე. პრესის გავრცელებაზე სახელმწიფო მონოპოლია არ არსებობს. ცალკეულ ორგანიზაციებს ან მოქალაქეთა ჯგუფებს შეუძლიათ პრესის გავრცელების სახელმწიფო სამმართველოს პარალელურად შექმნან დამოუკიდებელი საწარმო სამეურნეო ანგარიშზე და ხელშეკრულების საფუძველზე გაავრცელონ ნებისმიერი პერიოდული გამოცემა. ყველა ასეთი საწარმო საჭიროებს სპეციალურ რეგისტრაციას კანონით დადგენილი წესით.

პერიოდული პრესის თითოეული ცალკე გამოშვება ვრცელდება მთავარი რედაქტორის ნებართვის შემდეგ.

ბეჭდვითი გამოცემის ტირაჟს განსაზღვრავს დამფუძნებელი.





სახელმწიფო პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის ტირაჟს აწესრიგებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ან უზენაეს საბჭოს უფლება აქვს გაზარდოს ან შეამციროს სახელმწიფო დოტაციაზე მყოფი ნებისმიერი პერიოდული გამოცემის ტირაჟი.

ტელე-რადიომაუწყებლობის კერძო დაწესებულებების საერთო დრო რეგულირდება ტელე-რადიომაუწყებლობის დეპარტამენტთან შეთანხმებით.

კანონიერ საფუძველზე მოქმედი მასობრივი ინფორმაციის საშუალების გავრცელებისათვის ხელის შეშლა, მათ შორის ტირაჟის ან მისი ნაწილის ამოღება, აგრეთვე ნებადართული ტელე-რადიომაუწყებლობის დამოუკიდებელი არხების ჩახშობა ან შეწყვეტა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

**მუხლი 18. ოფიციალური ცნობები**

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ვალდებული არიან უფასოდ გამოაქვეყნონ ამ ორგანოების ოფიციალური ცნობები, ამ ვალდებულებიდან თავისუფალი არიან არასამთავრობო მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, გარდა საგანგებო შემთხვევისა (ომის გამოცხადება, სტიქიური უბედურების შეახებ მოსახლეობის ინფორმირება და ა. შ.).

**თავი III**

**მოქალაქეთა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და  
ჟურნალისტთა უფლება-მოვალეობანი**

**მუხლი 19. მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ინფორმაციის მიღების უფლება**

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ოპერატიულად მიიღონ ცნობები სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უფლება აქვთ ინფორმაცია მიიღონ სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებების ან თანამდებობის პირებისაგან, აგრეთვე მოითხოვონ საჭირო დოკუმენტები. უარის შემთხვევაში მათ უფლება აქვთ მიმართონ ზემდგომ ორგანოებს ან სასამართლოს.

**მუხლი 20. პიროვნების ან ორგანიზაციის შეურაცხყოფელი მასალის უარყოფისა და მასზე პასუხის უფლება**

მოქალაქეს ან ორგანიზაციას უფლება აქვს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით რედაქციას მოსთხოვოს პიროვნების შეურაცხყოფელი მასალის უარყოფა.

უარყოფა ან პასუხი ქვეყნდება გაზეთში ან ჟურნალში სპეციალური რუბრიკით იმავე გვერდზე ან ტელე-რადიოპროგრამების მორიგ გამოშვებაში მოთ-



ბოგნის შემოსვლის დღიდან არა უგვიანეს ერთი კვირისა. უარყოფა შეიძლება გამოქვეყნდეს სხვა გაზეთში ან ჟურნალში, თუ პიროვნების შეურაცხმყოფელი მასალა დაიბეჭდა რომელიმე ერთჯერად გამოცემაში.

თუ მოქალაქეს ან ორგანიზაციას არ აკმაყოფილებს პასუხი, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

**მუხლი 21.** ჟურნალისტი და მისი უფლებები

ჟურნალისტი არის პირი, რომელიც აგროვებს, ქმნის, არედაქტირებს ან აზღაბებს მასალებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებაში გამოსაქვეყნებლად და აქვს სათანადო რწმუნება, ან არის ჟურნალისტთა რეგისტრირებული კავშირის წევრი.

ჟურნალისტი თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპებით.

ჟურნალისტს უფლება აქვს:

1. მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია;
2. თავისი მოვალეობის შესრულებისას შევიდეს ნებისმიერ დაწესებულებაში და ორგანიზაციაში, შეხვდეს თანამდებობის პირებს;
3. ჩაიწეროს მასალა ნებისმიერი საშუალებით (მათ შორის აუდიო-ვიზუალური ტექნიკის გამოყენებით, კინო და ფოტო გადაღებით) კანონით აკრძალული შემთხვევების გარდა;
4. დაესწროს და აქტიურად გააშუქოს მასობრივი ღონისძიებები: საზოგადოებრივი თავყრილობები, მიტინგები, დემონსტრაციები, დაუბრკოლებლად ჩავიდეს სტიქიური უბედურების რაიონებში და ა. შ.
5. მიმართოს სპეციალისტებს შემოსული მასალების შესამოწმებლად;
6. მოითხოვოს ავტორობის საიდუმლოს შენახვა;
7. არ მოაწეროს ხელი და არ მოამზადოს მასალა, რომელიც მის მრწამსს ეწინააღმდეგება, ანდა სარედაქტორო სწორების დროს დამახინჯდა;
8. ჟურნალისტს უფლება აქვს ისარგებლოს ნებისმიერი საარქივო მასალით, საიდუმლო და სპეცფონდით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე ეხება სახელმწიფო საიდუმლოებას ან პიროვნების პირად ცხოვრებას (არქივიდან პირადი ცხოვრების შესახებ მასალის გამოქვეყნება შეიძლება თვით ამ პიროვნების ან მისი ახლო ნათესავების ნებართვით);
9. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უფლება აქვთ ჟურნალისტი წინასწარ მიაგვლინონ სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, რომლებიც ვალდებული არიან უზრუნველყონ ჟურნალისტი სამუშაო პირობებით. საგანგებო სიტუაციაში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ან მთავრობას შეუძლია დროებით შეუზღუდოს ჟურნალისტს ამ მუხლის მე-2, 3, 4, 8 პუნქტებში ჩამოთვლილი უფლებები. ასეთ შემთხვევაში ოფიციალური ხელისუფლება ვალდებულია განუმარტოს ჟურნალისტს ან მის წარმდგენ ორგანოს დროებითი შეზღუდვის მოტივები.



**მუხლი 22.** ყურნალისტის აკრედიტება

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლიათ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებთან, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით მოახდინონ მათთან თავისი ყურნალისტების აკრედიტება.

აკრედიტებული ყურნალისტი ესწრება სხდომებს, თათბირებს, აგრეთვე ამ ორგანოთა და ორგანიზაციათა სხვა ღონისძიებებს. აკრედიტებულ ყურნალისტს უფლება აქვს გაეცნოს სტენოგრაფებს, ოქმებს და სხვა დოკუმენტებსა და საერთო წესის მიხედვით.

**მუხლი 23.** უარი ინფორმაციის მიწოდებაზე

ინფორმაციის მიწოდებაზე უარის მიღების შემთხვევაში ინფორმაციის საშუალების წარმომადგენელს ეძლევა წერილობითი ახსნა-განმარტება უარის მიზეზების მითითებით ინფორმაციის მოთხოვნიდან არა უგვიანეს 3 დღისა.

ინფორმაციის მიწოდებაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ინსტანციაში ან სასამართლოში.

**მუხლი 24.** ყურნალისტის მოვალეობანი

ყურნალისტი მოვალეა:

1. დაიცვას რედაქციის წესდება და პროგრამა;
2. შეამოწმოს მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის უტყუარობა;
3. დააკმაყოფილოს ინფორმაციის მიმწოდებელ პირთა თხოვნა მათი ავტორობის არგამხელის ან, პირიქით, მითითების შესახებ, თუ ასეთი ინფორმაცია პირველად ქვეყნდება;
4. უარი თქვას რედაქტორის (მთავარი რედაქტორის) ან რედაქციის მიერ მიცემულ დავალებაზე, თუ ეს დავალება არღვევს კანონს.
5. პატივი სცეს მოქალაქეთა და ორგანიზაციათა კონსტიტუციურ უფლებებს.
6. პატივი სცეს საქართველოს რესპუბლიკას და მისი პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფო სიმბოლოს, ღირსებას.

**თაზი IV**

**კანონის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა**

**მუხლი 25.** ყალბი ცნობების გავრცელება, მოქალაქეთა ან ორგანიზაციათა ღირსებისა და პატივის შელახვა

ყალბი ცნობების გავრცელებისათვის, მოქალაქეთა და ორგანიზაციათა განზრახ შეურაცხყოფისა და ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, მათ ხელმძღვანელებს, რედაქტორს (მთავარ რედაქტორს) და მასალების ავტორებს, რომლებმაც დაარღვიეს ეს კანონი.

**მუხლი 26.** მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობაში ჩაურევლობა

სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირების, ნებისმიერი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ ყურნალისტის ან რედაქტორის



ის კანონიერი პროფესიული საქმიანობის დაბრკოლება, ჟურნალისტთა რედაქტორთა იძულება შეცვალონ ან უარი თქვან ინფორმაციის გავრცელებაზე, ისჯება ათასიდან ორი ათას მანეთამდე ჯარიმით, ძალდატანების განმეორებით მცდელობის შემთხვევაში — ხუთი ათასიდან ათი ათას მანეთამდე ჯარიმით ან ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

თუ სახელმწიფო ან სახელმწიფო ორგანოები არღვევენ პრესისა და ინფორმაციის სხვა საშუალებების თავისუფლების კანონს, მათ წინააღმდეგ შეიძლება აღიძრას სისხლის სამართლის საქმე.

**მუხლი 27.** პასუხისმგებლობა მასობრივი ინფორმაციის უკანონო მომზადებისა და გავრცელებისათვის

მასობრივი ინფორმაციის საშუალებით პროდუქციის შექმნა და გავრცელება, თუ იგი რეგისტრაციაში არ არის გატარებული, იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას — ათას მანეთამდე ჯარიმას, რომელსაც სასამართლო აკისრებს რედაქციას, და ნაბეჭდი ტირაჟის ან სხვა პროდუქციის ამოღებას.

კანონის განმეორებით დარღვევის შემთხვევაში ჯარიმა იზრდება ხუთი ათას მანეთამდე. ამასთან ხდება იმ ტექნიკური საშუალებების კონფისკაცია, რომლებსაც საინფორმაციო საშუალება იყენებს ინფორმაციის მომზადებისა და გავრცელებისათვის.

**მუხლი 28.** პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შემთხვევები

რედაქტორს (მთავარ რედაქტორს), ასევე ჟურნალისტს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა არასწორი ცნობების კავრცელებისათვის:

თუ ამ ცნობებს შეიცავდა ოფიციალური ინფორმაციები;

თუ ისინი მიღებულია საინფორმაციო სააგენტოებისა ან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების პრესსამსახურებისაგან;

თუ ისინი სიტყვა-სიტყვით იმეორებენ სხვადასხვა ოფიციალურ თავყრილობებზე პასუხისმგებელ პირთა გამოსვლებს;

თუ ასეთი ცნობები იყო გამოსვლებში, რომლებიც ეთერში გავიდა წინასწარი ჩაწერის გარეშე, ან ტექსტებში, რომლებიც არ ექვემდებარება რედაქტირებას ამ კანონის შესაბამისად.

**მუხლი 29.** ღირსების სასამართლო

ჟურნალისტის მიერ ჩადენილი ისეთი ქმედებისათვის, რომელიც არ ატარებს კრიმინალურ ხასიათს, მაგრამ მიუღებელია ეთიკური თვალსაზრისით და რასაც მოჰყვება თვით ჟურნალისტის და მასობრივი ინფორმაციის საშუალების საზოგადოებრივი დისკრედიტირება, იქმნება ღირსების სასამართლო.

ღირსების სასამართლოს ქმნის ჟურნალისტთა კავშირი ან ნებისმიერი მასობრივი ინფორმაციის საშუალების კოლექტივი (თუ წარმოიშვა შინა კონფლიქტური სიტუაცია).

ღირსების სასამართლოს შეუძლია დააყენოს პროფესიონალი ჟურნალისტის დასჯის საკითხი (გაკიცხვა, ფულადი ჯარიმა, კავშირის წევრობის დროებითი შეჩერება ან გარიცხვა).

## თავი V

### საერთაშორისო თანამშრომლობა

**მუხლი 30.** საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საერთაშორისო თანამშრომლობა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის მიერ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებათა საფუძველზე.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლიათ დადონ შეთანხმებანი უცხოეთის მოქალაქეებთან და ორგანიზაციებთან. თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია ამ კანონით გათვალისწინებული ურთიერთობის წესებისაგან განსხვავებული წესები, პრიორიტეტი ენიჭება საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ მიიღონ ინფორმაცია საზღვარგარეთის წყაროებიდან (ტელევიზია, რადიო, პრესა, წიგნები, ბროშურები და ა. შ.)

**მუხლი 31.** საქართველოში უცხოელი ჟურნალისტების, საზღვარგარეთის სახელმწიფოთა დიპლომატიურ და სხვა წარმომადგენელთა საინფორმაციო საქმიანობა

საქართველოში აკრედიტებული უცხოელი კორესპონდენტებისა და უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სხვა წარმომადგენლების სამართლებრივ მდგომარეობასა და პროფესიულ საქმიანობას, აგრეთვე საქართველოში დიპლომატიური, საკონსულო და სხვა ოფიციალური წარმომადგენლობების საინფორმაციო საქმიანობას აწესრიგებს საქართველოს კანონმდებლობა და შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებები.

## თავი VI

### კანონის კონტროლი და განხორციელება

**მუხლი 32.** კანონის დაცვისა და განხორციელების ზედამხედველობის კომისია

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის დაცვისა და განხორციელებას ზედამხედველობას უწევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შესაბამისი კომისია.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.



საპარტველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**596** „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ საპარტველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამოქვეყნების-თანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 10 აგვისტო.

საპარტველოს რესპუბლიკის კანონი

**597** საპარტველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს — საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1.** კანონმდებლობა საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს — საკრებულოს წევრის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს საკრებულოს წევრის სტატუსს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, ეს კანონი და მათ შესაბამისად გამოცემული საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

**მუხლი 2.** საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადა

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება საკრებულოს პირველ სესიაზე მისი უფლებამოსილების ცნობის დღიდან და მთავრდება ახალი მოწვევის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის დღეს ან ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში. საკრებულოს სესია მოწვეული უნდა იყოს არჩევნების ჩატარებიდან ათი დღის ვადაში, თუ არჩეულ იქნა საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობის ორი მესამედი მაინც.

**მუხლი 3.** საკრებულოს წევრის სადებუტატო საქმიანობის შეხამება საწარმოო და სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასთან.

საკრებულოს წევრი თავის სადებუტატო უფლებამოსილებებს, როგორც წესი, ახორციელებს საწარმოო ან სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტილად. სადებუტატო უფლებამოსილება ხორციელდება უსასყიდლოდ.

საკრებულოს სესიის დროს, აგრეთვე კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში დეპუტატის უფლებამოსილების განსახორციელებლად დეპუტატი თავისუფლდება საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან და მას უნაზღაურდება დეპუტატის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები შესაბამისი ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან.

**მუხლი 4.** საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა საკრებულოს წევრის უფლებამოსილებას ვადამდე წყვეტს შესაბამისი საკრებულო შემდეგ შემთხვევებში:

საკრებულოს წევრის მიერ სადეპუტატო უფლებამოსილების მოხსნისას;

საკრებულოს წევრის გაწვევისას;

საკრებულოს წევრის მიმართ გამამტყუნებელი სასამართლო განაჩენის ძალაში შესვლისას;

საკრებულოს წევრისათვის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის ჩამორთმევისას;

როდესაც საკრებულოს წევრს ისეთი თანამდებობა უკავია, რომელიც კანონით შეუთავსებელია საკრებულოს წევრის სტატუსთან.

როდესაც საკრებულოს წევრი არასაპატიო მიზეზით სისტემატურად არ ესწრება საკრებულოს სხდომებს, პრაქტიკულად არ მონაწილეობს საკრებულოს მუშაობაში საკრებულომ ამის შესახებ უნდა აცნობოს ამომრჩევლებს და აღძრას საკითხი დეპუტატის გაწვევის თაობაზე კანონით დადგენილი წესით.

## II საკრებულოს წევრის საქმიანობა საკრებულოსა და მის ორგანოებში

**მუხლი 5.** საკრებულოს წევრის მონაწილეობა საკრებულოს სესიებში

საკრებულოს წევრები თავისუფალი განსჯის საფუძველზე სესიებზე მონაწილეობენ ყველა იმ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში, რომლებიც საკრებულოთა კომპეტენციას განეკუთვნება.

საკრებულოს წევრი მოვალეა ესწრებოდეს სესიებს, თუ იგი ვერ დაესწრება სხდომას, ამის შესახებ უნდა აცნობოს საკრებულოს.

**მუხლი 6.** საკრებულოს წევრის უფლებამოსილება საკრებულოს სესიაზე საკრებულოს წევრს აქვს გადაწყვეტი ზმის უფლება ყველა იმ საკითხში, რომელთა განხილვაც საკრებულოს კომპეტენციაში შედის.

საკრებულოს წევრს უფლება აქვს:

აირჩიოს და არჩეულ იქნეს საკრებულოს ორგანოებში;

გამოთქვას აზრი საკრებულოს ორგანოების პერსონალური შემადგენლობისა და იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურების შესახებ, რომლებსაც ირჩევს, ნიშნავს ან ამტკიცებს შესაბამისი საკრებულო;

შეიტანოს შენიშვნები და წინადადებები საკრებულოს სესიის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან და მათი განხილვის წესთან დაკავშირებით;

შეიტანოს წინადადებები საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ყოველი ორგანოს ან თანამდებობის პირის ანგარიშისა თუ ინფორმაციის მოსმენის შესახებ;

მიიღოს მონაწილეობა კამათში, შეკითხვის წესით დააყენოს საკითხები, შეკითხოს მომხსენებელს, აგრეთვე სხდომის თავმჯდომარეს, მოითხოვოს პასუხები და მისცეს მათ შეფასება;

წამოაყენოს წინადადებები სესიის გადაწყვეტილების პროექტის ან პროექტში შესწორებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე;

გადასცეს სხდომის თავმჯდომარეს თავისი გამოსვლის ტექსტი; აგრეთვე წერილობითი ფორმით ჩამოყალიბებული წინადადებები და შენიშვნები საკრებულოს სესიაზე განსახილველი საკითხის გამო.

**მუხლი 7.** საკრებულოს წევრის მიერ შეკითხვის წესით საკითხის დაყენება საკრებულოს წევრს ან წევრთა ჯგუფს უფლება აქვს ამ საკრებულოს კომპეტენციის ფარგლებში შეკითხვის წესით დააყენოს საკითხი.

იმის მიხედვით, თუ რომელი საფეხურის საკრებულოს წევრია დეპუტატი, მას შესაბამისად შეუძლია შეკითხვის წესით დააყენოს საკითხი პრეფექტის, პრეფექტურის სამსახურების ხელმძღვანელების, საკრებულოს გამგეობის (გამგებლის), სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეების, შესაბამის ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელების წინაშე.

დეპუტატი შეკითხვის წესით საკითხს აყენებს წერილობით.

საკრებულოს წევრი ან მისი თხოვნით საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე სესიას აცნობს შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხს.

სახელმწიფო ორგანო ან თანამდებობის პირი, რომლის წინაშეც შეკითხვის წესით დააყენეს საკითხი, ვალდებულია გასცეს ოფიციალური პასუხი მიმდინარე სესიაზე ან საკრებულოს მიერ დაწესებულ ვადაში. საკრებულოს წევრს უფლება აქვს შეაფასოს შეკითხვის წესით დასმულ საკითხზე თანამდებობის პირის პასუხი.

შეკითხვის წესით დაყენებული საკითხის განხილვის შედეგების მიხედვით მიიღება გადაწყვეტილება.

**მუხლი 8.** საკრებულოს სესიაზე დეპუტატის მიერ შეტანილი წინადადებებისა და შენიშვნების განხილვა

საკრებულოს სესიაზე დეპუტატის მიერ სხდომის თავმჯდომარესათვის წერილობითი ფორმით გადაცემულ წინადადებებსა და შენიშვნებს განსახილველად უგზავნიან შესაბამის ადრესატს — სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს ან თანამდებობის პირებს.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, აგრეთვე თანამდებობის პირები, რომლებსაც გაეგზავნათ საკრებულოს სესიაზე დეპუტატის მიერ შე-



ტანილი წინადადებები და შენიშვნები, მოვალენი არიან განიხილონ ისინი და არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა შედეგები აცნობონ უშუალოდ საკრებულოს წევრს, აგრეთვე საკრებულოს გამგეობას.

საკრებულოს წევრის წინადადებებისა და შენიშვნების განხილვასა და რეაგირებას კონტროლს უწევს შესაბამისი საკრებულოს გამგეობა ან პრეფერენტურა.

**მუხლი 9.** საკრებულოს წევრის საქმიანობა საკრებულოს ორგანოებში საკრებულოს ორგანოებში არჩეული წევრი მოვალეა მონაწილეობდეს მათ მუშაობაში.

საკრებულოს ორგანოებში არჩეულ წევრს უფლება აქვს შეიტანოს საკითხები ამ ორგანოების განსახილველად, მონაწილეობდეს საკითხთა მომზადებაში, განხილვაში და მათ გამო გადაწყვეტილებათა მიღებაში, საკრებულოსა და მისი ორგანოების გადაწყვეტილებათა განხორციელების ორგანიზაციაში და საკრებულოს გამგეობასთან ერთად მათი შესრულებისადმი კონტროლში.

საკრებულოს წევრს, რომელიც არ შედის საკრებულოს ორგანოებში უფლება აქვს მონაწილეობდეს მის სხდომებში, საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში სათათბირო ხმის უფლებით.

### III. საკრებულოს წევრის ურთიერთობა ამომრჩევლებთან და პოლიტიკურ ორგანიზაციებთან

**მუხლი 10.** საკრებულოს წევრის უფლებამოსილება საარჩევნო ოლქში ან საკრებულოში დეპუტატობის კანდიდატად მის დამსახურებულ პოლიტიკურ ორგანიზაციაში მუშაობასთან დაკავშირებით

საარჩევნო ოლქში ან შესაბამის პოლიტიკურ ორგანიზაციაში თავის უფლებამოსილების განხორციელების მიზნით საკრებულოს წევრს უფლება აქვს:

თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობდეს ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მუშაობაში, აგრეთვე შესაბამის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანოებში ამომრჩეველთა და პოლიტიკურ ორგანიზაციათა წევრების ინტერესებთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის განხილვაში;

კონტროლი გაუწიოს მის მიერ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში გაგზავნილ წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვას. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თანამდებობის პირნი მოვალენი არიან დაეხმარონ საკრებულო წევრს საკონტროლო საქმიანობაში, მისი კომპეტენციის ფარგლებში;



მოწყოს საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა კრებები, შეხვედრები მოსახლეობასა (მოქალაქეებსა) და პოლიტიკურ ორგანიზაციათა ადგილობრივ ორგანოებთან.

**მუხლი 11.** საკრებულოს წევრის მიერ მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვა

საკრებულოს წევრი კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილავს მასთან შესულ წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს ღონისძიებებს მათი სწორი და ღრთული გადაწყვეტისათვის, იღებს მოქალაქეებს, სწავლობს საზოგადოებრივ აზრს, შეაქვს წინადადებები ხელისუფლების შესაბამის ადგილობრივ ორგანოებში.

**მუხლი 12.** საკრებულოს წევრის ანგარიში ამომრჩეველთა ან საკრებულოში დეპუტატობის კანდიდატად მისი დამსახელებელი პოლიტიკური ორგანიზაციის წინაშე

საკრებულოს წევრი მოვალეა წელიწადში ერთხელ მაინც ჩააბაროს ანგარიში თავისი მუშაობის შესახებ ოლქის ამომრჩეველებს ან დეპუტატობის კანდიდატად მის დამსახელებელ პოლიტიკურ ორგანიზაციას.

**მუხლი 13.** საკრებულოს წევრისათვის ხელშეწყობა ამომრჩეველებთან ან საკრებულოში დეპუტატობის კანდიდატად მისი დამსახელებელი პოლიტიკური ორგანიზაციის წევრებთან შეხვედრების მოწყობაში

საკრებულოს წევრს უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეს საჭირო პირობები ანგარიშგებისა და ოლქის ამომრჩეველებთან ან საკრებულოში დეპუტატობის კანდიდატად მისი დამსახელებელი პოლიტიკური ორგანიზაციის წევრებთან შეხვედრის მოწყობისათვის. მისი თხოვნით საკრებულოს გამგეობა (გამგებელი) საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია გამოყოს შენობა, აცნობოს მოქალაქეებსა და პოლიტიკურ ორგანიზაციათა ადგილობრივ ორგანოებს როდის და სად ეწყობა დეპუტატის ანგარიშგება, მისი შეხვედრები ამომრჩეველებთან.

#### IV. საკრებულოს წევრის საქმიანობის გარანტიები

**მუხლი 14.** საკრებულოს წევრის უფლება — დაუყოვნებლივ იქნეს მიღებული თანამდებობის პირების მიერ

საკრებულოს წევრი სადეპუტატო საქმიანობის საკითხებში სარგებლობს იმის უფლებით, რომ დაუყოვნებლივ მიიღონ საკრებულოს დაქვემდებარებული ან მის ტერიტორიაზე მყოფი ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა და სხვა თანამდებობის პირებმა.

**მუხლი 15.** საკრებულოს წევრისათვის სადეპუტატო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით იურიდიული დახმარებისა და სპეციალური კონსულტაციების გაწევა

შესაბამისი საკრებულოს ქვემდებარე ან მის ტერიტორიაზე განლაგებული ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, საწარმოთა, ორგანიზაციათა, სამეცნიერო, იურიდიულ დაწესებულებათა, სასწავლებელთა ადმინისტრაციები, სამართალდამცველი ორგანოები დახმარებას უწევენ საკრებულოს წევრს სადეპუტატო საქმიანობისას წამოჭრილი სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტაში, გარდა ამისა ზემოხსენებული ორგანიზაცია-დაწესებულებები, აგრეთვე თანამდებობის პირები მოვალენი არიან საჭიროებისამებრ უზრუნველყონ საკრებულოს წევრი სპეციალისტთა კონსულტაციებით.

**მუხლი 16.** თანამდებობის პირთა მოვალეობა განიხილონ საკრებულოს წევრთა მიმართებებში

საკრებულოს წევრს უფლება აქვს დეპუტატის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმართოს ყველა იმ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებასა და ორგანიზაციას, თანამდებობის პირს, რომელიც შესაბამის საკრებულოს ქვემდებარება ან მის ტერიტორიაზეა განლაგებული, აგრეთვე მონაწილეობდეს აღძრულ საკითხთა განხილვაში. აღნიშნული ორგანოები და თანამდებობის პირები მოვალენი არიან საკრებულოს წევრს მის მიმართებაზე პასუხი გასცენ დაუყოვნებლივ, ხოლო შესაბამისი საკითხის დამატებით შესწავლის ან შემოწმების საჭიროების შემთხვევაში — არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა.

**მუხლი 17.** საკრებულოს წევრის უფლება მოითხოვოს კანონიერების დარღვევის აღმოფხვრა

საკრებულოს წევრს, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელს, უფლება აქვს ადგილზე მოითხოვოს კანონიერების დარღვევის შეწყვეტა, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამის ორგანოებსა და თანამდებობის პირებს მოსთხოვოს აღკვეთონ კანონის დარღვევა, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვა.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თანამდებობის პირები, რომლებსაც ეხებათ საკრებულოს წევრის მოთხოვნა, მოვალენი არიან დაუყოვნებლივ განახორციელონ დარღვევების აღმოფხვრის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — ბრალეულთა პასუხისგებაში მიცემის ღონისძიებანი, ამასთან, შემდგომში აცნობონ ეს საკრებულოს წევრს.

**მუხლი 18.** საკრებულოს წევრის უფასოდ მგზავრობის უფლება

საკრებულოს წევრი სარგებლობს შესაბამისი საკრებულოს ქვემდებარე (თბილისის მთელ) ტერიტორიაზე ყველა სახის რესპუბლიკური და საქალაქო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა) უფასოდ მგზავრობის უფლებით.

საკრებულოს წევრთა უფასოდ მგზავრობის წესებსა და პირობებს, აქედან გამომდინარე სატრანსპორტო ორგანიზაციებთან ანგარიშსწორების, აგრეთვე სადეპუტატო მოღვაწეობის განხორციელებასთან დაკავშირებით პირადი ავტო-



ტრანსპორტის გამოყენების პირობებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

**მუხლი 19.** საკრებულოს წევრის შრომის უფლების დაცვა

საკრებულოს წევრი არ შეიძლება ადმინისტრაციის ინიციატივით დაითხოვონ საწარმოში, დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში სამუშაოდან ან დისციპლინური დასჯის წესით გადაიყვანონ დაბალხელფასიან სამუშაოზე საკრებულოს წინასწარი დასტურის გარეშე, ხოლო სესიებს შუა პერიოდში — საკრებულოს გამგეობის (გამგებლის), თბილისში საკრებულოს სამდივნოს დასტურის გარეშე.

საკრებულოს წევრის არჩევის შემთხვევაში საკრებულოს არჩევით თანამდებობაზე ძირითადი საწარმოო თუ სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოწყვეტით (თუკი ასეთი დადგენილი და ასახულია შესაბამის საკრებულოს რეგლამენტში) ამ თანამდებობაზე მისი უფლებამოსილების დამთავრების შემდეგ საკრებულოს წევრს ეძლევა წინანდელი სამუშაო (თანამდებობა), ხოლო თუ იგი აღარ არსებობს — სხვა ტოლფასი სამუშაო (თანამდებობა) იმავე ან მისი თანხმობით სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში.

საკრებულოს ორგანოში არჩევით თანამდებობაზე დეპუტატის მუშაობის დრო ითვლება იმ სპეციალობით შრომის სტაჟში, რომლითაც საკრებულოს წევრი მუშაობდა საკრებულოს ორგანოში არჩევით თანამდებობაზე არჩევამდე.

**მუხლი 20.** საკრებულოს წევრის ხელშეუხებლობა

საკრებულოს წევრი შესაბამის საკრებულოს ტერიტორიაზე არ შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დაპატიმრებულ იქნეს ან დაედოს ადმინისტრაციული სასჯელი სასამართლო წესით საკრებულოს თანხმობის გარეშე, ხოლო სესიებს შუა და სხდომებს შუა პერიოდში — საკრებულოს გამგეობის (გამგებლის, თბილისში — საკრებულოს სამდივნოს) თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკრებულოს წევრი დაკავებულ იქნა დანაშაულის ჩადენის ადგილზე. ასეთ შემთხვევაში პროკურორი დაუყოვნებლივ აცნობებს ამ ფაქტს შესაბამის საკრებულოს.

**მუხლი 21.** საკრებულოს წევრის პასუხისგებაში მიცემაზე თანხმობის მიღების წესი

საკრებულოს წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაპატიმრების ან სასამართლო წესით დასადები ადმინისტრაციული სასჯელის ღონისძიებათა გამოყენებისათვის საკრებულოს, ხოლო სესიებსა და სხდომებს შუა პერიოდში საკრებულოს გამგეობის გამგებლის (თბილისში — საკრებულოს სამდივნოს) თანხმობის მისაღებად შესაბამის პროკურორს საკრებულოს წევრისათვის ბრალდების წაყენების, მისი დაპატიმრების სანქციის გაცემის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმის სასამართლოში გაგზავნის წინ საკრებულოში შეაქვს წარდგინება; ამასთან ზემდგომ პროკურორს უფლება აქვს გამოითხოვოს ქვემდგომი პროკურორის მიერ საკრებულოში შეტანილი წარდგინება.

საკრებულო განიხილავს წარდგინებას არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა. საჭიროების შემთხვევაში შესაბამის პროკურორს შეიძლება გამოეთხოვოს დამატებითი მასალები. საკითხის განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვს საკრებულოს იმ წევრს, რომლის გამო შეტანილია წარდგინება; საკრებულო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას და სამი დღის ვადაში აცნობებს მას შესაბამის პროკურორს.

საკრებულოს ან მისი გამგეობის (გამგებლის, თბილისში — საკრებულოს სამდივნოს) გადაწყვეტილება ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ საკითხზე შეიძლება გააუქმოს ხელისუფლების ზემდგომმა ორგანომ, შესაბამისი ზემდგომი პროკურორის წარდგინებით, ამასთან საკითხი გადასცეს საკრებულოს ხელახლა განსახილველად.

იმ შემთხვევაში, როდესაც საკრებულო ან მისი გამგეობა (გამგებელი, თბილისში — საკრებულოს სამდივნო) დაადასტურებს თავდაპირველ გადაწყვეტილებას, საკითხი საბოლოოდ შეიძლება გადაწყვიტოს რაიონის ან ქალაქის საკრებულომ, ავტონომიური რესპუბლიკის ან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ შესაბამისად რაიონის ან ქალაქის, ავტონომიური რესპუბლიკის, ან საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის წარდგინების საფუძველზე.

პროკურორი, რომელმაც საკრებულოში შეიტანა წარდგინება საკრებულოს წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე, დაპატიმრებაზე ან სასამართლო წესით ადმინისტრაციული სასჯელის ღონისძიებათა გამოყენებაზე, საკრებულოს თანხმობის მიღების შემთხვევაში ვალდებულია საქმის წარმოების დამთავრებიდან სამი დღის ვადაში აცნობოს საკრებულოს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის შედეგები.

საკრებულოს მხრიდან საკრებულოს წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე, დაპატიმრებაზე ან სასამართლო წესით ადმინისტრაციული სასჯელის ღონისძიებათა გამოყენებაზე თანხმობის მიღება არ არის საჭირო იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაული ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩადენილია საკრებულოს წევრის მიერ ტერიტორიაზე, რომელიც ადმინისტრაციულად არ ექვემდებარება ამ საკრებულოს და საკრებულოს წევრი არ იმყოფება საკრებულოს ქვემდებარე ტერიტორიაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც წყდება საკრებულოს წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაპატიმრების ან სასამართლო წესით ადმინისტრაციული სასჯელის ღონისძიებათა გამოყენების საკითხი და იგი იმყოფება იმ საკრებულოს ტერიტორიაზე, რომლის წევრიც არის, მაშინ მოქმედებს საკრებულოსაგან თანხმობის მიღების ამ მუხლით დადგენილი წესი.

**მუხლი 22.** თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა ამ კანონის მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის

სახელმწიფო უზრუნველყოფს პირობებს საკრებულოს წევრის მიერ უფლებამოსილების დაუბრკოლებელი და ეფექტიანი განხორციელებისათვის, იცავს მის უფლებებს, სახელსა და ღირსებას.



სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თანამდებობის პირებს, რომლებიც არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს საკრებულოს წევრის წინაშე, ხელს უშლიან მუშაობაში, აწვდიან მცდარ ინფორმაციას, არღვევენ სადებუტატო საქმიანობის გარანტიებს, ეკისრებათ პასუხისმგებლობა კანონის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 10 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**598** „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს — საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს — საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ“ სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპი პასტიანი.

თბილისი, 1991 წლის 10 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**599** საგზაო მოძრაობის წესების დარღვევებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოებმა და შინაგან საქმეთა ორგანოებმა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებისას იხელმძღვანელონ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.

2. დავალოს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურას აღკვეთოს იმ სახელმწიფო ორგანოების უკანონო მოქმედებანი, რომლებიც ამეტებენ თავიანთ უფლებამოსილებას, ადგენენ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისაგან განსხვავებულ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ადებენ ადმინისტრაციულ სახდელს.

3. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის ზუსტი აღრიცხვის, სახელმწიფო ავტონისპექციის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით წინადადება მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას განიხილოს და ცნობის სახით საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წარუდგინოს სახელმწიფო ავტონისპექციის მუშაკთა ისეთი ანაზღაურების წესი, როდესაც მყარი მინიმალური ხელფასის ზემოთ მიეცემათ მათ მიერ დადებული ჯარიმების საერთო თანხის პროპორციული ანაზღაურება, რაც სავარაუდოდ გაზრდის ჯარიმების დადებით განსაზღვრულ შემოსავალს სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებში.

4. დავალოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს იურიდიულ კომისიას ადამიანთა უფლებების დაცვის მიზნით მოამზადოს კანონპროექტი, რომელიც ეფექტურს გაზრდის სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლების უფლებას სასამართლო წესით გაასაჩივრონ შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკების მიერ დადებული ადმინისტრაციული სახდელები.

5. ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაი ბნათიანი.

თბილისი, 1991 წლის 10 აგვისტო.

### საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## **600** საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

შეტანილ იქნეს ცვლილება 1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხ. 420):

121-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეოთხე ნაწილი:

„იგივე ქმედობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, ვინც მართავს სხვისი საკუთრების სატრანსპორტო საშუალებას, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთი ათას მანეთამდე“.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 10 აგვისტო.



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
და დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა

601

სასოფლო-სამეურნეო, კვებისა და გადაამუშავებელი მრეწველობის საწარმოთათვის ბანკის ვადაგადაცილებული დავალიანების ჩამოწრასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესასწავლად შექმნილი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ერთობლივი კომისიის მიმდინარე ანგარიშისა და საინფორმაციო განცხადების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

I. მიღებულ იქნეს ცნობად სასოფლო-სამეურნეო, კვებისა და გადაამუშავებელი მრეწველობის საწარმოთათვის ბანკის ვადაგადაცილებული დავალიანების ჩამოწრასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესასწავლად შექმნილი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ერთობლივი კომისიის მიმდინარე ანგარიში და საინფორმაციო განცხადება

II. დაევალოს რესპუბლიკის მთავრობას განიხილოს კომისიის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები და უზრუნველყოს მათი განხორციელება, კერძოდ:

1) ჩამოეწროთ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და მატერიალური დოვლათის მწარმოებელ სამეურნეობათაშორის ფორმირებებს 1991 წლის 1 აპრილის მდგომარეობით რიცხული და დაფარვის წყაროთი არაუზრუნველყოფილი, უპერსპექტივო, ვადაგადაცილებული და განვადებული სასესხო დავალიანებები და კვებისა და გადაამუშავებელი მრეწველობის საწარმოების დაფარვის წყაროთი არაუზრუნველყოფილი ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებები, რომლებიც წარმოიშვა გრძელვადიანი სესხების და არასწორი საკავშირო დადგენილებების შედეგად;

2) აღდგენილ იქნეს ვადიანი სესხების ანგარიშებზე 1991 წლის აპრილის განმავლობაში აგრომრეწვბანკის რესპუბლიკური ბანკის გამგეობის თავმჯდომარის წერილობითი მითითებებით გაცემული მოკლევადიანი სესხები, რომელთა გასაცემადაც არსებობდა რეალური საფუძვლები და რომლებიც 1 მაისისათვის ვადაგადაცილებული დავალიანების ანგარიშზე გადაიტანეს.

უსაფუძვლოდ გაცემული სესხებით წარმოქმნილი ვადაგადაცილებული დავალიანების, მათ შორის იმ დავალიანების დასაფარავად, რომელიც უკანონო ავანსირებით არის მიღებული, დაუყოვნებლივ ამოღებულ იქნეს თანხები კრედიტორი ორგანიზაციებიდან. ამ მიზნით გამოყენებულ იქნეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

3) აგრომრეწვბანკის რესპუბლიკურმა ბანკმა საწარმოებსა და ორგანიზაციებს 1991 წლის 1 მაისიდან მის მიერ ხელოვნურად გაზრდილ ვადაგადაცილებულ სესხებზე სარგებელი გადაახდევინოს მინიმალური ოდენობით.





III. დაევალოთ რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების კომიტეტს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და რესპუბლიკის პროკურატურას შეისწავლონ რესპუბლიკაში ლუდის შემოტანასთან დაკავშირებით კომისიის მიერ დასმული საკითხი და განახორციელონ სათანადო ღონისძიებები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აპაპი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 10 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

**602** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლოებისა და ეკოლოგიის კომისიის ანგარიშის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლოებისა და ეკოლოგიის კომისიის ანგარიში მიღებულ იქნეს ცნობად.
2. კომისიამ თავის მუშაობაში გაითვალისწინოს სესიის სხდომაზე უზენაესი საბჭოს წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აპაპი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 10 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

**603** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს წევრების არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

- არჩეულ იქნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს წევრებად:
- დავით ღურმიშხანის ძე გამრეკელი.
- ნიკოლოზ ფირუშის ძე გაგიევი.

ნუგზარ მიშას ძე გაზდელიანი.  
 ნინო ნიკოლოზის ასული გიორგაძე.  
 ჯონდო შალვას ძე გოგლიძე.  
 თამაზ პლატონის ძე კილანავა.  
 ვალერიან იოსების ძე ნადირაშვილი.  
 როზა აბოლონის ასული სალაყაია.  
 მადონა გიორგის ასული ელიაური.  
 ველა კარლოს ძე თოფურია.  
 მანანა ნოდარის ასული ნასარიძე.  
 ქეთინო ამირანის ასული შაქარაშვილი.  
 ანა ბეჭარის ასული შიხაშვილი.  
 გერონტი გიორგის ძე შიხაშვილი.  
 რევაზ შალვას ძე ცინცაძე.  
 თეიმურაზ შალვას ძე ცქიტიშვილი.  
 გივი სერგოს ძე ფანჩიძე.  
 ნიკოლოზ ამირანის ძე ფურცელაძე.  
 ტარიელ ჭიჭიკოს ძე კბილაშვილი.  
 ნატალია ავთანდილის ასული ყურაშვილი.  
 კარლო კირილეს ძე ჯახუა.  
 ნანა ბუხუღას ასული ჯანხოთელი.  
 მიხეილ შალვას ძე ჯმუხაძე.  
 გივი ლუარსაბის ძე ჯიჯურიძე.  
 თამაზ აკაკის ძე ძნელაძე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაძე ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 10 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**604** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს კრების 1991 წლის 23 აპრილის კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 23 აპრილის კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმი 13 წევრის შემადგენლობით:

**პრეზიდიუმის თავმჯდომარე**

ეკტინი შალვას ძე **ბენდელიანი** — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე

**პრეზიდიუმის წევრები:**

პაატა გიორგის ძე **გველესიანი** — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ტარიელ ვახტანგის ძე **ჯამბახიძე** — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

ამირან ბაქარის ძე **ფრუიძე** — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

თემურაზ შალვას ძე **ცქიტიშვილი** — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს წევრი.

გელა კარლოს ძე **თოფურია** — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს წევრი.

გივი სერგოს ძე **ფანჩვიძე** — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს წევრი.

მიხეილ შალვას ძე **ჯმუხაძე** — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს წევრი.

კარლო კირილეს ძე **ჯახუა** — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს წევრი.

2. ზემოაღნიშნული კანონის იმავე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საარბიტრაჟო სასამართლოების თავმჯდომარეები, ქ. თბილისის და ქ. ქუთაისის საარბიტრაჟო სასამართლოების თავმჯდომარეები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბაბაი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 10 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**605** 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნების, რეფერენდუმისა და 26 მაისს გამართული საქართველოს რესპუბლიკის კრედიტის არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნების, რეფერენდუმისა და 26 მაისს გამართული საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების ანგარიში (ერთვის დედანს).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 10 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**606** ასლან აბაშიძის სადევუტატო უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდატო და დეპუტატის ვითიკის კომისიის წარდგინების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

ცნობილ იქნეს № 117 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრად არჩეული ასლან აბაშიძის უფლებამოსილება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 10 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

**607** საცხოვრებელი სადგომის ან სხვა ნაგებობის თვითნებურად დაკავებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსს (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ. № 1, მუხ. 10) დაემატოს შემდეგი შინაარსის 220<sup>2</sup> მუხლი:

„**მუხლი 220<sup>2</sup>.** საცხოვრებელი სადგომის ან სხვა ნაგებობის თვითნებურად დაკავება

საცხოვრებელი სადგომის, სააგარაკო, ან სხვა ნაგებობის (მათ შორის მშენებარე) თვითნებურად დაკავება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, ან ჯარიმით ორი ათას მანეთამდე“.

2. საქართველოს სსრ 1964 წლის 26 დეკემბრის კანონით დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1964 წ. № 36, მუხ. 662) 352-ე მუხლის მე-18 პუნქტი და 353-ე მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„18) პროკურორის დადგენილება ადმინისტრაციული წესით იმ პირების გამოსახლების შესახებ, რომლებმაც თვითნებურად დაიკავეს საცხოვრებელი სადგომი, სააგარაკო ან სხვა ნაგებობა (მათ შორის მშენებარე) ან ცხოვრობენ სახლებში, რომელთაც ჩამოქცევის საფრთხე ემუქრება. პროკურორის დადგენილების იძულებითი აღსრულება წარმოებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით და ამ კოდექსით დადგენილი წესით“.

„11) პროკურორის დადგენილებები ადმინისტრაციული წესით იმ პირების გამოსახლების შესახებ, რომლებმაც თვითნებურად დაიკავეს საცხოვრებელი სადგომი, სააგარაკო ან სხვა ნაგებობა (მათ შორის მშენებარე) ან ცხოვრობენ სახლებში, რომელთაც ჩამოქცევის საფრთხე ემუქრება“.

3. საქართველოს სსრ 1983 წლის 4 ივნისის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის საბინაო კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1983 წ. № 6, მუხ. 199).

ა) 101-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გამოსახლება ხდება სასამართლო წესით. დაიშვება გამოსახლება ადმინისტრაციული წესით პროკურორის დადგენილებით მხოლოდ იმ პირებისა, რომლებმაც თვითნებურად დაიკავეს საცხოვრებელი სადგომი, სააგარაკო ან სხვა ნაგებობა (მათ შორის მშენებარე), ან ცხოვრობენ სახლში, რომელსაც ჩამოქცევა ემუქრება“.

ბ) 110-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პირები, რომლებმაც თვითნებურად დაიკავეს საცხოვრებელი სადგომი, სააგარაკო, მშენებარე ან სხვა ნაგებობა, გამოსახლებული უნდა იქნენ სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად ამ კოდექსის 101-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული წესით“.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 10 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**608** მცხეთის რაიონის სოფელ დიღმის საკრებულოს ფუნქციონირების საკითხის შემსწავლელი უზენაესი საბჭოს დროებითი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

შეიქმნას მცხეთის რაიონის სოფელ დიღმის საკრებულოს ფუნქციონირების საკითხის შემსწავლელი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე — გ. კორძაძე

წევრები:

ა. ბობოხიძე.

ბ. გონაშვილი.

ა. იმნაძე.

ი. მელაშვილი.

გ. პეტრიაშვილი.

გ. ფაცაცია.

ლ. ცოფურაშვილი.

შ. წიკლაური.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბაბაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 10 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

**609** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის სამდღ. ნოსთან პრესის სამსახურის ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის სამდღეოსთან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრებისაგან შეიქმნას პრესის სამსახურის ჯგუფი უზენაესი საბჭოს წევრის ემზარ გოგუაძის ხელმძღვანელობით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 10 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

**610** საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებთან მუშაობის ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდატო და დეპუტატის ეთიკის კომისიასთან უზენაესი საბჭოს წევრებისაგან შეიქმნას რესპუბლიკის საკრებულოებთან მუშაობის ჯგუფი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 10 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

611 საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის მმართველობის შესახებ

**მუხლი 1.** საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 183-ე მუხლის თანახმად ქ. თბილისი საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქია და წარმოადგენს დამოუკიდებელ ერთიან ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს.

ქ. თბილისის ტერიტორია მოიცავს ქალაქის 10 რაიონს და ერთ დაბას. ესენია:

- გლდანის რაიონი;
- დიდუბის რაიონი;
- ვაკის რაიონი;
- ისნის რაიონი;
- კრწანისის რაიონი;
- მთაწმინდის რაიონი;
- საბურთალოს რაიონი;
- სამგორის რაიონი;
- ღრმალელის რაიონი;
- ჩუღუტყეთის რაიონი;
- დაბა წყნეთი.

ქ. თბილისის საზღვრებს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ქალაქის რაიონების საზღვრებს — თბილისის მერია ქალაქის საკრებულოსთან შეთანხმებით.

**მუხლი 2.** რესპუბლიკის ხელისუფლება და მთავრობა ქმნის ყველა პირობას, რათა სახელმწიფო ორგანოებმა და ორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქალაქ თბილისის განვითარება-განაშენიანებაში. ისინი, როგორც წესი, საკრებულოსა და მერიასთან ათანხმებენ მათდამი დაქვემდებარებული დარგების განვითარების პროგრამათა იმ ნაწილებს, რომლებიც მოიცავენ ქალაქის ინტერესებს. იმ შემთხვევაში, თუ შელახულა ქალაქის ინტერესები, საკრებულოსა და მერიას უფლება აქვთ რესპუბლიკის მთავრობის წინაშე დააყენონ სამინისტროს თუ მმართველობის სხვა ორგანოს პროგრამის ხელშეორედ განხილვის საკითხი.

**მუხლი 3.** ქ. თბილისის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებია ქალაქის რაიონების საკრებულოები და ქალაქის საკრებულო.

ქ. თბილისის სახელმწიფო მმართველობის ორგანოებია მერია და ქალაქის რაიონების პრეფექტურები.

**მუხლი 4.** ქალაქ თბილისის რაიონის საკრებულო რაიონის საკრებულოს წევრებს — დეპუტატებს ირჩევს მისდამი დაქვემდებარებული ტერიტორიის მოსახლეობა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 3 წლის ვადით





საკრებულოს პირველი სესიის მორიგ სხდომებზე საკრებულო ირჩევს ყველა მუდმივ კომისიას, საკრებულოს მდივნის წარდგინებით — მათ თავმჯდომარეებს, იღებს რეგლამენტს.

ახლად არჩეული საკრებულოს პირველ სხდომას საკრებულოს მდივნის არჩევამდე უძღვება და მის გადაწყვეტილებებს ხელს აწერს შესაბამისი ტერიტორიული ან ადგილობრივი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, ამ კომისიის მიერ უფლებამოსილი პირი.

საკრებულოს მდივანი ირჩევა საკრებულოს წევრთაგან ფართული კენჭისყრით საკრებულოს უფლებამოსილების ვადით; იგი იწვევს საკრებულოს სესიებს და უძღვება მის სხდომებს, კოორდინაციას უწევს საკრებულოს კომისიების საქმიანობას, ხელს აწერს საკრებულოს მიერ მიღებულ აქტებს, გამოსცემს განკარგულებებს.

საკრებულო მდივნის წარდგინებით საკრებულოს წევრთაგან ამტკიცებს მდივნის მოადგილეს (მოადგილეებს) საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

თუ საკრებულოს მდივნის მიერ წარდგენილი კანდიდატი არ იქნა დამტკიცებული, ახალ კანდიდატურას კვლავ საკრებულოს მდივანი წარადგენს. მდივნის უშუალო დავალებით ან იმ შემთხვევაში, თუ საკრებულოს მდივანს დროებით არ შეუძლია შეასრულოს თავისი მოვალეობები, მდივნის ფუნქციებს ასრულებს მისი მოადგილე.

თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას, საკრებულოს მდივანი და საკრებულოს მდივნის მოადგილე (მოადგილეები) წყვეტენ საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას და მოღვაწეობენ საკრებულოში.

საკრებულოს სხდომა ღიაა.

საკრებულოს მდივანს ან დებუტატთა ერთ მეოთხედს შეუძლიათ დააყენონ საკითხი დახურული სხდომის ჩატარების შესახებ. თუ კენჭისყრის დროს ამ წინადადებას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე დებუტატთა ნახევარზე მეტი, ტარდება დახურული სხდომა.

როგორც ღია, ასევე დახურულ სხდომებზე დასწრების უფლება აქვთ რაიონის პრეფექტს, ქალაქის მერს, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრს სათათბირო ხმის უფლებით.

**მუხლი 6.** საკრებულოს სამდივნო

საკრებულოს სამდივნო ახორციელებს საკრებულოს მიმდინარე საქმიანობას.

საკრებულოს სამდივნოს შემადგენლობას განსაზღვრავს მდივანი, უთანხმებს საკრებულოს სესიას და შემდგომ ამტკიცებს მას.

საკრებულოს სამდივნოს საქმიანობის წესს განსაზღვრავს საკრებულოს რეგლამენტი.

**მუხლი 7.** საკრებულოს კომისიები

საკრებულო თავისი საქმიანობის უზრუნველსაყოფად რაიონის სპეციფიკის გათვალისწინებით დებუტატთა შემადგენლობიდან უფლებამოსილების ვადით ქმნის მუდმივ და დროებით კომისიებს.

საკრებულოს ყველა წევრი თავის ფუნქციებს, როგორც დეპუტატი, ასრულებს სრულ საზოგადოებრივ საწყისებზე.

საკრებულოს კომისიების ორგანიზაციის, საქმიანობის წესსა და კომპეტენციას განსაზღვრავს შესაბამისი საკრებულოს რეგლამენტი.

**მუხლი 8.** საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე რაიონის საკრებულო:

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში განსაზღვრავს, შეიმუშავებს და ამტკიცებს რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიულ პროგნოზებსა და პროგრამებს, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კოლექტივების, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინადადებებს;

განიხილავს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა პერსპექტიული პროგნოზებისა და პროგრამების პროექტებს იმ ნაწილში, რომელიც ეხება მიწათსარგებლობას, ბუნების დაცვას, მშენებლობას, საბინაო და კომუნალური მეურნეობის განვითარებას, შრომითი რესურსების გამოყენებას, სახალხო მოხმარების საქონლისა და ადგილობრივი სამშენებლო მასალების წარმოებას, მოსახლეობის სოციალურ-კულტურულ, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურებას, საჭიროების შემთხვევაში შეაქვს თავისი წინადადებები შესაბამის ზემდგომ ორგანოებში;

ამტკიცებს რაიონის ბიუჯეტს, აკონტროლებს მის შესრულებას; რაიონის ბიუჯეტის შედგენისას ითვალისწინებს ამომრჩეველთა განაწილებას, საჭიროების შემთხვევაში ბიუჯეტის შესრულების პროცესში ხელახლა ანაწილებს საბიუჯეტო სახსრებს კარიდან კარში, აგრეთვე ხელახლა ანაწილებს ხელფასის ასიგნებებს ხელფასის დამტკიცებული ფონდის ფარგლებში; ამტკიცებს რაიონის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს, რაიონის ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებულ შემოსავალს, შემოსავლის ნამატ თანხებს, რომლებიც წარმოიშობა წლის დამლევისათვის შემოსავლის გადაჭარბებით შესრულების ან გასავლის ნაწილში გაწეული მომჭირნეობის შედეგად, ახმარს რაიონის მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებას, მათ შორის კაპიტალურ დაბანდებებს;

აყენებს საკითხს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ბრძანებებისა და განკარგულებების, მიწათსარგებლობის, ბუნების დაცვის, მშენებლობის, საბინაო და კომუნალური მეურნეობის, შრომითი რესურსების გამოყენების, სახალხო მოხმარების საქონლისა და ადგილობრივი სამშენებლო მასალების წარმოების, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების, მომსახურების საკითხებზე ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა იმ ბრძანებებისა და განკარგულებების შესაჩერებლად, რომლებიც ეწინააღმდეგება კანონმდებლობას და ამის შესახებ აცნობებს შესაბამის ზემდგომ ორგანოებს;

ისმენს და ამტკიცებს რაიონის პრეფექტის ანგარიშს სამეურნეო წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ.

რაიონის საკრებულოს მიერ მიღებულ აქტებს, რომლებიც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, აუქმებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, პრეზიდენტი, ქალაქის საკრებულო, ქალაქის მერი ან სასამართლო.

**მუხლი 9.** ქალაქ თბილისის საკრებულო.

ქალაქ თბილისის საკრებულო არის ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგება ქალაქის რაიონებისა და დაბა წყნეთის საკრებულოების მიერ თავიანთი შემადგენლობიდან არჩეული წევრებისაგან (ქალაქის თითოეული რაიონიდან 7, ხოლო დაბა წყნეთიდან 3).

**მუხლი 10.** ქალაქის საკრებულო ამტკიცებს ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მაჩვენებლებს; ადგენს ადგილობრივ ბიუჯეტს საბიუჯეტო კანონმდებლობის შესაბამისად; ქალაქის თითოეული რაიონისათვის ადგენს ბიუჯეტის მიხედვით საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობას; ამტკიცებს ქალაქის რაიონების ბიუჯეტებში სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხების ოდენობას; აწარმოებს ქალაქის ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის გამიჯვნას საქალაქო ბიუჯეტისა და ქალაქის რაიონულ ბიუჯეტებს შორის; წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ქალაქის რაიონების საკრებულოების საქმიანობის წარმართვასა და კოორდინაციასთან ქალაქის მეურნეობის განვითარების ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

**მუხლი 11.** ქალაქის საკრებულოს ორგანოები და თანამდებობის პირებია:

- ა) საკრებულოს სესია;
- ბ) საკრებულოს მდივანი და მისი მოადგილე (მოადგილეები), საკრებულოს სამდივნო;
- გ) საკრებულოს კომისიები.

**მუხლი 12.** ქალაქის საკრებულოს სესიის კომპეტენციას განეკუთვნება:

- ა) ქალაქისა და რაიონების საკრებულოების რეგლამენტების დამტკიცება, მათში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რაც ეცნობება ქალაქის მერს;
- ბ) ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, გარემოს დაცვისა და რაციონალური ბუნებათსარგებლობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;
- გ) ქალაქის ბიუჯეტის დამტკიცება;
- დ) ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება;
- ე) ქალაქის საკრებულოს მდივნისა და მისი მოადგილის არჩევა;
- ვ) ქალაქის მასშტაბით ბაყების, ადგილობრივი სესხების, გადასახადებისა და მოსაკრებლების, აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების შემოღება.

**მუხლი 13.** ქალაქის საკრებულოს სხდომებს, როგორც წესი, უძღვება საკრებულოს მდივანი, რომელსაც ქალაქის საკრებულოს წევრთაგან ირჩევენ ფარული კენჭისყრით საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

საკრებულოს მდივანი იწვევს საკრებულოს სესიებს და უძღვება მის სხდომებს; კოორდინაციას უწევს საკრებულოს კომისიების საქმიანობას; ხელს აწერს საკრებულოს მიერ მიღებულ აქტებს, გამოსცემს განკარგულებებს.

საკრებულოს მდივნის წარდგინებით საკრებულო ამტკიცებს საკრებულოს მდივნის მოადგილეს (მოადგილეებს) საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

თუ საკრებულოს მდივნის წარდგენილი კანდიდატი არ იქნა დამტკიცებული, ახალ კანდიდატურას კვლავ საკრებულოს მდივანი წარადგენს.

მდივნის უშუალო დავალებით ან იმ შემთხვევაში, თუ საკრებულოს მდივანს დროებით არ შეუძლია შეასრულოს თავისი მოვალეობები, მდივნის ფუნქციებს ასრულებს მისი მოადგილე.

თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას საკრებულოს მდივანი, საკრებულოს მდივნის მოადგილე (მოადგილეები), მუდმივი კომისიების თავმჯდომარეები წყვეტენ საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას და მოღვაწეობენ საკრებულოში.

#### **მუხლი 14. მერია**

თბილისის სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოა მერია, რომელსაც ხელმძღვანელობს მერი.

თბილისის ტერიტორიაზე მერია წარმართავს ადმინისტრაციულ, საფინანსო, სამეურნეო-ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ საქმიანობას. იგი მასში შემავალი ყველა ფუნქციონალური და სამეურნეო რგოლის ძალისხმევას მიმართავს დედაქალაქის ყოველმხრივი განვითარებისათვის.

მერიის ორგანიზაციულ სტრუქტურას იმუშავებს მერი, უთანხმებს ქალაქის საკრებულოს და რესპუბლიკის მთავრობას. თბილისის მერიის სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

თბილისის მერია შედგება მერის, მისი პირველი მოადგილის, დეპარტამენტების დირექტორებისაგან, რომელთაც ენიჭებათ მერის მოადგილეების სტატუსი, მერიის კაბინეტის, მერიის საქმეთა მმართველობისა და მერიის სამსახურებისაგან.

#### **მუხლი 15. თბილისის მერი**

თბილისის მერი ქალაქის უმაღლესი თანამდებობის პირია, ხელმძღვანელობს მერის კაბინეტს და წარმართავს მის მუშაობას; კაბინეტის სხდომაზე განიხილავს ქალაქის საკრებულოს მიერ წარდგენილ წინადადებებს, განხილულ საკითხებზე გამოსცემს ბრძანებებს, განკარგულებებს და მათ შესრულებას ავსალებს მერიის სამსახურებს.

თბილისის მერს ნიშნავს და ათავისუფლებს რესპუბლიკის პრეზიდენტი მთავრობასთან შეთანხმებით.

მერის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

მერი ანგარიშვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის წინაშე.

**მუხლი 16.** მერის უფლებამოსილებანი

მერი:

ახორციელებს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საერთო ხელმძღვანელობას და აკონტროლებს მათ საქმიანობას; ქმნის მერის კაბინეტს, მერიის სამსახურებს, ნიშნავს მათ ხელმძღვანელებს;

უზრუნველყოფს კოლეგიულობას მერის კაბინეტის მუშაობაში, პირადად იღებს გადაწყვეტილებებს სახელმწიფო მმართველობის საკითხებზე, რომლებიც არ საჭიროებენ კაბინეტის სხდომებზე განხილვას;

შეიმუშავეს ქალაქის ბიუჯეტს (ბიუჯეტის ანგარიშს) და დასამტკიცებლად წარუდგენს საკრებულოს;

ანგარიშს აბარებს საქართველოს მთავრობასა და ქალაქის საკრებულოს ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

ახორციელებს ერთიან საფინანსო, საკრედიტო და ფულად პოლიტიკას ქალაქის ტერიტორიაზე;

წარუდგენს საკრებულოს წინადადებებს ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების, ბაჟების დაწესების, აგრეთვე ადგილობრივი სესხების, აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების შემოღებისა და გავრცელების შესახებ;

ქმნის ადგილობრივი მმართველობის განვითარებისათვის საჭირო ფონდებს, აგრეთვე სტიქიური უბედურებისა და კატასტროფების შედეგების სალიკვიდაციო ფონდებს;

მონაწილეობს ფასების ერთიანი პოლიტიკის განხორციელებასა და ფასების სისტემის სრულყოფაში;

საქალაქო ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებულ შემოსავალს ახმარს ქალაქის მეურნეობის სოციალურ-კულტურული და სხვა აუცილებელი ღონისძიებების დაფინანსებას;

იღებს გადაწყვეტილებებს ადგილობრივ საკუთრებაში შემავალი სამრეწველო საწარმოების ორგანიზაციის, რეორგანიზაციისა თუ ლიკვიდაციის, ფირმების, გაერთიანებების და სხვა სამეურნეო-ეკონომიკური სტრუქტურების შექმნის შესახებ;

იღებს ზომებს ქართული ხალხური მხატვრული სარეწებისა და სახელოსნოების ქსელის განვითარებისათვის;

ორგანიზაციას უწევს ქალაქის გენერალური გეგმისა და გარეუბნის ზონების დაგეგმარების პროექტების შემუშავებას, კაბინეტის სხდომაზე განიხილავს ამ პროექტებს და დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარუდგენს რესპუბლიკის მთავრობას;

ამტკიცებს ქალაქის, რაიონების, მიკრორაიონებისა და ქალაქმშენებლობის სხვა კომპლექსების დეტალური დაგეგმარებისა და განაშენიანების, საინჟინრო ნაგებობათა და კეთილმოწყობის პროექტებს, განაშენიანების წესებს გენერალური გეგმის შესაბამისად;

კონტროლს უწევს ქალაქის ტერიტორიაზე წარმოებულ მშენებლობას, კრძალავს ან აჩერებს საბინაო-სამოქალაქო და საწარმოო დანიშნულების ობი-

ექტების მშენებლობას, თუ მათი ნორმები არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს;

ორგანიზაციას უწევს საბინაო, კომუნალურ, საგზაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის და სხვა ობიექტების მშენებლობას მერიისათვის გამოყოფილი სახსრებით. აღნიშნული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის თანხმობით, საჭიროების შემთხვევაში, წყვეტს გამოყოფილი სახსრების გაერთიანების საკითხებს, თვითონ ხდება დამკვეთი ან განსაზღვრავს დამკვეთს;

ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილ სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ფარგლებში საქალაქო დაქვემდებარების მშენებლობის ობიექტების პროექტებსა და სატიტულო სიებს;

დადგენილი წესით აწარმოებს საცხოვრებელი სახლების, კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, სოციალური უზრუნველყოფისა და საქალაქო დაქვემდებარების სხვა ობიექტების რეკონსტრუქციის, გაფართოებისა და კეთილმოწყობის სამუშაოებს;

ნიშნავს სახელმწიფო მიმღებ კომისიებს, შესაბამისი მოადგილეების მეშვეობით განიხილავს და ამტკიცებს ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების აქტებს;

ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს ქალაქის ტერიტორიის მთელი მიწის გამოყენებაზე, მიწათმოსარგებლეთა მიერ მიწის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაზე;

კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში და წესით ახორციელებს სახელმწიფო მმართველობას და სახელმწიფო კონტროლს ქალაქის ტერიტორიაზე წყლით, ტყით, წიაღისეულით, ატმოსფერული ჰაერით და ცხოველთა სამყაროთი სარგებლობისა და მათი დაცვის დარგში;

საჭიროების შემთხვევაში ქმნის არასაბიუჯეტო ფონდებს თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად და კომპლექსურად გამოყენებისათვის;

საჭიროების შემთხვევაში აუქმებს მერიისადმი დაქვემდებარებული მმართველობის ორგანოების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და სხვა დაწესებულებების ხელმძღვანელების ბრძანებებს, განკარგულებებსა და ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებას.

#### **მუხლი 17. მერის აქტები**

მერი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს განკარგულებებსა და ბრძანებებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა მთელ ქვემდებარე ტერიტორიაზე.

მერის აქტი, რომელსაც აქვს ნორმატიული ხასიათი, გამოიცემა ბრძანებების სახით, ხოლო ოპერატიულ და სხვა მიმდინარე საკითხებზე—განკარგულების სახით.

მერის აქტის გაუქმება შეუძლიათ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, მთავრობას და სასამართლოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში.

**მუხლი 18.** მერის პირველი მოადგილე

მერის წარდგინებით მის პირველ მოადგილეს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

მისდამი დაქვემდებარებული სამსახურების გარდა მერის არყოფნის შემთხვევაში პირველი მოადგილე ხელმძღვანელობს მერის კაბინეტის მუშაობას.

**მუხლი 19.** მერის მოადგილეები

ქალაქ თბილისის მერის მოადგილეებს მერის წარდგინებით ნიშნავს რესპუბლიკის მთავრობა.

მერის მოადგილეები, რომლებიც ამავე დროს არიან მერიის დეპარტამენტების ხელმძღვანელები, წარმართავენ თავიანთი სამსახურების საქმიანობას.

**მუხლი 20.** მერის კაბინეტი

მერის კაბინეტი არის მუდმივი სათათბირო ორგანო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და წინადადებებს მერისათვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად.

მერის კაბინეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კანონიერების, კოლეგიალობისა და საჯაროობის პრინციპებით.

დაუსშვებელია ნებისმიერი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის, თანამდებობისა და სხვა პირების ჩარევა და ზემოქმედება მერის კაბინეტის მუშაობაში.

მერის კაბინეტი ყალიბდება შემდეგი შემადგენლობით:

- 1) მერი;
- 2) ქალაქის საკრებულოს მდივანი;
- 3) მერის პირველი მოადგილე;
- 4) მერის მოადგილეები;
- 5) საქმეთა მმართველი;
- 6) იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი;
- 7) სხვა სამსახურების ხელმძღვანელები (მერის წარდგინებით);
- 8) ქალაქის რაიონის პრეფექტები.

**მუხლი 21.** თბილისის რაიონის პრეფექტურა

ქალაქ თბილისში რაიონის მმართველობის ადგილობრივი ორგანოა რაიონის პრეფექტურა, რომელსაც ხელმძღვანელობს პრეფექტი.

რაიონის პრეფექტს ქალაქის მერის წარდგინებით ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ქალაქის მერიისა და რაიონის პრეფექტურის ორგანიზაციულ სტრუქტურას, საქმიანობის წესსა და ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს მერიის დებულება, რომელსაც ამუშავებს ქალაქის მერი ქალაქის საკრებულოსთან შეთანხმებით და ამტკიცებს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ქალაქ თბილისის რაიონების პრეფექტურებზე ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის კანონი პრეფექტურის შესახებ.

**მუხლი 22.** ქ. თბილისის ადგილობრივი მმართველობის ეკონომიკური საფუძვლები

ადგილობრივი მმართველობის ეკონომიკური საფუძველია საკუთრების სხვადასხვა ფორმაზე დამყარებული მეურნეობა, რომელიც ადგილობრივი მმართველობის შემოსავლის წყარო და შესაბამისი ტერიტორიის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებაა.

ადგილობრივი საკუთრება შეიძლება იყოს: კომუნალური საბინაო ფონდი და საბინაო-კომუნალური მეურნეობა; კეთილმოწყობის ობიექტები; სატრანსპორტო საწარმოები; ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები; სახალხო განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები; ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები, ფასიანი ქაღალდები (აქციები, ობლიგაციები და ა. შ.); სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური ინფორმაცია; სხვა უძრავ-მოძრავი ქონება, აგრეთვე ინტელექტუალური პოტენციალი, რომელიც აუცილებელია შესაბამისი მმართველობის წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად.

ადგილობრივი საკუთრება იქმნება:

ადგილობრივი მმართველობისათვის სახელმწიფო საკუთრების გადაცემით კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად;

ადგილობრივი მმართველობის ორგანოს მიერ ახალი ობიექტების შექმნით ან შექმნით;

ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ დადებული გარიგებებით; საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის მიერ სამოქალაქო სამართლებრივი შედეგების წარმოშობასთან დაკავშირებულ ხდომილებათა შედეგად.

**მუხლი 23.** ადგილობრივი მეურნეობა

ადგილობრივ მეურნეობას შეადგენს ქვემდებარე ტერიტორიაზე განლაგებული ადგილობრივი საკუთრების ერთობლიობა, რომლის დანიშნულებაა ადგილობრივი მოსახლეობის საწარმოო საჭიროებებისა და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

ადგილობრივ მეურნეობაში შეიძლება შევიდეს საბინაო-კომუნალური მეურნეობის, კეთილმოწყობის, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სარემონტო-სამშენებლო, კავშირგაბმულობის, სამედიცინო, განათლების, კულტურის, საყოფაცხოვრებო, სატრანსპორტო, ბუნების დაცვის, სოციალური უზრუნველ-





ყოფის, სპორტული, რეკრეაციული, სხვა საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები.

ადგილობრივი მეურნეობის სტრუქტურას რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით ადგენს მერის კაბინეტი და ამტკიცებს მერი.

**მუხლი 24.** ადგილობრივი საფინანსო სისტემა

ადგილობრივ საფინანსო სისტემას შეადგენს: ადგილობრივი ბიუჯეტი, ბიუჯეტგარეშე სახსრები, ადგილობრივი მნიშვნელობის სპეციალური ფონდები, ადგილობრივი მმართველობის საკუთრების საწარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსები, აგრეთვე საწარმოების, ორგანიზაციებისა და კერძო პირების ნებაყოფლობითი შენატანები, რომლებიც გამოიყენება მოცემული ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად.

ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალში ჩაირიცხება ადგილობრივ მეურნეობაში შემავალი საწარმოების, დაწესებულებების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების გადასახადები და ჯარიმები, შემოსავალი მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ქონების რეალიზაციიდან და იჯარიდან, სარეწაო, საკურორტო, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო საშუალებათა და თვითმავალი მექანიზმების, შენობის მფლობელობისა და მიწის გადასახადები, სატყეო შემოსავალი, სახელმწიფო ბაჟი და სხვა შემოსავალი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალში ჩაირიცხება ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლიდან, ბრუნვის გადასახადი, მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადი და სხვა გადასახადები. ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოები და ორგანიზაციები, მათი საკუთრების ფორმის მიუხედავად, ადგილობრივ ბიუჯეტში იხდიან გადასახადებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქალაქ თბილისის საქალაქო და რაიონული ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს შეუძლიათ შექმნან ბიუჯეტგარეშე სახსრები საწარმოების, ორგანიზაციების კოოპერატივებისა და მოსახლეობის ნებაყოფლობითი შენატანებისაგან, ადგილობრივი მნიშვნელობის სესხების ობლიგაციების რეალიზაციისაგან, შესაბამის ტერიტორიაზე განხორციელებული ეკონომიკური და სოციალური ღონისძიებებიდან მიღებული შემოსავლისაგან, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში მთ მიერ დაწესებული სხვადასხვა გადასახადისაგან, საქველმოქმედო შემოწირულობისაგან.

საზოგადოებრივ-ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოს წარდგინებით, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მერი და რაიონის პრეფექტები უფლებამოსილი არიან ცალკეულ გადახდებებს დაუდგინონ გადასახადისა და ბეგარის შეღავათიანი გადახდის პირობები, იმ ანარიცხების გათვალისწინებით, რომლებიც საჭიროა შესაბამისი ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაფინანსებისათვის.

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები მოხმარდება განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კეთილმოწყობის, ფიზიკური კულტურის და სპორტის, ადგილობრივი მეურნეობის განვითარებას, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ქალაქისა და ქალაქის რაიონების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაჯანსაღებას და სხვა ღონისძიებათა დაფინანსებას, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შენახვის საბანკო კრედიტისა და სხვა სესხების დაფარვას, თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოებისათვის საბიუჯეტო სესხს, დოტაციას, სუბვენციას და სუბსიდიას. ასევე ეს სახსრები მოხმარდება სხვა ღონისძიებებს, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება ადგილობრივი ბიუჯეტებით დაფინანსებას საკრებულოსა და პრეფექტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის ზუსტი შესაბამისობით. ცვლილებების შეტანა შესაძლებელია გამონაკლის შემთხვევაში, მათ მიერ სხვა სახის ხარჯების შემცირების ან მიღებულ ეკონომიის ფარგლებში.

ქალაქ თბილისის მერი განსაზღვრავს დედაქალაქის ბიუჯეტს და ითვლისწინებს რაიონის საკრებულოების შესანახ ხარჯებს.

ქალაქ თბილისის მერი, რაიონების პრეფექტები და საკრებულოები საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართავენ საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას და ქმნიან სავალუტო ფონდებს, რომელთა ჩამოყალიბებაში მონაწილეობას იღებენ მათ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოები და ორგანიზაციები. სავალუტო ფონდის გამოყენების მიმართულებებს განსაზღვრავს ადგილობრივი მმართველობის შესაბამისი ორგანოს სხდომა.

ურთიერთობა რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის წესრიგდება საბიუჯეტო უფლებებისა და გადასახადების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონით.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 10 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**612** „საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის მმართველობის უზენაესი საბჭოს საქართველოს რესპუბლიკის კანონის საფუძველზე შემოღების თაობაზე“

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის მმართველობის უზენაესი საბჭოს საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს მიღებისთანავე.“

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 10 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**613** 1991 წლის 19-21 აპრილს მოვლენათა პოლიტიკური შედეგების შესახებ

მოისმინა რა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზ. გამსახურდიას მოხსენება 1991 წლის 19-21 აგვისტოს მოვლენათა პოლიტიკური შედეგების შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო:

მიესალმება რუსეთის დემოკრატიული ძალების შთამბეჭდავ გამარჯვებას, რამაც მომავალში უნდა დააჩქაროს კომუნისტური რეჟიმის დემონტაჟი და საბჭოთა იმპერიის რღვევა;

თანაუგრძნობს უთანასწორო ბრძოლაში დაცემულთა ოჯახებს;

გმობს დიქტატურისა და ტოტალიტარიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, აგრეთვე სამხედრო ძალის გამოყენებას მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მოუწოდებს ყველა დემოკრატიულ ძალას კონსოლიდაციისაკენ სხელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად და ხალხის საკეთილდღეოდ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 26 აგვისტო.

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

#### დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა

**614** 1991 წლის 19-21 აგვისტოს სსრ კავშირში მიმდინარე მოვლენების დროს საქართველოს კვანძოვანი კომიტეტის ბიუროს, ავსტრალიის კვანძოვანი კომიტეტის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის კვანძოვანი კომიტეტისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა გაუქმებული საბჭოს თვითმარქვია აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედებათა შესახებ

1991 წლის 19-21 აგვისტოს სსრ კავშირში ადგილი ჰქონდა თვით სსრ კონსტიტუციის უხეში დარღვევით მომხდარ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას, რასაც მოჰყვა სსრკ ხელისუფლების მიერ შექმნილ ჯანსაღ ორგანიზაციათა გააქტიურება სსრკ მოსაზღვრე სუვერენულ სახელმწიფოებში. ასეთ მოქმედებებს მოჰყვა კონსტიტუციური სახელმწიფო წყობილების დამახობის მიზნით პირდაპირი სამხედრო ჩარევა და ჩარევის მცდელობა ბალტიის რესპუბლიკებსა და საქართველოში.

საქართველოს კომპარტიის რესპუბლიკური (საქართველოს, აფხაზეთის ასსრ) და ე. წ. სამხრეთ ოსეთის საოლქო ორგანოების განცხადებები, რომლებიც ისინი მხარს უჭერენ სსრკ-ში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ორგანიზატორ დამნაშავეთა ჯგუფს, ფაქტობრივად წარმოადგენენ პირდაპირ მიმართვას სხვა სახელმწიფოს უკანონო ხუნტისადმი სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის შინაურ საქმეებში სამხედრო ჩარევის მოთხოვნით, რისი მიზანიც იყო კონსტიტუციური წყობილების დამხობა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა გაუქმებული საბჭოს თვითმარქვია აღმასრულებელი კომიტეტის „საქმიანობა“. როგორც ცნობილია, უკვე რვა თვეა, რაც დამნაშავეთა ამ ჯგუფმა სსრკ შეიარაღებული ძალების უკანონო მხარდაჭერით მიითვისა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ფუნქცია შიდა ქართლის ტერიტორიის ერთ ნაწილზე, რის გამოც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ და პრეზიდენტმა არაერთხელ მიმართეს პროტესტით სსრ კავშირისა და მსოფლიოს შესაბამის ორგანოებს. სსრკ „კომპეტენტური“ ორგანოების დანაშაულებრივი მოქმედებების გამო ეს უკანონობა დღემდე გრძელდება, ხოლო ამ პირებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რას წარმოადგენენ, როდესაც სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს ე. წ. სსრკ საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. აიკრძალოს საქართველოს კომუნისტური პარტია და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი მოქალაქეთა ყველა კომუნისტური გაერთიანება, შეწყდეს მათი ორგანოების ფუნქციონირება.

2. ნაციონალიზებულ იქნეს საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი მოქალაქეთა ყველა კომუნისტური გაერთიანების ქონება და იგი გამოცხადდეს საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად.

3. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ უზრუნველყოს საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი მოქალაქეთა ყველა კომუნისტური გაერთიანების ქონებისა და ფულადი სახსრების მიღება-ჩაბარება.

4. საქართველოს რესპუბლიკის ბანკებმა შეაჩერონ საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი მოქალაქეთა ყველა კომუნისტური გაერთიანების, მათი პირველადი, რაიონული, საქალაქო, საოლქო, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების ანგარიშსწორების (მიმდინარე) ანგარიშებიდან ყოველგვარი ოპერაციები.

5. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ განიხილოს და გადაწყვიტოს იმ პირთა იურიდიული პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც 1991 წლის 19-21 აგვისტოს სსრ კავშირში მიმდინარე მოვლენების დროს საქართველოს რესპუბლიკის მიმართ ჩაიდინეს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებები.

6. შეჩერდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში საქართველოს კომპარტიისაგან არჩეულ დეპუტატთა უფლებამოსილება; სამანდატო და დეპუტატის ეთიკის კომისიამ მოამზადოს და სესიის მომდევნო სხდომაზე დააყენოს ამ დეპუტატების უფლებამოსილების საკითხი.

7. არ დაიშვას მოქალაქეთა დევნა ან დისკრიმინაცია მათი კომუნისტური პარტიის წევრობის გამო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აბაბი ახატიანი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

**615** საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შემოღებული  
გინა და მასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის  
კონსტიტუციური ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ნაცვლად შემოღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, როგორც საქართველოს რესპუბლიკის აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანო.

II. საქართველოს რესპუბლიკაში მინისტრთა კაბინეტის, როგორც საქართველოს რესპუბლიკის აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოს, შემოღებასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კანონის ყველა მუხლში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა“, „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე“, შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი“, „საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი“.

2. 104-ე მუხლში:

ა) მე-18 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„18) საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს მის მიერ წარმოდგენილი საპროგრამო განცხადების განხილვის შემდეგ“.

ბ) 22-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„22) თანხმობას აძლევს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბებაზე, მის შემადგენლობაში ცვლილებების, პრემიერ-მინისტრისა და მინისტრთა კაბინეტის წევრების თანამდებობიდან გათავისუფლების ან გადადგომის შესახებ“.

გ) 23-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„23) რეგულარულად ისმენს მის მიერ შექმნილი ან არჩეული ორგანოების, აგრეთვე მის მიერ დანიშნულ ან არჩეულ თანამდებობის პირთა ანგარიშებს, წყვეტს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისა და მინისტრთა კაბინეტის ცალკეული წევრებისადმი ნდობის საკითხს“.

3. 121<sup>4</sup> მუხლში:

ა) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით აყალიბებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს და შეაქვს მის შემადგენლობაში ცვლილებები, უზენაეს საბჭოს წარუდგენს კანდიდატურას პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დასამტკიცებლად, უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით ათავისუფლებს თანამდებობიდან პრემიერ-მინისტრსა და მინისტრთა კაბინეტის წევრებს“.

ბ) მუხლს დაემატოს მე-6<sup>1</sup> და 6<sup>2</sup> პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6<sup>1</sup>) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოში შეაქვს წინადადებები სამინისტროების შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ“.

„6<sup>2</sup>) თავმჯდომარეობს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომებს“.

4. 123-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი შედგება საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის, მისი მოადგილეებისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრებისაგან. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით.“

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადით და თავის უფლებამოსილებას იხსნის საქართველოს რესპუბლიკის ახლადარჩეული პრეზიდენტის წინაშე“.

5. 124-ე მუხლში:

ა) მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 ნაწილი:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ინიციატივით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თუ მისი ცალკეული წევრისთვის უნდობლობის გამოცხადებას მხარი უნდა დაუჭიროს უზენაესი საბჭოს წევრთა საერთო რიცხვის ორმა მესამედმა მაინც, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ან პრემიერ-მინისტრის ინიციატივით მინისტრთა კაბინეტის ნდობის საკითხს — უზენაესი საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტმა“.

ბ) მე-5 ნაწილი ჩაითვალოს მე-6 ნაწილად.

III. ეს კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

**616** საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის კომპეტენციას, მისი საქმიანობის წესსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობას.

თ ა ვ ი I

**ზოგადი დებულებანი**

**მუხლი 1.** საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი საქართველოს რესპუბლიკის აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოა

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი საქართველოს რესპუბლიკის აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოა და ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი უფლებამოსილია გადაწყვიტოს სახელმწიფო მმართველობის ყველა საკითხი, თუ ისინი, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტების თანახმად არ განეკუთვნებიან საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კომპეტენციას.

**მუხლი 2.** კანონმდებლობა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის კომპეტენციას, მისი საქმიანობის წესს და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, ეს კანონი და სხვა საკანონმდებლო აქტები, ხოლო მინისტრთა კაბინეტის ამოცანებს—აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებები.

**მუხლი 3.** საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კანონიერების, საჯაროობის, კოლექტივობისა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების პრინციპებით.

**მუხლი 4.** საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებანი

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი გამოსცემს დადგენილებებსა და განკარგულებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ყველა ორგანოს, ორგანიზაციის, თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის.



საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებისა და განკარგულებების გაუქმების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აკონტროლებს და ამოწმებს თავისი გადაწყვეტილებების შესრულებას უშუალოდ ან მისდამი დაქვემდებარებული ორგანოების მეშვეობით.

## თ ა ვ ი II

### საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შექმნა და შემადგენლობა

#### მუხლი 5. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შექმნის წესი

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით აყალიბებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი. ასეთივე წესით ხდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის შეცვლა.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

თუ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო არ დაეთანხმება პრემიერ-მინისტრის და კაბინეტის წევრის თანამდებობაზე წამოყენებულ კანდიდატურას, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი უზენაეს საბჭოს განსახილველად წარუდგენს ახალ კანდიდატურას.

#### მუხლი 6. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი შედგება საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის, მისი მოადგილეებისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრებისაგან.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები.

#### მუხლი 7. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საქმიანობის პროგრამა

საქართველოს რესპუბლიკის ახლად შექმნილი მინისტრთა კაბინეტი საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს განსახილველად წარუდგენს მომავალი საქმიანობის პროგრამას თავისი უფლებამოსილების ვადისათვის.

პრემიერ-მინისტრი კაბინეტის მომავალი საქმიანობის პროგრამას მოახსენებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

**მუხლი 8.** საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის უფლებამოსილების ვადა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადით და თავის უფლებამოსილებას იხსნის საქართველოს რესპუბლიკის ახლად არჩეული პრეზიდენტის წინაშე.

### თ ა ვ ი III

**საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ურთიერთობა საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოებთან**

**მუხლი 9.** საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი თავისი საქმიანობის შესახებ წელიწადში ერთხელ მაინც ანგარიშს აბარებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს უფლება აქვს კაბინეტის ცალკეულ წევრს მოსთხოვოს ანგარიში. მისი საქმიანობის არადაამკმაყოფილებლად შეფასებისას შეიძლება დაისვას კაბინეტის წევრის დაკავებულ თანამდებობაზე დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს შეუძლია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს გამოუცხადოს უნდობლობა, რაც გამოიწვევს კაბინეტის გადადგომას. დადგენილება ამ საკითხზე მიიღება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთა საერთო რიცხვის არანაკლებ ორი მესამედით.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს აქვს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

**მუხლი 10.** საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საქმიანობა საქართველოს რესპუბლიკის კანონების საფუძველზე და მათ შესასრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს რესპუბლიკის კანონების, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებებისა და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აქტების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკის კანონების, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებებისა და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აქტების შესრულებას. ამ მიზნით იგი ახორციელებს

სისტემატურ კონტროლს სამინისტროებისა და მისდამი დაქვემდებარებული სხვა ორგანოებისადმი.

**მუხლი 11.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრისა და კომისიის შეკითხვებზე პასუხები

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ან კაბინეტის წევრი, რომელსაც სესიის მიმდინარეობის დროს შეკითხვით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრმა, წევრთა ჯგუფმა ან კომისიამ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ან მისდამი დაქვემდებარებული ორგანოს საქმიანობის შესახებ, ვალდებულია კანონით დადგენილი წესით ზეპირად ან წერილობით უპასუხოს მათ.

**მუხლი 12.** საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების რეკომენდაციებისა და წინადადებების განხილვა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი განიხილავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების რეკომენდაციებსა და წინადადებებს კაბინეტის საქმიანობის საკითხებზე და ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ რეკომენდაციებისა და წინადადებების განხილვის შედეგებისა და მიღებული ზომების შესახებ ეცნობება მუდმივ კომისიას მათ მიერ დადგენილ ვადაში.

**მუხლი 13.** საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადადგომის უფლება

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს განუცხადოს თავისი გადადგომის შესახებ. გადადგომის შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი თავის მოვალეობას ასრულებს საქართველოს რესპუბლიკის ახალი მინისტრთა კაბინეტის შექმნამდე.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის გადადგომა არ იწვევს მთლიანად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადადგომას.

**მუხლი 14.** საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ნდობის საკითხი

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს და საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს უფლება აქვთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დააყენონ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ნდობის საკითხი.

გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ნდობის შესახებ მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

თუ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს ნდობას არ გამოუცხადებს, მინისტრთა კაბინეტი უნდა გადადგეს.

**მუხლი 15.** საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მონაწილეობა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუშაობაში საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს და კაბინეტის წევრებს უფლება აქვთ დაესწრონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიებს, მუდმივ კომისიათა სხდომებს და გამოთქვან მოსაზრებები განსახილველ საკითხებზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრების მიერ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ან მისი წევრების საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების დაყენებისას პრემიერ-მინისტრს უფლება აქვს მოითხოვოს საჭირო განმარტება ამ საკითხებზე.

თ ა ვ ი IV

**საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ურთიერთობა ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ორგანოებთან**

**მუხლი 16.** საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ურთიერთობა ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ახორციელებს ერთობლივ საქმიანობას ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ეკონომიკური და სოციალური განვითარების დარგში.

ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება აქვთ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის განსახილველად შეიტანონ წინადადებანი საერთო რესპუბლიკური მნიშვნელობის საკითხებზე, რომელთა განხილვა სავალდებულოა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვს შეაჩეროს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულება.

**მუხლი 17.** ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებს შორის უთანხმოების მოწესრიგება

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი განიხილავს უთანხმოებას ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებს ან მისდამი დაქვემდებარებულ სხვა ორგანოებს შორის.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წინადადებით შეუძლია განიხილოს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შორის წარმოშობილი უთანხმოება.



**მუხლი 18.** საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ურთიერთობა სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი თავისი უფლებამოსილების შესაბამისად:

წარმართავს და ამოწმებს რესპუბლიკის მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მუშაობას; იძლევა თანხმობას პრეფექტების, თბილისის მერის დანიშვნასა და გათავისუფლებაზე; რესპუბლიკის პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენს პრეფექტურების სტრუქტურას;

სათანადო დადგენილებით აჩერებს პრეფექტების, თბილისის მერის განკარგულებებისა და ბრძანებების შესრულებას, თუ ისინი ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას;

მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად ორგანიზაციას უწევს სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტების (საწარმოო ინფრასტრუქტურის) მართვას.

თ ა ვ ი V

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის  
კომპეტენცია

**მუხლი 19.** საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ძირითადი უფლებამოსილებანი

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი:

წარმართავს სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას; ხელს უწყობს საკუთრების ფორმების მრავალგვარობის დამკვიდრებას. სამეწარმეო აქტივობის ამძღვრებას; ახორციელებს მომხმარებელთა ინტერესების დაცვის ღონისძიებებს, ატარებს მოსახლეობის სოციალური დაცვის პოლიტიკას; ორგანიზაციას უწევს სახელმწიფო და ადგილობრივ საკუთრებაში მყოფი საწარმოებისა და სოციალურ-კულტურული ობიექტების უშუალო სახელმწიფოებრივ მართვას; უზრუნველყოფს აღრიცხვა-ანგარიშგებისა და სტატისტიკის ერთიანი სისტემის ორგანიზაციას; ატარებს ერთიან ფულად-საკრედიტო და საგადასახადო პოლიტიკას;

შეიმუშავებს და წარმართავს პრივატიზების სახელმწიფო პროგრამას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად. არეგულირებს სახელმწიფოსა და შერეული ან კერძო კაპიტალით შექმნილ საწარმოო სექტორს შორის ურთიერთობას;

შეიმუშავებს და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად შეაქვს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზები და პროგრამები, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, უზრუნველყოფს ბიუჯეტის შესრულებას, ამუშავებს პროექტებსა და პროგრამებს სამეურნეო და სოციალური განვითარების პრიორიტეტების მიხედვით, უზრუნველყოფს მათ შესრულებას. კონტროლს უწევს რესპუბლიკაში განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა, აგრეთვე რესპუბლიკის გარეთ განლა-

გებული საქართველოს რესპუბლიკის საკუთრების ობიექტების საქმიანობას.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში მინისტრთა კაბინეტი:

ახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო ინტერესების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა და მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებების უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველსაყოფად და დასაცავად, სახელმწიფო უშიშროების უზრუნველსაყოფად და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად, უცხოეთის სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური, კულტურული, სამეცნიერო და სხვა ურთიერთობის დასამყარებლად და გასაფართოებლად;

კოორდინაციას უწევს საქართველოს რესპუბლიკის კანონების შესაბამისად და ამოწმებს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მუშაობას.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში წყვეტს სახელმწიფო მმართველობის სხვა საკითხებს.

**მუხლი 20.** საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისადმი დაქვემდებარებული სხვა ორგანოების ხელმძღვანელობის ზოგადი საკითხები

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი წარმართავს სამინისტროებისა და მისდამი დაქვემდებარებული სხვა ორგანოების საქმიანობას უშუალოდ ან ამისათვის სპეციალურად შექმნილი კომისიების მეშვეობით.

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებსა და სახელმწიფო მმართველობის სხვა ცენტრალურ ორგანოებში სახელმწიფო მმართველობის საკითხების შეთანხმებული გადაწყვეტისათვის იქმნება კოლეგიები, რომელთა შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოების ხელმძღვანელები.

საქართველოს რესპუბლიკის კომიტეტებსა და დეპარტამენტებს ქმნის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი მინისტრთა კაბინეტის წინადადებითა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თანხმობით. ასეთივე წესით ხდება მათი რეორგანიზაცია და გაუქმება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აუცილებლობის შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტთან შეთანხმებით ქმნის მთავარ სამმართველოებს, კომისიებს, სახელმწიფო ინსპექციებსა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებულ სხვა ორგანოებს, აგრეთვე ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, ახდენს მათ რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტებისა და მინისტრთა კაბინეტისადმი დაქვემდებარებული სხვა ორგანოების დებულებებს (წესდებებს), მათი ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და რიცხოვნობას, აგრეთვე მათი შესანახი ასიგნებების ოდენობას ამ მიზნისათვის გამოყოფილი თანხების ფარგლებში.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლია მის კომპეტენციაში შემავალი სახელმწიფო მმართველობის ზოგიერთი საკითხი გადასაწყვეტად გადასცეს სამინისტროებსა და კაბინეტისადმი დაქვემდებარებულ სხვა ორგანოებს.

**მუხლი 21.** საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისადმი დაქვემდებარებული სახელმწიფო მმართველობის ორგანოების თანამდებობის პირთა დანიშვნა და ათავისუფლება

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ახორციელებს მისდამი დაქვემდებარებული სახელმწიფო მმართველობის ორგანოების თანამდებობის პირთა შერჩევას.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მის მიერ შექმნილი სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელებს.

კომიტეტისა და დეპარტამენტის ხელმძღვანელებს მინისტრთა კაბინეტის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრების და მინისტრთა კაბინეტისადმი დაქვემდებარებული ორგანოების ხელმძღვანელების წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრის მოადგილეებსა და მინისტრთა კაბინეტისადმი დაქვემდებარებული ორგანოების ხელმძღვანელთა მოადგილეებს, ამტკიცებს და ათავისუფლებს სამინისტროებისა და სხვა დაქვემდებარებული ორგანოების კოლეგიის წევრებს.

**მუხლი 22.** საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის კონტროლი საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებსა და მინისტრთა კაბინეტისადმი დაქვემდებარებული ორგანოების საქმიანობისადმი

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ახორციელებს კონტროლს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და მინისტრთა კაბინეტისადმი დაქვემდებარებული ორგანოებისადმი.

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროები და მინისტრთა კაბინეტისადმი დაქვემდებარებული ორგანოები ვალდებული არიან სრულად გამოიყენონ მათთვის მინიჭებული უფლება დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების განსახორციელებლად, რათა დამოუკიდებლად გადაწყვიტონ მათი გამგებლობის საკითხები.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვთ გააუქმონ სამინისტროებისა და მინისტრთა კაბინეტისადმი დაქვემდებარებული სხვა ორგანოების მიერ გამოცემული აქტები.

**მუხლი 23.** საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და სახელმწიფო მმართველობის სხვა ცენტრალური ორგანოების საქმიანობის საკითხები

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროები და სახელმწიფო მმართველობის სხვა ცენტრალური ორგანოები ხელმძღვანელობენ მათთვის მინდობილი სფეროს საქმიანობას, პასუხისმგებელი არიან იმ საკითხების გადაწყვეტაზე, რომლებიც მათ კომპეტენციას განეკუთვნება. თავიანთ საქმიანობაში, როგორც წესი, იყენებენ ეკონომიკურ მეთოდებს.

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროები და სახელმწიფო მმართველობის სხვა ცენტრალური ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ აქტებს საქართველოს რესპუბლიკის კანონების და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებების, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებების და განკარგულებების, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე. ორგანიზაციას უწევენ და ამოწმებენ მათ შესრულებას.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრებს და სახელმწიფო მმართველობის სხვა ცენტრალური ორგანოების ხელმძღვანელებს ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა სამინისტროებისა და სახელმწიფო მმართველობის სხვა ცენტრალური ორგანოების წინაშე მდგომი ამოცახების გადაწყვეტისათვის.

**მუხლი 24.** საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების ნუსხა

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროები;

არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა;

განათლების;

ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის;

ეკონომიკისა და ფინანსთა;

ელექტროენერგეტიკის;

ვაჭრობის;

იუსტიციის;

კავშირგაბმულობის;

კულტურის;

მატერიალური რესურსების;

მეცნიერებისა და ტექნიკის;

მრეწველობის;

საგარეო საქმეთა;

სოფლის, სატყეო მეურნეობისა და კვების მრეწველობის;

სპორტისა და ტურიზმის;

ტრანსპორტის;

შინაგან საქმეთა;

შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის;

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის.





**მუხლი 25.** საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული სამინისტროები, კომიტეტები და დეპარტამენტები

იუსტიციის, საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა სამინისტროები, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი და თავდაცვის დეპარტამენტი უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს.

თ ა შ ი VI

**საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მუშაობის ორგანიზაცია**

**მუხლი 26.** საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომები და სხდომებზე გადაწყვეტილებათა მიღების წესი

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომები მოიწვევა საჭიროების მიხედვით, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი უფლებამოსილია, თუ მის სხდომაში მონაწილეობს კაბინეტის წევრთა სულ მცირე ნახევარი;

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომებს თავმჯდომარეობს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, ხოლო მისი ნებართვით — პრემიერ-მინისტრი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომებზე გადაწყვეტილება მიიღება კაბინეტის წევრთა ხმების უმრავლესობით.

**მუხლი 27.** საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს მეთაურობს და მის საქმიანობას წარმართავს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი:

ორგანიზაციას უწევს მინისტრთა კაბინეტის მუშაობას;

ანაწილებს მოვალეობებს მოადგილეებს შორის და კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას; წარმომდგენლობს საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და საქართველოს რესპუბლიკის კანონების შესაბამისად;

იღებს გადაწყვეტილებებს სახელმწიფო მმართველობის საკითხებზე, რომლებიც მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე განხილვას არ საჭიროებენ.

უფლებამოსილია წაახალისოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრები და მისდამი დაქვემდებარებული ორგანოების სხვა თანამდებობის პირები, დაადოს მათ დისციპლინური სასჯელები.

პრემიერ-მინისტრს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით აქვს სხვა უფლებამოსილებანიც, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კანონითა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

**მუხლი 28.** საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეები

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეები მოვალეობა განაწილების შესაბამისად კოორდინაციას უწევენ სამინისტროებისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისადმი დაქვემდებარებულ სხვა ორგანოების მუშაობას, ახორციელებენ კონტროლს მათი საქმიანობისადმი და მათთან მითითებებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულების უზრუნველსაყოფად აგრეთვე მათი საქმიანობის სხვა საკითხებზე; წინასწარ განიხილავენ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში შესატან წინადადებებს, დადგენილებებისა და განკარგულებების პროექტებს.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის არყოფნის შემთხვევაში პრემიერ-მინისტრის მოვალეობას ასრულებს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე.

**მუხლი 29.** საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წევრები

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წევრები:

პასუხს აგებენ მათზე დაკისრებულ საქმიანობის სფეროსა და მთლიანად მინისტრთა კაბინეტის საქმიანობისათვის;

მონაწილეობას იღებენ მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე საკითხების განხილვაში;

შეუძლიათ შეიტანონ მინისტრთა კაბინეტში წინადადებები მინისტრთა კაბინეტის კომპეტენციაში შემავალი საკითხების განხილვის შესახებ;

აქვთ გადადგომის უფლება;

უფლება არა აქვთ დაიკავონ სხვა თანამდებობა საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში, ეწოდნენ სამეწარმეო და კომერციულ საქმიანობას.

მინისტრთა კაბინეტის წევრების ხელფასისა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველყოფას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

**მუხლი 30.** საჯაროობის უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საქმიანობაში

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისა და მისი ორგანოების სხდომაებში მათ მიერ დადგენილი წესით შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებმა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებათა პროექტები განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხებზე შეიძლება გამოტანილი იქნეს საზოგადოებრიობის განსახილველად.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე პროექტების მომზადებისა და გადაწყვეტილებათა რეალიზაციისას, საზოგადოებრივი აზრის გამოვლენის მიზნით მინისტრთა კაბინეტი ატარებს სოციოლოგიურ გამოკითხვას.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ან მისი ორგანოების მიერ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საკითხებზე მიღებულ გადაწყვე-

ტილებათა შესახებ ეცნობება ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებს, ტელევიზიასა და რადიოს.

**მუხლი 31.** საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებანი და განკარგულებანი

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებანი, რომელთაც ნორმატიული ხასიათი აქვთ, გამოიცემა დადგენილების სახით. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებები გამოქვეყნდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებათა კრებულში, ხოლო თუ აუცილებელია მათი ფართო და დაუყოვნებლივ გამოქვეყნება — მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებას ხელს აწერენ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი და მინისტრთა კაბინეტის კანცელარიის მმართველი.

გადაწყვეტილებანი ოპერატიულ ან სხვა მიმდინარე საკითხებზე გამოიცემა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის განკარგულების სახით, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ან მისი პირველი მოადგილე.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებები და განკარგულებები ძალაში შედის მათი მიღების მომენტიდან, თუ ამ აქტებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

პრემიერ-მინისტრის მოადგილე მისი გამგებლობის საკითხებზე იღებს გადაწყვეტილებას პრემიერ-მინისტრის მოადგილის მითითების ფორმით.

**მუხლი 32.** საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატი

ანალიზური, საინფორმაციო და სხვა მასალების მომზადებისათვის, შესაბამისი წინადადებების შესამუშავებლად დადგენილებათა და განკარგულებათა პროექტების მომზადებისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებათა შესრულების სისტემატურად შემოწმებისათვის იქმნება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატს სათავეში უდგას მინისტრთა კაბინეტის კანცელარიის მმართველი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტთან შეთანხმებით.

მინისტრთა კაბინეტის აპარატის ძირითად სტრუქტურულ ქვედანაყოფთა ხელმძღვანელებსა და მათ მოადგილეებს თანამდებობებზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მინისტრთა კაბინეტის აპარატის მუშაკების უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებული დებულება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატის სტრუქტურას, შტატებს, მუშაკების ხელფასის ანაზღაურების პირობებს, მატერიალურ-

საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფას და მათ შესანახ ხარჯებს განსაზღვრავს პრემიერ-მინისტრი მინისტრთა კაბინეტის შენახვისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაღებული თანხის ფარგლებში.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 26 აგვისტო.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს**

**დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა**

**617 „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ ძალაშია მიღებისთანავე.

2. „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ კანონთან საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანამდე საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედებენ ის საკანონმდებლო აქტები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან ამ კანონს.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა სამი თვის ვადაში წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წინადადება საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე;

უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებათა მოყვანა „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ კანონთან შესაბამისობაში;

უზრუნველყოს სამინისტროებისა და სახელმწიფო მმართველობის სხვა ცენტრალური ორგანოების ნორმატიული აქტების გადასინჯვა და გაუქმება, მათ შორის ინსტრუქციებისა, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ კანონს.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აბაპი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 26 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

**618** საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპრო-  
ცედურული კოდექსის ცვლილებათა და დამატებათა შეთანხმების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1964 წლის 20 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცედურული კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1964 წ., № 36, მუხ. 662) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 253-ე მუხლს დემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

„8) საჩივარი მოქალაქეთა პოლიტიკური ან საზოგადოებრივი გაერთიანების რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“.

2. 254-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„განსაკუთრებული წარმოების საქმეებს სასამართლო განიხილავს განმცხადებლისა და დაინტერესებული მოქალაქეების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, მოქალაქეთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანებების, სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების და მათი გაერთიანებების წარმომადგენელთა მონაწილეობით“.

3. დემატოს კოდექსს თავი 32<sup>1</sup> და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

თავი ოცდამეთორმეტე (პრიმა)

საჩივარი მოქალაქეთა პოლიტიკური ან საზოგადოებრივი გაერთიანების რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ

**მუხლი 291<sup>1</sup>.** საჩივრის შეტანა

მოქალაქეთა პოლიტიკური ან საზოგადოებრივი გაერთიანების ხელმძღვანელ ორგანოს, რომელსაც უმართებულოდ მიაჩნია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს უარი რეგისტრაციის თაობაზე, უფლება აქვს ამის შესახებ საჩივარი შეიტანოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში.

**მუხლი 291<sup>2</sup>.** საჩივრის განხილვა

სასამართლო საჩივარს განიხილავს ათი დღის ვადაში მოქალაქეთა პოლიტიკური ან საზოგადოებრივი გაერთიანების წარმომადგენლის და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლის მონაწილეობით. ამასთან მათი გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს საქმის გადაწყვეტას.

**მუხლი 291<sup>3</sup>.** სასამართლოს გადაწყვეტილება საჩივრის გამო

სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილებულია მოქალაქეთა პოლიტიკური ან საზოგადოებრივი გაერთიანების მოთხოვნა, აქტმებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებას მო-

ქალაქეთა პოლიტიკური ან საზოგადოებრივი გაერთიანების რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ და სავალდებულოდ ხდის მის რეგისტრაციას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **წვიამ გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 26 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**619** **ბ. კ. გუგუშვილის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად დამტკიცების შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:  
დამტკიცდეს ბესარიონ პაატას ძე **გუგუშვილი** საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **პაპაი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 26 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**620** **საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:  
თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **პაპაი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 26 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**621** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის კ. ვ. კაპანაძის სადამატარო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თუ უზენაესი საბჭოს წევრს უკავია თანამდებობა, რომელიც კანონით შეუთავსებელია უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილებასთან, მაშინ უზენაესი საბჭოს წევრს ვადამდე უწყდება დეპუტატის უფლებამოსილება.

აქედან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდატო და დეპუტატის ეტიკის მუდმივი კომისია შემოდის წინადადებით, რათა ვადამდე შეუწყდეს დეპუტატის უფლებამოსილება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივან კონსტანტინე ვახტანგის ძე კაპანაძეს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. ვადამდე შეუწყდეს დეპუტატის უფლებამოსილება კონსტანტინე ვახტანგის ძე კაპანაძეს;
2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურას შეისწავლოს კონსტანტინე ვახტანგის ძე კაპანაძის ორ შტატიან თანამდებობაზე სრული ანაზღაურებით მუშაობის საკითხი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაი ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**622** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის ს. ბ. რიგვაპას სადამატარო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“

საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თუ უზენაესი საბჭოს წევრს უკავია თანამდებობა, რომელიც კანონით შეუთავსებელია უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილებასთან, მაშინ უზენაესი საბჭოს წევრს ვადამდე უწყდება დეპუტატის უფლებამოსილება.

ბელია უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილებასთან, მაშინ უზენაესი საბჭოს წევრს ვადაძდე უწყდება დეპუტატის უფლებამოსილება.

აქედან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდატო და დეპუტატის ეთიკის მუდმივი კომისია შემოდის წინადადებით: რათა ვადაძდე შეუწყდეს დეპუტატის უფლებამოსილება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს სერგო ტარასის ძე რიგვაჯას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

ვადაძდე შეუწყდეს დეპუტატის უფლებამოსილება სერგო ტარასის ძე რიგვაჯას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაძე ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო.

### გ ა ნ უ მ ი ლ ე ბ ა მ ე ს ა მ

## 623    გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მიესალმება სლოვენელი ხალხის ბრძოლას თვითგამორკვევისათვის და ულოცავს მას დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას.

უზენაესი საბჭო იმედს გამოთქვამს, რომ სლოვენის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა გადაწყდება ძალის გამოყენების გარეშე, მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა მზად არიან დაუყოვნებლივ დაიწყონ მოლაპარაკება სლოვენის ხელისუფლებასთან ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ.

ჩვენს ქვეყნებს შორის საქმიანი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების დამყარება ხელს შეუწყობს ჩვენს ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობების გაღრმავებას, რომელსაც თავის დროზე საფუძველი ჩაუყარეს დამშობილებულმა ქალაქებმა ლუბლიანამ და თბილისმა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

თბილისი. 1991 წლის 10 აგვისტო.



საბჭოთა კავშირის საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით ცნობილი გახდა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მიხეილ გორბაჩოვის მიერ სსრკ პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების შეუძლებლობასთან დაკავშირებით სსრკ-ს პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას 1991 წლის 19 აგვისტოდან სსრკ კონსტიტუციის შესაბამისად შეუდგა სსრკ-ს ვიცე-პრეზიდენტი გენადი იანაევი. გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა საბჭოთა კავშირის ცალკეულ ადგილებში 6 თვის ვადით 1991 წლის 19 აგვისტოს 04 საათიდან მოსკოვის დროით. საგანგებო მდგომარეობის კონკრეტული რეგიონები მითითებული არ ყოფილა. შეიქმნა სსრკ-ში საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტი.

ეს განცხადებები საქართველოს ხელისუფლებისათვის მოულოდნელი იყო. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნიათ, რომ შექმნილ ვითარებაში მთავარია შევინარჩუნოთ სიმშვიდე, წესრიგი და დისციპლინა.

მოგმართავთ საქართველოს რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს გაითვალისწინოთ შექმნილი ვითარება, ერთიანი შეთანხმებული მოქმედების აუცილებლობა.

მოგიწოდებთ, ყველანი ვიყოთ სამუშაო ადგილებზე, შევასრულოთ სამსახურებრივი მოვალეობა, არ ავყვეთ პროვოკაციებს, არ დაეუშვათ თვითნებური მოქმედება, დავემორჩილოთ საქართველოს ხელისუფლების ორგანოთა განკარგულებებს.

დარწმუნებულნი ვართ, რომ მხოლოდ ამგვარად შევძლებთ ჩვენს რესპუბლიკაში სამოქალაქო სიმშვიდისა და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას.

იმედია საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობა გამოიჩინს მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებულობასა და პასუხისმგებლობას.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი.**

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.**

**საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.**

თბილისი. 1991 წლის 19 აგვისტო.

# 625 საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიხარტვა დასავ- ლეთის კვანების ხალხებისა და მთავრობებისადმი

ს ა ბ ჯ ო თ ა კავშირში შეიქმნა არასტაბილური სიტუაცია, რომლის გავონ-  
ტროლება ახლო მომავალში შესაძლოა შეუძლებელი გახდეს.

მოვლენათა ასეთი განვითარება ყოველთვის გარდაუვალია ტოტალიტა-  
რულ იმპერიაში, სადაც იწყება დიდი ლიბერალიზაცია. ასეთი მოვლენების  
პირისპირ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დასავლეთის სახელმწიფოთა  
პრინციპულ პოზიციას, უკომპრომისო შეფასებას ყოველივე იმისა, რაც ხდება,  
აგრეთვე აქტიურ დიპლომატიურ თუ სხვაგვარ მოქმედებას. დასავლეთი არ  
უნდა იყოს პასიური მაყურებლის როლში. პოლიტიკური შეფასება მომხდარი  
გადატრიალებისა ძალზე რთულია, ვინაიდან ჯერჯერობით არ არის ნათელი  
ნამდვილი გადატრიალება ეს, თუ მხოლოდ გარიგება ან შოუ, რომლისგანაც  
პოლიტიკური დივიდენტების მიღებას მიეღტვიან ცალკეული სახელმწიფო  
ლიდერები.

მთავარზე უმთავრესია დასავლეთმა მხარი დაუჭიროს საქოთა კავშირში  
მხოლოდ ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას, დემოკრატიას, პლურალიზმის  
დამკვიდრებას.

შექმნილი არასტაბილური მდგომარეობა, რეაქციული ძალების შესაძლო  
გამარჯვება, საფრთხეს უქადის უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირში შემა-  
ვალ იმ რესპუბლიკებს, რომლებიც იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის, თავი-  
სუფლებისათვის, და რომელთაც ჰყავთ ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი  
და პრეზიდენტი. ისინი უშუალო სამხედრო აგრესიის საფრთხის წინაშე დგა-  
ნან.

ამიტომ მე მოვუწოდებ დასავლეთის მთავრობებს, უწინარეს ყოვლისა,  
ამერიკის შეერთებულ შტატებს, სასწრაფოდ და გადაუდებლად დე ფაქტო და  
დე იურე ცნონ ამ რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს დამოუკიდებ-  
ლობა და დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარონ მათთან, რათა დაიცვან  
ქეშმარიტად დემოკრატიული რეფორმების მონაპოვარი ამ ქვეყნებში.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად ბამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 20 აგვისტო.

**626 უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაეს  
საბჭოს**

პატივცემულო დეპუტატებო!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ულოცავს უკრაინელ ხალხს უკრაინის პარლამენტის მიერ დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებას. ამ აქტით კიდევ ერთხელ დადასტურდა უკრაინელი ხალხის მისწრაფება თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ. გამოვთქვამთ იმედს, რომ უახლოეს ხანში ორ სუვერენულ სახელმწიფოს — საქართველოსა და უკრაინას შორის დამყარდება დიპლომატიური ურთიერთობა, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს ხალხებს შორის არსებულ მეგობრულ ტრადიციებს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო.

**627 ესტონეთის რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს**

პატივცემულო დეპუტატებო!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, მთელი ქართველი ხალხი მიესალმება ესტონელი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის, ულოცავს მას ესტონეთის უმაღლესი საბჭოს მიერ 1991 წლის 21 აგვისტოს ესტონეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ცნობს ესტონეთის რესპუბლიკას დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ და საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან სუბიექტად. მზად არის ნებისმიერ დროს დაიწყოს მოლაპარაკება ესტონეთის ხელისუფლებასთან ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების მიზნით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო.

### 628 ლატვიის რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს

პატივცემულო დეპუტატებო!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, მთელი ქართველი ხალხი მიესალმება ლატვიის ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის, ულოცავს მას ლატვიის უმაღლესი საბჭოს მიერ 1991 წლის 21 აგვისტოს ლატვიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ცნობს ლატვიის რესპუბლიკას დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ და საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან სუბიექტად. მზად არის ნებისმიერ დროს დაიწყოს მოლაპარაკება ლატვიის ხელისუფლებასთან ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების მიზნით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო.

### 629 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიის მიმართვა ეროვნული გვარდიისადმი

ყოველმა ჩვენგანმა კარგად უწყის, როდენ დიდი საფრთხე დაემუქრა საქართველოს მიმდინარე წლის 19-21 აგვისტოს მოსკოვში მოწყობილი კომუნისტური პუტჩის გამო. თბილისში საგანგებო მისიით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ჟურავლიოვი, რომელმაც პირდაპირ გამოაცხადა, რომ საბჭოთა ჯარის ნაწილებს მიცემული აქვთ ბრძანება საქართველოს ეროვნული გვარდიის განადგურების შესახებ.

გვარდიის გადარჩენისა და საერთოდ მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი გახდა სასწრაფოდ მიგველო გადაწყვეტილება ეროვნული გვარდიისათვის სტატუსის დროებითი შეცვლის თაობაზე. ეს გახლდათ ტაქტიკური ნაბიჯი, რომლის წყალობითაც შენარჩუნებულ იქნა მშვიდობა და სტაბილურობა საქართველოში.

ამჟამად, როდესაც მდგომარეობა შეიცვალა, ეროვნულ გვარდიას უბრუნდება სამშობლოს დაცვის უმთავრესი ფუნქცია. ამასთანავე, უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიაზე საკანონმდებლო აქტით დამტკიცდა თავდაცვის დეპარტამენტის შექმნა, რაც თავისთავად კიდევ უფრო განამტკიცებს ეროვნული გვარდიის მაღალ სტატუსს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოგიწოდებთ დაბრუნდეთ ყაზარმებში და კეთილსინდისიერად აღასრულოთ თქვენი ვალი სამშობლოს წინაშე. ღრმად



გვწამს თითოეული თქვენგანი გულისხმიერებით მოეციდება რესპუბლიკის პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოს მოწოდებას. ამასთან გაცნობებთ, რომ გარანტირებულია ყოველი თქვენგანის ხელშეუხებლობა, არავის დაედება დისციპლინური სასჯელი.

ღმერთი იყოს თქვენი და სრულიად საქართველოს მფარველი!

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო.

### **საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის სხდომაში**

2 აგვისტოს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველი სესიის მორიგი სხდომა. სხდომა გახსნა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რესპუბლიკის მთავრობის წევრები, აგრეთვე ქალაქებისა და რაიონების პრეფექტები. დღის წესრიგის საკითხთა განხილვის დაწყების წინ გაკეთდა განცხადება სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების სახელით უზენაესი საბჭოსა და მისი თავმჯდომარის საქმიანობის თაობაზე.

უზენაესმა საბჭომ განიხილა და მიიღო საქართველოს რესპუბლიკის კანონთა პაკეტი-ეროვნული ბანკის შესახებ, ბანკებისა და საბანკო საქმიანობის თაობაზე, ფულადი საკრედიტო რეგულირების შესახებ, დადგენილება მათი სამოქმედოდ შემოღების თაობაზე. სხდომაზე განიხილეს კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ და მიიღეს მეორე მოსმენით. პირველი მოსმენით მიიღეს კანონები მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებებისა და სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ. მიიღეს კანონი სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.

ასევე მიიღეს დადგენილებები ჯავის რაიონსა და ცხინვალში სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შესახებ, ნოდარ წულეისკირისა და არკადი მარკოზიას სადებუტატო უფლებამოსილების ცნობის, თენგიზ კიტოვანის, იოსებ ბარათაშვილისა და შალვა წინწილაშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე. განხილულ და მიღებულ იქნა სხვა საკითხებიც.

განყოფილება „სხვადასხვაში“ აღძრეს რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ცალკეული საკითხები. დღის წესრიგის ზოგიერთი საკითხი გადაიდო.



9 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგ სხდომაზე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის აკაკი ასათიანის წინადადებით დეპუტატებმა დღის წესრიგში შეიტანეს ორი დამატებითი საკითხი, რომელთაგან ერთი ფაქტობრივად სესიის წინა სხდომაზე დაწყებული საუბრის გაგრძელება იყო. მერაბ კოსტავას საზოგადოებისაგან დეპუტატთა ჯგუფის განცხადებასთან დაკავშირებით, რომლებმაც მოითხოვეს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის გადადგომა, პარლამენტის წევრებმა მხარი დაუჭირეს ბატონ აკაკი ასათიანის იმ აზრს, რომ უწინარესად სწორედ ეს საკითხი უნდა განეხილათ.

რესპუბლიკის მოქმედი კონსტიტუციის საფუძველზე, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დეპუტატებს, გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება მისი გადადგომის გამო ფარული კენჭისყრის მოწყობის საჭიროებისადმი. ასეთი კენჭისყრისათვის საჭირო იყო დეპუტატთა მეხუთედის მოთხოვნა, ზემოაღნიშნულ განცხადებას კი ხელი მოაწერა მხოლოდ თოთხმეტმა დეპუტატმა. უზენაესი საბჭოს წევრთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ უარყო ფარული კენჭისყრის მოწყობის წინადადება.

მეორე დამატებითი საკითხის — მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ — გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. მან ურჩია უზენაეს საბჭოს, გააერთიანოს უზენაესი საბჭოს ორი მუდმივი კომისია — თავდაცვის, ეროვნული უშიშროების და მართლწესრიგისა და კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიები. რეკომენდაცია იმით დასაბუთდა, რომ ეს ორი კომისია ერთმანეთს დუბლირებს. ამავე დროს ისინი დაკომპლექტებული უნდა იყვნენ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებით.

სესიამ გადაწყვიტა გააერთიანოს ორი კომისია და შექმნას ერთი — უზენაესი საბჭოს მუდმივი იურიდიული კომისია, რომლის თავმჯდომარედ არჩეულია თვალსაჩინო სამართალმცოდნე ლევან ალექსიძე.

დღის წესრიგის მომდევნო საკითხზე — საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის საგანგებო სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, სიტყვით გამოვიდა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი გ. აბსანძე. ამ საკითხზე მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

სახელმწიფო საწარმოთა პრივიტიზაციის შესახებ კანონის მიღებისას სიტყვებით გამოვიდნენ დეპუტატები: მაია მაჭავარიანი, რომან გოცირიძე და სხვ. გადაწყდა საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ კანონის სამოქმედოდ შემოღება 1991 წლის 1 ოქტომბრიდან.

10 აგვისტოს სხდომა განაგრძობდა მუშაობას.

მუშაობის დაწყების წინ დეპუტატებს მიესალმა სლოვენის ტურიზმის მინისტრი ინგო პაში, რომელმაც შეახსენა დამსწრეთ საქართველოსა და სლოვენის ტრადიციული გულთბილი ურთიერთობა და ქართველ ერს უსურვა წარმატებანი მის რთულ ბრძოლაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

უზენაესმა საბჭომ პირველი წაკითხვით მიიღო კანონები საკუთრების საფუძვლებისა და საიჯარო ურთიერთობათა საფუძვლების შესახებ.

შემდეგ, უზენაესი საბჭოს მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ ბაკურ გულუამ დებუტატებს წარუდგინა საინვესტიციო საქმიანობის შესახებ კანონის პროექტი.

ამის შემდეგ უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის წევრმა თენგიზ ჩაჩავამ განსახილველად გამოიტანა სესიის წინა სხდომაზე პირველი წაკითხვით მიღებული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ. კამათში გამოსულმა დებუტატებმა გამოთქვეს თავიანთი შენიშვნები. უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების შესახებ და დაამკვიდრა საქართველოში კონსტიტუციურად უკვე ფაქტობრივად ჩამოყალიბებული მრავალპარტიულობა.

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონ-პროექტი უზენაესმა საბჭომ ორჯერ განიხილა. ამჟამად კი მიიღო დადგენილება კანონის გამოქვეყნებისთანავე სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სესიამ განიხილა სასოფლო-სამეურნეო, კვების და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთათვის ბანკის ვადაგადაცილებული დავალიანებების ჩამოწერასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესასწავლად შექმნილი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და რესპუბლიკის მთავრობის ერთობლივი კომისიის ანგარიში და საინფორმაციო განცხადება. უზენაესი საბჭოს წევრმა გელა კობერიძემ წარმოადგინა მასალა უაღრესად უხეში ფინანსური დარღვევების შესახებ, რომლებსაც სახელმწიფო სახსრების განაიება მოჰყვა. მიღებულ დადგენილებაში სესიამ რესპუბლიკის კომპეტენტურ ორგანოებს დაავალა დაადგინონ ჭეშმარიტება ამ საქმეში.

უზენაესმა საბჭომ მოისმინა სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის მუდმივი კომისიის ანგარიში, რომელიც გააკეთა მისმა თავმჯდომარემ ირაკლი ჩხეიძემ. პარლამენტმა კომისიის მუშაობა არადაამაკმაყოფილებლად ცნო. კომისიას რეკომენდაცია მიეცა, უმოკლეს ვადაში ძირფესვიანად გააუმჯობესოს მუშაობა.

სესიის სხდომაზე მიღებულ იქნა კანონი საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის მმართველობის შესახებ. დებუტატებმა განიხილეს და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებანი ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორც არის კანონი იმიგრაციის შესახებ, კანონი საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ, კანონი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს — საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ, დადგენილება უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს წევრთა არჩევის შესახებ, მისი პრეზიდენტის შემადგენლობის დამტკიცება. მოისმინეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ანგარიში საკრებულოების არჩევნების, 1991 წლის 31 მარტის

რეფერენდუმის, 1991 წლის 26 მაისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ, განიხილეს კანონის საცხოვრებელი სადგომისა და სხვა ნაგებობის თვითნებურად დაკავებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ და სხვ.

\*

26 აგვისტოს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომა.

სხდომა გახსნა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა, რომელმაც სიტყვა მისცა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას. პრეზიდენტმა მოკლედ გააანალიზა გადატრიალების ჩაშლის შემდეგ შექმნილი სიტუაცია, შეფასება მისცა რესპუბლიკაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას კრიზისის დღეებში, დაასაბუთა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ გადადგმული ნაბიჯები კრიტიკულ მომენტში, როცა იმპერიის სამხედრო მანქანა საგსებით აშკარად იმუქრებოდა საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის წინააღმდეგ დამსჯელი აქციებით. ბატონმა ზვიად გამსახურდიამ დიდი შეფასება მისცა რუსეთის დემოკრატიული ძალების მოქმედებას მისი პრეზიდენტის ბორის ელცინის მეთაურობით, რომლებმაც არ მისცეს საშუალება ხუნტას, ხორცი შეესხა მისი ბოროტი ზრახვებისათვის.

პრეზიდენტის გამოსვლის ფაქტობრივი გაგრძელება გახდა დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვა, რომელიც ეხებოდა 1991 წლის 19-21 აგვისტოს მოვლენათა პოლიტიკურ შეფასებას. ამ საკითხზე გამოვიდა უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარე თედო პატაშვილი. კამათში დებუტატები ერთსულოვანნი იყვნენ მომხდარი მოვლენების შეფასებაში, თუმცა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის პოზიციის გაანალიზებისას მათი აზრი ყოველთვის როდი ემთხვეოდა ერთმანეთს. მიღებულ დადგენილებაში უზენაესი საბჭო, რომელმაც დაგმო დიქტატურისა და ტოტალიტარიზმის ყოველგვარი გამოვლინება, სამხედრო ძალის გამოყენება მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, მიესალმა რუსეთის დემოკრატიული ძალების შთამბეჭდავ გამარჯვებას. უზენაესმა საბჭომ თანაგრძნობა გამოუცხადა უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახებს.

უზენაესმა საბჭომ განიხილა კანონპროექტები: „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შემოღებისა და ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“. ისინი წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრმა ჯონი ხეცურიანმა. კამათის შემდეგ უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება ამ კანონების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

უზენაესი საბჭო დაეთანხმა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებას თავდაცვის დეპარტამენტის შექმნის შესახებ, რომელსაც



დექემდებარება შინაგანი ჯარები — რესპუბლიკის ეროვნული გვარდია. დეპუტატთა აზრით, ასეთმა გადაწყვეტილებამ ხელი უნდა შეუწყოს იმ პრობლემის მოწესრიგებას, რომელიც წამოიჭრა ამ ცოტა ხნის წინათ გვარდიის სტატუსის შეცვლასთან დაკავშირებით. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად ამ ცოტა ხნის წინათ დანიშნულმა ბესარიონ გუგუშვილმა, უპასუხა კანონმდებელთა მრავალ კითხვას, მან ამავე დროს მოკლედ ჩამოაყალიბა თავისი პროგრამა. იგი ვახდა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი.

დეპუტატებმა მიიღეს ესტონეთის, ლატვიის, უკრაინისა და რუსეთის უზენაესი საბჭოებისადმი მისალმებათა ტექსტები, რომლებშიც გამოთქმულია მზადყოფნა, დაიწყონ მოლაპარაკება ამ ქვეყნების მთავრობებთან ოფიციალური სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის დამყარების შესახებ.

როგორც ცნობილია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ვაზეთ „ცხოვრების“ პირველ გვერდზე გვაცნობა, რომ იგი მხარს უჭერს დანაშაულებრივ ხუნტას, რაც, რა თქმა უნდა, ნიშნავდა იმას, რომ კომპარტია თანამშრომლობს ძალებთან, რომლებმაც 1917 წლის ოქტომბრის სისხლიანი ხმალი იშიშვლეს თავისუფლებისა და დემოკრატიის წინააღმდეგ.

სესიის დღის წესრიგში დადგა საკითხი „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, აფხაზეთის კომპარტიის რესპუბლიკური კომიტეტის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის კომპარტიის საოლქო კომიტეტისა და ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა გაუქმებული საბჭოს თვითმარქვია აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედებათა შესახებ“. დეპუტატების — როგორც ანტიკომუნისტების, ისე კომუნისტების — გამოსვლებში მკაცრად იყო დაგმობილი საქართველოს კომპარტიის პოზიცია, რომელმაც იგი ფაქტობრივად დამნაშავე ორგანიზაციების გვერდით დააყენა.

უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლითაც აკრძალულია საქართველოს კომპარტია, ყველა კომუნისტური გაერთიანების ფუნქციონირება, შეჩერებულია საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან დეპუტატთა უფლებამოსილებანი. ამავე დროს დადგენილებაში აღნიშნულია რომ დაუშვებელია მოქალაქეთა დევნა ან დისკრიმინაცია მათი კომუნისტური პარტიის წევრობის გამო.

ამით სესიის საგანგებო სხდომამ მუშაობა დაამთავრა.